

პოლონეთი - სტრატეგიული პარტნიორი

A2



გარე ვაჭრობას იჯარით დააკანონებენ

A2



რიკი და ლაიზა ბეირუთში

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 12 მაისი, 2006 წელი. №103 (1255) | ფასი 50 თეთრი

# ვინ არის მგელი?

## პასუხი ვლადიმირ პუტინის პასუხზე

დიმიტრი ავალიანი

*ახალი „ცივი ომის“ გამოცხადება, დასავლეთის მხრიდან კრიტიკის სრული იგნორირება, პოპულიზმი და, შესაძლოა, მინიშნება მესამე ვადით არჩევის სურვილზე, ან შესაძლო მემკვიდრის დასახელებაზე - ასე აღიქვა რუსულმა და მსოფლიო მედიამ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სიტყვა, რომელიც მან 10 მაისს სახელმწიფო სათათბიროსადმი მიმართვაში წარმოთქვა.*

პუტინის მორიგი „ყოველწლიური გზავნილის“ „გაშიფრვა“ მსოფლიო მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა. გაზეთი FT, სტატიაში **„რატომ არის საშიში „ამხანაგი მგელის“ ყმუილი“,** აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აშშ-ს „უკბინა“, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის მიერ გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ. თანაც, გაზეთის აზრით, პუტინმა ეს ისეთ სტილში გააკეთა, რომელიც ივლისში სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ „დიდი რვიანის სამიტზე“ ეფექტურ თანამშრომლობას ხელს არ შეუწყობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იმედის ორიენტირი - ბალტიისპირეთი



*ესტონეთი საქართველოს ინტერესების გამტარებელი იქნება ნატო-სა და ევროკავშირში.*

*ესტონეთი, როგორც საქართველოს პარტნიორი სახელმწიფო, ევროკავშირისა და ნატო-ს ფარგლებში საქართველოს ინტერესებს ატარებს და იცავს, - ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ ესტონეთის პრეზიდენტის არნოლდ რუუტელის ოფიციალური დახვედრის ცერემონიის დასრულების შემდეგ.*

*მართალია, ესტონეთის პრეზიდენტი მეუღლესთან, ინგრიდ რუუტელთან ერთად საქართველოს ოთხშაბათს, გამთენიისას ეწვია, მაგრამ მისი დახვედრის ოფიციალური ცერემონია მხოლოდ გუშინ გაიმართა საქართველოს პარლამენტში. პარლამენტის ეზოში, საქართველოსა და ესტონეთის სახელმწიფო ჰიმნების ტრადიციული შესრულების შემდეგ, ოფიციალური ვიზიტისთვის უცხო, „Happy Birthday“-ს მელოდიაც გაისმა. ესტონეთის პრეზიდენტს 78 წელი სწორედ გუშინ შეუსრულდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# B

# ვერდიქტი გამოტანილია

## ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა

**მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 16 თეთრი იქნება, ხოლო მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 301 კილოვატ საათზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 17,69 თეთრი იქნება. რაც შეეხება რეგიონებს, 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის მოხმარების დროს ერთი კვტ/საათის ფასი 12,98 თეთრი იქნება, 101-დან 300 კილოვატ/საათიდან - 16,52 თეთრი, ხოლო 301 კილოვატ/საათის ზემოთ - 17,49 თეთრი. ეს ტარიფები არ ეხება კახეთისა და აჭარის რეგიონებს, რადგან ამ რეგიონებში დამოუკიდებელი ენერგოკომპანიები მოქმედებენ, რომლებსაც სატარიფო განაცხადები კომისიაში დამოუკიდებლად აქვთ წარდგენილი.ახალი ტარიფები პირველი ივნისიდან ამოქმედდება, ხოლო მანამდე სემეკის ეს დადგენილება იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზას გაივლის.**



## ბიზნესი



ფადი ალი კომპანიების DOLE-ს და SADIA-ს პროდუქციის დისტრიბუციას ვეღარ განახორციელებს

B3

## პოლიტიკა

### ევროპამ რუსეთს ერთიანი პასუხი უნდა გასცეს

როგორ უნდაააწყოს მსოფლიომ და, კერძოდ კი, ევროკავშირმა ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება? ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ აუცილებელია ნავთობისა და გაზის რუსულ იმპერიალიზმს ერთიანი პასუხი გაეცეს.

A3

## სამართალი

### პოლიციელის ჩვენება - პოლიციელის დაკავების საფუძველი

ფოთის სასამართლოში წლების წინ მომხდარი დანაშაულის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს. სკანდალური შემთხვევიდან ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა და ჯერჯერობით საქმე ლოგიკური შედეგით არ დასრულებულა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 12/05 | 13/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 29 |
| ტყიბული | 27 | 21 |
| სოხუმი | 26 | 18 |
| გორი | 25 | 22 |
| ონი | 23 | 15 |
| ზუგდიდი | 30 | 22 |
| ახმეტა | 29 | 28 |
| სამტრედია | 29 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8080 |
| ევრო | 2.3000 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.3641 |
| რუბლი | 0.0668 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A5



## პალესტინას დახმარებას დროებით აღუდგენენ

„ახლო აღმოსავლეთის ოთხეულმა“ - აშშ-მ, რუსეთმა, ევროკავშირმა და გაერო-მ გადაწყვიტეს, პალესტინას ფინანსური დახმარება დროებით აღუდგინონ. „ოთხეულმა“ სამთვიანი დახმარების პროექტი სახელწოდებით „დროებითი მექანიზმი“ გუშინ დაამტკიცა.

ჯერჯერობით უცნობია ფინანსური დახმარების ოდენობა, რაც შეეხება პროექტის ამოქმედების ვადას, მას დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდება.

როგორც ნიუ იორკში გამართულ „ახლო აღმოსავლეთის ოთხეულის“ შეხვედრის დასრულების შემდეგ გაერო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, დახმარების რაოდენობა ზუსტად იქნება გაწერილი. გარდა ამისა, ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ნებისმიერი დახმარების უშუალოდ პალესტინელი ხალხისთვის მიწოდებას.

პალესტინისთვის ფინანსური დახმარების აღდგენის წინააღმდეგი არც ისრაელია.

**„ჩვენ მივესალმებით „ოთხეულის“ გადაწყვეტილებას. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია პალესტინის ავტონომიისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა „ჰამას“-ის გვერდის ავლით,“** - განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციპი ლივნიმ.

როგორც ცნობილია, პალესტინის ავტონომიას პირდაპირი ფინანსური დახმარება დასავლელმა სპონსორებმა მიმდინარე წლის აპრილში შეუწყვიტეს. დასავლეთის უმთავრესი მოთხოვნა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ჰამას“-ისადმი ძალადობაზე უარის თქმა იყო.

დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა მსოფლიო ბანკი. ექსპერტთა თქმით, ფინანსური ბლოკადა კიდევ დიდი ხნით შეაფერხებდა პალესტინის ავტონომიის ნორმალური გზით განვითარების შესაძლებლობას.

თუმცა, როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, პალესტინის ეკონომიკური განვითარების მთელი პასუხისმგებლობა მაინც პალესტინის ხელისუფლებას ეკისრება.

როგორც ირკვევა, აშშ მზადაა, პალესტინელებს 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დახმარება აღმოუჩინოს „დროებითი მექანიზმის“ ფარგლებში, რაც მხოლოდ სამედიცინო და სოციალურ სფეროებს მოხმარდება.

**„ჩვენი დახმარება გათვლილია სამედიცინო მომსახურებასა და ბავშვთა კვებაზე, რათა თავიდან ავიცილოთ პალესტინის ავტონომიაში მოსალოდნელი ჰუმანიტარული კატასტროფა,“** - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა.

რაც შეეხება „ახლო აღმოსავლეთის ოთხეულის“ ერთ-ერთ წევრს - რუსეთს, მან უკვე გაუგზავნა პალესტინის ავტონომიას 10 მილიონი აშშ დოლარი. რუსეთის დახმარება მთლიანად გადაიგზავნა ავტონომიის მეთაურის კანცელარიის ანგარიშზე, ანუ უშუალოდ ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა.

„გაგზავნილი ფული მთლიანად განკუთვნილია სოციალური და ჰუმანიტარული საჭიროების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად,“ - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

*ბი-ბი-სი*

## თავისუფალი სიტყვა

**გადაცემა ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 13 საათზე. გადაცემის წამყვანს აკაკი გოგიჩაიშვილს სტუმრად ჰყავს ტურისტული სააგენტოს „ექსპო-ჯორჯიას“ ხელმძღვანელი ლელა ჩხარტიშვილი, რომელთანაც საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრობს.**

**აკაკი გოგიჩაიშვილი:** ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ წელს საქართველოში 147 ათასი ტურისტი შემოვიდა. აქედან 29 ათასამდე ტურისტი სასტუმროში დაბინავდა, ხოლო 118 ათასი განთავსდა მოსახლეობის კუთვნილ ბინებში, რაც საქართველოში ინფრასტრუქტურის დეფიციტის არსებობის მაჩვენებელია. წელს ელოდებიან მათი რაოდენობის ზრდას 65 ათასამდე. თქვენს საქმიანობაში რამდენად მწვავედ იგრძნობა ეს პრობლემა?

**ლელა ჩხარტიშვილი:** ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ეს საკითხი საკმაოდ პრობლემატურია. არ არის საკმარისი ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ მოთხოვნა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს და ჩვენი ქვეყანა ვაჩვენოთ ჩამოსულს. ჩვენ ლიმიტირებულები ვართ, იძულებულები ვართ, გავაჩეროთ ვიზები, ან გამოვიყენოთ საქართველოს იმ რეგიონების ტერიტორია, სადაც არსებობს სასტუმროების ბაზა და შესაძლებელია ტურისტი განათავსო. ვგულისხმობ თბილისს, გუდაურს, ბაკურიანს, ბათუმს. მაგრამ, რაც შეეხება ისეთ ადგილებს, როგორებიცაა მაგალითად, ქუთაისი, თელავი, საერთოდ არ არის კარგი დიდი სასტუმრო, ამ შემთხვევაში ვიყენებთ კერძო სახლებს. თუმცა, ტურისტებს მოსწონთ კერძო სახლებში გაჩერება, ეცნობიან ადგილობრივ ტრადიციებს და ა.შ.

**აკაკი გოგიჩაიშვილი:** რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, კახეთსა და იმერეთში დაგეგმილიც არ არის სასტუმროების აშენება. ამდენად, სიტუაციის გაუმჯობესებას არც უნდა ველოდოთ. მეორე მხრივ აჭარაშია გარკვეული პერსპექტივები. წელს ინტურისტი უნდა შევიდეს მწყობრში და ყაზახი ინვესტორებისგან ველით 100 მილიონი ლარის ინვესტიციას, რომელიც 22 სასტუმროს მშენებლობას უნდა მოხმარდეს. თუმცა, გადაცემის დაწყებამდე თქვენ თქვით, რომ აჭარა და შავი ზღვის ზოლი არ არის პრიორიტეტული ტურისტებისთვის. უფრო მეტი მოთხოვნა შიდა რეგიონებზეა.

**ლ.ჩ.** როცა ჩამოდის უცხოელი პირველი წარმოდგენა აქვთ, რომ ჩვენ ვართ შავი ზღვის ქვეყანა, ამდენად აინტერესებთ, ბათუმი შედის თუ არა მარშუტში. ჩვენ მაინც ვცდილობთ, ვაჩვენოთ მთიანი რეგიონები, ყაზბეგის რაიონი, სვანეთი, თუშეთი, სამცხე-ჯავახეთი, სეზონი თუ არის. ბათუმი თავისი საკურორტო ზოლით, მომსახურების თვალსაზრისით კონკურენციას ვერ გაუწევს მეზობელ ქვეყნებს. შავი ზღვის ზოლი, უფრო ადგილობრივ მოსახლეობასა და მეზობელი ქვეყნების ტურისტებზეა გათვლილი.

თქვენ მიერ, თავში ნათქვამი ციფრები დამსვენებლების რაოდენობას ასახავს და არა ბიზნეს ტურისტებს, რომლებიც ასევე შემოსავლის წყაროა ქვეყნისთვის.

**ა.გ.** არსებობს სტატისტიკა, რომ 2005 წელს თითო ტურისტი ხარჯავდა დაახლოებით 50 დოლარს საქართველოში ყოფნის განმავლობაში. მთლიანობაში აქედან ბიუჯეტში შევიდა 32 მილიონი ლარი, რაც შიდა საერთო პროდუქტთან მიმართებაში 3 პროცენტზე ცოტა მეტია. ეს ძალიან დამაფიქრებელია, რადგან როდესაც საუბარია საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, პირველ რიგში საუბარია ტურიზმზე.

**ლ.ჩ.** ვფიქრობ, რომ სტატისტიკას ბოლომდე ვერ დაეყრდნობი. საკმაოდ პრიორიტეტულია ქვეყნისთვის ტურიზმის განვითარება. საკმაოდ დიდი ზომები გატარდა, რათა მოვიზიდოთ ტურისტები. ევროპელი, ამერიკელი, იაპონელი, ებრაელი ტურისტებისთვის ვიზა უფასოა. შარშანდელი მონაცემები და წლევანდელი მოთხოვნები რომ შევადარე, მოთხოვნა საკმაოდაა გაზრდილი.

ჩვენს კომპანიას წელს მესამე სეზონი აქვს. პირველ წელს 150 კაცი გვყავდა ჩამოყვანილი, მეორე წელს - 400, წელს კი ათასზე მეტ ტურისტს ველოდებით.

**ა.გ.** საერთო ჯამში, ეს ის ციფრი არ არის, რაც ჩვენ გვინდა, რა არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ნაკადი არ იზრდება?

**ლ.ჩ.** ინფრასტრუქტურა, ასევე ქვეყნის პოლიტიკური იმიჯი. ვინც ჩამოდის, იუმორით ამბობენ, რომ გმირები ვართ, თქვენს ქვეყანაში რომ ჩამოვედითო. რომ ჩამოდიან, ხედავენ, რომ არაფერი საშიში არაა.

**ა.გ.** ალბათ გასათვალისწინებელია ის ინფორმაციაც, რომ საქართველო რამდენიმე ხნის წინ შეიტანეს არაუსაფრთხო ქვეყნების რიცხვში. უცხოელ ტურისტებზე რამდენად მოქმედებს ეს ფაქტორი, რამდენად ეცნობიან ინფორმაციებს?

**ლ.ჩ.** ყველა ეცნობა, თუმცა სხვადასხვანაირად აღიქვამენ. იაპონელები მსოფლიო ბაზარზე ყველაზე საუკეთესო ტურისტები არიან, ამავდროულად ძალიან ფრთხილებიც. ხშირად ინდივიდუალური ტურებით ჩამოდიან ტურისტები, განსაკუთრებით ისრაელიდან.

## პოლონეთი - სტრატეგიული პარტნიორი

ნათია მსხილაძე

*გრძელდება პოლონეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში. რადოსლავ სიკორსკი გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, გელა ბეჟუაშვილს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მინისტრების განცხადებით, პოლონეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი გახდება და არა მარტო სამხედრო სფეროში გაუწევს დახმარებას.*




*პოლონეთმა ნატო-ში გაწევრიანების პროცესში საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.*

როგორც გაირკვა, დახურულ კარს მიღმა ორი ქვეყნის მინისტრის საუბრის თემა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები, ორმხრივი პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის საკითხები იყო.

რადოსლავ სიკორსკიმ და გელა ბეჟუაშვილმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო ნაბიჯებზეც ისაუბრეს. **„საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა უფრო და უფრო აქტიური ხდება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ურთიერთობები სტრატეგიულ ხასიათს ატარებდეს. პოლონეთი მხარს უჭერს საქართველოს თავისუფლების, დემოკრატიისა და ევროსტრუქტურებისკენ მიმავალ გზას. მადლიერი ვართ იმ დახმარებისთვის, რაც პოლონეთმა ბოლო წლებში საქართველოს გაუწია“**, - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრი საქართველო-რუსეთს შორის ბოლო დროს დაძაბულ ურთიერთობასაც შეეხო. სიკორსკის განცხადებით, **„რუსეთმა უნდა შეასრულოს სტამბულის სამიტზე მიღწეული შეთანხმება და თავისი ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს“**, - აღნიშნა რადოსლავ შიკორსკიმ.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროს ფუნქციებში არ შედის ღვინის პოპულარიზაცია, პოლონეთის თავდაცვის უწყება ქართულ სასმელს პოპულარიზაციას არა მარტო პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში, არამედ ამერიკელ და ევროპელ კოლეგებთანაც გაუწევს. **„პოლონეთი საქართველოსთან საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობს, რაც უფრო მჭიდრო გახდება თავდაცვის სფეროში. პოლონეთი პატივს სცემს საქართველოს ევროპულ კურსს და დაეხმარება ყველა იმ დაბრკოლების გადალახვაში, რაც საქართველოს წინაშე დგას. ჩვენ დავეხმარებით საქართველოს ევროპული და დემოკრატიული სტრუქტურების მშენებლობაში“**, - აღნიშნა პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა.

## შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა ცხინვალში

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა გუშინ ცხინვალში დაიწყო. კომისიის 49-ე სხდომა დაძაბული განცხადებითა და კამათით დაიწყო.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა, რომელიც ამავდროულად შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეა, საქართველოს მთავრობის წევრების მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები გააპროტესტა. კერძოდ, ოსური მხარე აპროტესტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ქართული მხარე პირველ იანვარს ცხინვალში ახალი წლის აღნიშვნას აპირებს.

ბორის ჩოჩიევის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები ხელს უშლის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესის წარმოებას და ასევე შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მუშაობას გათვალისწინებულ ფორმატში.

ბორის ჩოჩიევის ამ განცხადებას გამოეხმაურა სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა. მისი თქმით, ამგვარი განცხადებები მართლაც ართულებს მოლაპარაკების პროცესს, მით უფრო, თუ ეს განცხადებები საფუძველს მოკლებულია. „საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს სამშვიდობო გეგმა და სწორედ ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოლაპარაკებების პროცესი. ამ გეგმაში კი არანაირი პირველი იანვარი მითითებული და გათვალისწინებული არ არის. ასე რომ, ყველა ინდივიდუალურ პირს შეუძლია საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მოსაზრებები საქართველოს მთავრობის ერთიან პოზიციას წარმოადგენდეს“, - განაცხადა ხაინდრავამ.

სხდომაზე გიორგი ხაინდრავამ რუსულ და ოსურ მხარეებს ის პრეტენზიები გააცნო, რომელიც ქართულ მხარეს გააჩნია. ამ პრეტენზიებზე საუბარი იყო 48-ე სხდომაზეც, რომელიც ვლადიკავკაზში გაიმართა, თუმცა შედეგი არ გამოუღია.შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა, სავარაუდოდ, დღეს დასრულდება.

*ინტერპრესნიუსი*

## გარე ვაჭრობას იჯარით დააკანონებენ

თამარ დვალი

*თბილისის მერიის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისია ქალაქში არსებულ ტერიტორიებზე საიჯარო გადასახადის 100 პროცენტით გაზრდას გეგმავს. გარე მოვაჭრეები აქამდე იჯარის ნაცვლად, მოსაკრებლის სახით, თვეში 15 ლარს იხდიდნენ. 2005 წლის 3 ოქტომბრიდან მოსაკრებელი გაუქმებულია, საიჯარო პირობები და ფასები ჯერ განუსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, დღეს თბილისის ქუჩებში ყოველგვარი ვაჭრობა უკანონოდ ითვლება.*




თბილისის მთავრობა მალე იმ პროდუქტების ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომლის გაყიდვაც ქუჩებში იქნება შესაძლებელი. მერიის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიამ თბილისის ტერიტორიაზე იჯარით გასაცემი ფართის ფასები უნდა დაადგინოს.

**„დღეს მიწის საიჯარო თანხა არის ძალიან დაბალი. თბილისის საკრებულოს 2002 წლის დადგენილებით, ზოგიერთ ადგილას ერთი კვ. მეტრი მიწის საიჯარო ფასი 15 თეთრით იყო განსაზღვრული. ჩვენ ვამზადებთ ახალ პროექტს, რომელსაც საკრებულოს წარვუდგენთ განსახილველად. ამიერიდან დაინტერესებულმა პირებმა გამგეობის ნაცვლად, ჩვენს კომისიას უნდა მომართონ, და ისე მიიღონ მიწა იჯარით. პირადად მე შეცდომად მიმაჩნია გრძელვადიანი იჯარის ფორმაც,“** - განაცხადა „24 საათთან“ საუბრისას მერიის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მამუკა ახვლედიანმა.

მისივე თქმით, სავარაუდოდ იჯარით გასაცემი მიწის ფასი 100 პროცენტით გაიზრდება. რაც შეეხება ადრე იჯარით გაცემულ მიწებს, მათი ფასიც გადაიხედება. **„თუ ძველი ხელშეკრულებები ითვალისწინებს საიჯარო ქირის გადახედვას და იძლევა ფასის გაზრდის შესაძლებლობას, გავზრდით. თუკი, ასეთი პუნქტი არ იქნება ხელშეკრულებაში, სამწუხაროდ ვერაფერს ვიზამთ,“** - აღნიშნა ახვლედიანმა.

სანამ მიწის იჯარით გაცემის პროცესი შეჩერებულია და მოსაკრებელიც გაუქმებულია, გამოდის, რომ გარემოვაჭრეებს ვაჭრობა კანონდარღვევით უწევთ. როგორც მერიის ზედამხედველობის სამსახურში აცხადებენ, დღეს ქუჩაში ყოველგვარი პროდუქტით ვაჭრობა დაუშვებელია. **„გარე ვაჭრობაზე კონტროლი საპატრულო პოლიციას აქვს დავალებული. უკანონობის გამოვლენის შემთხვევაში, მოვაჭრეები დაჯარიმდებიან,“** - განაცხადა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი საგინაშვილმა.

ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილის ირაკლი შიხიაშვილის თქმით, როგორც წესი, ქუჩაში ტკბილეულის, გამაგრილებელი სასმელებისა და ნაყინის გაყიდვისთვის გარემოვაჭრეებს 2,3 კვ.მ ფართობზე მეტი არ ეკავათ. მიუხედავად დაკავებული ფართის მოცულობისა და ადგილმდებარეობისა, მათ მაინც 15 ლარის გადახდა უწევდათ.

**„გამგეობებს დაგვევალა ჩვენს რაიონებში არსებული ტერიტორიების შესწავლა. მონაცემებს, თუ სად შეიძლება სავაჭრო ობიექტების განთავსება, მერიის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას გადავცემთ. ეს არ უნდა იყოს ისეთი ადგილი, სადაც პრობლემები შეექმნება ფეხით მოსიარულეებს, ან წარმოიქმნება საცობები. როდესაც საბოლოოდ შემუშავდება პროექტი, აღნიშნული კომისია გამოაცხადებს კონკურსს. გამარჯვებული ვალდებული იქნება გადაიხადოს დისლოკაციის ადგილების მიხედვით საიჯარო გადასახადი ყოველთვიურად. ანუ ერთი კომპანია მოიპოვებს იჯარის უფლებას და შემდეგ ეყოლება ქვემოიჯარეები. ფასები დიფერენცირებული იქნება ზონების მიხედვით,“** - აღნიშნა ისანი-სამგორის რაინის გამგებლის მოადგილემ ეკონომიკის დარგში ირაკლი შიხიაშვილმა.

სავარაუდოდ ქუჩაში გაყიდვისათვის ნებადართული საქონლის ნუსხა საკმაოდ მწირი იქნება. ჟურნალ-გაზეთები, სუვენირები და ხელნაკეთი ნივთები, გამაგრილებელი სასმელები, ნაყინი, სწრაფი კვების პროდუქტები შესაბამისი დანადგარებით, საღეჭი რეზინები, - ეს არის იმ პროდუქტების სავარაუდო ჩამონათვალი, რომელთა გაყიდვაც დასაშვები იქნება.

რაც შეეხება ჯიხურების იერსახეს, მათი დიზაინის შერჩევა მერიის ურბანულ სამსახურს ევალება. როგორც ამ სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ განაცხადა, მას შემდეგ, რაც გამოცხადდება კონკურსი მიწის იჯარით გაცემაზე, კონკურსის პირობებში ჩაიდება შესაბამისი მოთხოვნებიც, რომლის გათვალისწინებაც გამარჯვებულ კომპანიებს მოუწევთ.

მიწების იჯარით გაცემაზე შეფერხება არ შეხებია პარკირებისთვის გაცემულ მიწებს. ახლახანს მერიამ კონკურსი გამოაცხადა ავტობუსების გაჩერებების იჯარით გაცემაზეც.

ამ საკითხებზე თბილისის მთავრობა უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს.

## მოკლედ

### პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი დასრულდა

პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში დასრულდა.

ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით, პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა.

როგორც მან ჟურნალისტებს განუმარტა, საქართველოში ვიზიტის დროს ბევრი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა, რის შემდეგაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველომ ნატოში ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად ბევრი წარმატებული ნაბიჯი გადადგა.

ამასთან, სიკორსკიმ ქართულ მხარეს კიდევ ერთხელ მოუწოდა, რომ შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი, კონსტიტუციური წესრიგი და თავისუფალი პრესა შეინარჩუნოს და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. რაც შეეხება სამომავლო თანამშრომლობას პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ქართულ მხარეს ნატოსთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულებაში სამხედრო განათლების პროგრამებში დახმარება აღუთქვა.

გარდა ამისა, სიკორსკის თქმით, შეხვედრებზე საუბარი იყო ასევე საქართველოს მიერ პოლონეთში გარკვეული საბრძოლო მასალების შესყიდვაზე. პოლონეთის თავდაცვის მინისტრი შეეხო ასევე ქართული ღვინის იმპორტის საკითხსაც და განაცხადა, რომ უახლოეს ხანში, პოლონეთში ჩატარდება ეკონომიკური ფორუმი, რომელზეც მან უკვე მიიწვია საქართველოს ყველა ის ოფიციალური პირი, რომელთანაც მან საქართველოში შეხვედრები გამართა.

სიკორსკიმ განაცხადა, რომ ქართულ მხარეს ამ ფორუმში მონაწილეობით საშუალება მიეცემა ქართულ ღვინოს და მინერალურ წყლებს რეკლამა გაუკეთოს.

პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია საქართველოში გუშინ ჩამოვიდა. მინისტრის გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების და სამხედრო აკადემიის მაღალჩინოსნები, ასევე BUMARIS ჯგუფი, რომელიც პოლონეთში იარაღის წარმოების საკითხებს კურირებს.

საქართველოში ვიზიტის დროს დელეგაციის წევრები შეხვდნენ როგორც თავდაცვის მინისტრს, ისე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს.

*ინტერპრესნიუსი*

### გიორგი ხაინდრავა: რუსმა სამშვიდობოებმა აფხაზეთი უნდა დატოვონ

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას თქმით, აფხაზეთში კონლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალები მანდატით დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებენ.

„თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ მანდატის არც ერთი პუნქტი არ სრულდება, ასეთ პირობებში კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების დარჩენა მიზანშეუწონელია,“ - მიიჩნევს ხაინდრავა.

საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 15 ივლისამდე მთავრობის ანგარიშზე დაყრდნობით რუსი სამშვიდობოების აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დარჩენის საკითხი უნდა განიხილოს.

*მედიანიუსი*

### იგორ ივანოვი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საფუძველს ვერ ხედავს

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი აცხადებს, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებისთვის სამხედრო ან პოლიტიკური საფუძველი არ არსებობს. და თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს სხვა მოტივებით იქნება განპირობებული და მას კავშირში არ ექნება ზემოხსენებული სახელმწიფოების უსაფრთხოებასთან.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის აზრით, ნატოსთან დაკავშირებული პრობლემები ამ ორგანიზაციის ფორმალური და ხელოვნური გაფართოების გზით კი არა, რეფორმების საშუალებით უნდა მოგვარდეს.

ივანოვის განმარტებით, რუსეთი აგრძელებს ნატოსთან თანამშრომლობას, თუმცა თავად ნატოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები აჩვენებს, რამდენადაა მზად ეს ორგანიზაცია რუსეთთან თანამშრომლობისთვის.

*მედიანიუსი*

### „რესპუბლიკური პარტია“ რეგიონულ ოფისებს აძლიერებს

„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ რეგიონულ ოფისებს აძლიერებს. თელავში გუშინ „რესპუბლიკური პარტიის“ საერთო კრება გაიმართა, რომელზეც რაიონული ორგანიზაციის მმართველი ორგანოები აირჩიეს.

საერთო კრებას „რესპუბლიკური პარტიის“ ეროვნული კომიტეტის წევრები ლევან ბერძენიშვილი, გურამ ბერიშვილი, თემურ ნერგაძე, ასევე რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი თენგიზ შერგელაშვილი და „ახალგაზრდა რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ნიკო თევდორაშვილი დაესწრნენ.

საერთო კრების დასრულების შემდეგ „რესპუბლიკელები“ მოსახლეობას შეხვდნენ.

*ინტერპრესნიუსი*

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ვინ არის მგელი?

პირველი გვერდიდან

**„პარტნიორობის ენა, რომლითაც აქამდე ერთმანეთის შესახებ კრემლისა და თეთრი სახლის განცხადებები გამოირჩეოდა, წარსულს ჩაბარდა,“** - აღნიშნავს გაზეთი.

დასავლური მედიისთვის ყველაზე საინტერესო იყო პუტინის ორაზროვანი პასაჟი იმ „მგლის“ შესახებ, რომელმაც **„იცის, ვინ შეჭამოს“**. **„პუტინმა მგლის მსგავს ამერიკას წიხლი უთავაზა,** - წერს ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“, - **აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობა გუშინ ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ წერტილზე დაეშვა, მას შემდეგ, რაც პუტინმა ვაშინგტონს გასულ კვირაში გამოთქმული კრიტიკის გამო უსაყვედურა“**.

ბრიტანულმა „დეილი ტელეგრაფმა“ პუტინის განცხადებებში **„ცივი ომის აჩრდილი და გამალებული შეიარაღების მუქარა“** დაინახა. რუსეთსა და დასავლეთს შორის ახალი „ცივი ომის“ დაწყების შესახებ ექსპერტებიც საუბრობენ. გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოს ექსპერტი ალექსანდრ რარი აცხადებს: **„საერთაშორისო ვითარება შესამჩნევად უარესდება... ჯერ კიდევ 2001 წელს პუტინი „ცივი ომის“ დასრულებაზე საუბრობდა. იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთისა და აშშ-ს ურთიერთობა უკეთესობისკენ შეიცვალა და ავღანეთში რუსეთისა და აშშ-ს ახალი „წმინდა ალიანსი“ დაფუძნდა. ორივე სახელმწიფო საერთაშორისო ტერორიზმს ერთად ებრძოდა. დღეს ამ პოზიტიური თანამშრომლობისაგან აღარაფერი დარჩა,“** - აღნიშნავს ალექსანდრ რარი.

პუტინის „გზავნილზე“ კომენტარი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმაც გააკეთა. **„რიგ სფეროებში რუსეთთან მჭიდრო პარტნიორობა გვაკავშირებს. რაც შეეხება უთანხმოებებს, ამის შესახებ არაერთგზის საჯაროდ ითქვა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. ამაზე პრეზიდენტი ბუშიც საუბრობდა, ასევე - ვიცე-პრეზიდენტი ჩეინიც. მაგრამ ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში, ამაზე გულახდილად ვილაპარაკოთ,** - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა, - **არის მრავალი საკითხი აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობაში და ჩვენ შევეცდებით, წინ წავიდეთ ისეთ სფეროებში, სადაც ეს შესაძლებელია. იქ კი, სადაც შეიძლება უთანხმოებანი წარმოიქმნას, მათ გადალახვას შევეცდებით.“**


*რუსეთი სულ უფრო და უფრო საშიში ხდება დანარჩენი მსოფლიოსთვის.*

როგორც რუსული, ასევე დასავლური პრესის შეფასებით, თავის გამოსვლაში პუტინმა დასავლეთის ქვეყნების მხრიდან გამოთქმულ კრიტიკას დემონსტრაციული იგნორირება გაუკეთა და აქცენტი რუსეთის ეკონომიკურ, სამხედრო და დემოგრაფიულ გაძლიერებაზე გააკეთა.

**„პუტინი ნავთობსა და გაზზე დაფუძნებულ ზესახელმწიფოზე ოცნებობს. რეცეპტი მარტივია: მეტი ხალხი, მეტი შეიარაღება, როგორც ეს საბჭოთა იმპერიის დროს იყო, აშშ-ს დომინირების ქვეშ მყოფ მონოპოლარულ სამყაროსთან დასაპირისპირებლად. კრემლი სარკასტული გულგრილობით ეკიდება აშშ-ს და ევროპის მხრიდან თანამშრომლობისკენ მოწოდებებს,“** - წერს იტალიური გაზეთი „რეპაბლიკა“.

მიმომხილველებს არც ის გამოპარვიათ, რომ „გზავნილში“ პუტინმა დასახა ამოცანები მესამე საპრეზიდენტო ვადისათვის. **„პუტინმა აუდიტორიას ისეთი პროგრამა შესთავაზა, რომლის რეალიზაციის ვადები მნიშვნელოვნად აღემატება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადას,“** - აცხადებს რუსეთის ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის დირექტორი სტანისლავ ბელკოვსკი. „ეფექტური პოლიტიკის ფონდის“ ხელმძღვანელი გლებ პავლოვსკი კი მიიჩნევს, რომ **„სხვა ლიდერს, პუტინის გარდა, ამომრჩეველი ვერ ხედავს“.**

**„გზავნილში პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ხელისუფლებისა და ბიზნესისადმი საზოგადოების ნდობის დაბალ დონეს და ამით მთელ პოლიტიკურ სისტემას გაემიჯნა, რითაც დაადასტურა, რომ ამ სისტემის მდგრადობის ერთადერთი გარანტია,“** - აღნიშნავს პოლიტოლოგი ვლადიმირ ბადოვსკი. გარდა ამისა, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, პოპულარულ სოციალურ თემებზე აქცენტის გაკეთება სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო კამპანია პუტინის მესამე ვადით არჩევისათვის.

სამაგიეროდ, ფონდ „პოლიტიკას“ პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი დარწმუნებულია, რომ პუტინს უარი არ უთქვამს მემკვიდრის ძიებაზე. **„ორი პრიორიტეტული თემა, რომელზეც პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება - სოციალურ-დემოგრაფიული სფერო და თავდაცვითი კომპლექსი - ადასტურებს, რომ შესაძლო მემკვიდრეებად ვიცე-პრემიერი დმიტრი მედვედევი და თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი უნდა განვიხილოთ,“** - აცხადებს ნიკონოვი.

# ევროპამ რუსეთს ერთიანი პასუხი უნდა გასცეს

ვოლფგანგ მუნჰაუ
ფაინენშლ თაიმსი

როგორ უნდა ააწყოს მსოფლიომ და, კერძოდ კი, ევროკავშირმა ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება? ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ აუცილებელია ნავთობისა და გაზის რუსულ იმპერიალიზმს ერთიანი პასუხი გაეცეს. თუმცა, გერმანია და სხვები რუსეთთან ორმხრივ დიალოგს ამჯობინებენ, რაც სინამდვილეში ევროკავშირის უფრო ფართო ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ რუსეთის ენერგეტიკული დიპლომატია საკადრის პასუხს არ მიიღებს, მას შეუძლია გახლიჩოს ევროკავშირი, ისე როგორც ეს სამი წლის წინ აშშ-ს მეთაურობით ერაყში გაჩაღებული ომის შემთხვევაში მოხდა.

გასულ კვირას, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ, ვილნიუსში მისთვის დამახასიათებელი მკვეთრი გამოსვლისას სწორედ ეს საკითხი წამოჭრა. მან რუსეთი ნავთობისა და გაზის „დაშინებისა და შანტაჟის ინსტრუმენტებად“ გამოყენებაში დაადანაშაულა. ჩეინის გამოსვლა, სანკტ-პეტერბურგში, ივლისში დაგეგმილი „დიდი რვიანის“ სამიტის წინ, ამერიკული პოზიციის საგრძნობი გამკაცრების მანიშნებლად აღიქვეს. რუსეთში ჩეინის სიტყვებს შეშფოთებით შეხვდნენ, მაშინ, როცა კონტინენტურ ევროპაში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვილნიუსური გამოსვლა პრესის პირველ ფურცლებზე საერთოდ ვერ მოხვდა.

ამასთან, კონტინენტურმა ევროპამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ცოტა ხნის წინ „გაზპრომის“ ხელმძღვანელის ალექსეი მილერის მიერ გაკეთებულ განცხადებას. მილერი დაიმუქრა, რომ ევროპისკენ მიმავალი ენერგორესურსების მიმართულებას შეცვლიდა, თუ მას ევროკავშირის ტერიტორიაზე ენერგოგადანაწილების სფეროში ინვესტირების საშუალებას არ მისცემდნენ. ცოტა ხნის წინ „გაზპრომმა“ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გერმანულ BASF-თან. ამ ხელშეკრულებამ რუსული გაზის საბადო გერმანელებისთვის ხელმისაწვდომი გახადა, სანაცვლოდ კი „გაზპრომმა“ ერთ-ერთ გერმანულ გაზგამანაწილებელ კომპანიაში საკუთარი წილი გაზარდა.

გერმანია ევროკავშირში რუსეთის „საყვარელ“ პარტნიორად რჩება. ასევე გერმანია მოხალისე ხელშემწყობის როლს ასრულებს რუსეთის მიერ წამოწყებულ თამაშში, რომლის მთავარი მიზანია ერთმანეთს დაუპირისპიროს ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების მომხრე რჩება, თუმცა მისი პირადი ურთიერთობები პრეზიდენტ პუტინთან ისეთი თბილი არ არის, როგორც პუტინისა და მერკელის წინამორბედის - გერჰარდ შრიოდერის ურთიერთობა იყო. რამდენიმე ხნის წინ ტომსკში გამართული რუსულ-გერმანული სამიტის დასრულებისთანავე, მერკელმა საჯაროდ განაცხადა, რომ ენერგეტიკასთან და ირანთან დაკავშირებით, მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ. თუ ზოგადად რუსულ-გერმანული სამიტების სტანდარტებით ვიმსჯელებთ, ციმბირში გამართულმა ამ შეხვედრამ არც თუ ისე კარგად ჩაიარა.

ის, რომ მერკელსა და პუტინს შორის პირადი ურთიერთობები ვერ აეწყო, სულაც არ ნიშნავს რუსეთის მიმართ გერმანული პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას. კერძოდ კი, მერკელი კვლავ მხარს უჭერს ბალტიის ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობას, რაც „გაზპრომის“, BASF-ისა და Eon-ის ერთობლივი პროექტია. ამ მილსადენის მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ მისი საშუალებით რუსული ნავთობი, პოლონეთისა და სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნების გვერდის ავლით, პირდაპირ გერმანიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში უნდა მოხვდეს.

ეს პროექტი ორმხრივი ურთიერთობების აწყობის ევროპული პრინციპის რეციდივია. თუმცა, მიუხედავად პოლონეთის თავდაცვის მინისტრის რადეკ სიკორსკის მტკიცებისა, ეს პროექტი მაინც არ არის მთლად ისეთი მასშტაბების, როგორიც ჰიტლერ-სტალინის პაქტი იყო.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ პოლონელებს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა წარმომადგენლებს აქვთ ყველა მიზეზი, რათა შეშფოთებულები იყვნენ რუსულ-გერმანული გარიგებების გამო, რომლებიც რეალურად მათი ინტერესების ხარჯზე ხორციელდება. აღნიშნული მილსადენი საშუალებას მისცემს რუსეთს, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში გაზის მიწოდება შეწყვიტოს და ამასთან გერმანიაში ბუნებრივი აირის მიწოდების მოცულობა შეინარჩუნოს. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული გაზსადენი რუსეთის აღმოსავლეთევროპელ მეზობლებს ეკონომიკურად უფრო დამოკიდებულს გახდის, პოლიტიკურად კი უფრო მოწყვლადს.

სახეზეა მკაფიო აუცილებლობა იმისა, რომ ევროკავშირმა რუსეთის მიმართ პოლიტიკა შეცვალოს. როგორც აღნიშნავს ბრიუსელში ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრის წარმომადგენელი მაიკლ ემერსონი, ევროკავშირი ორასპექტიან სტრატეგიაზე უნდა შეჩერდეს. მან უნდა შეიმუშაოს უახლოეს მომავალზე გათვლილი ერთიანი პოზიცია და გრძელვადიან პერსპექტივაში რუსულ გაზზე დამოკიდებულება შეამციროს. მანამდე კი ევროკავშირმა სერიოზული ზეწოლა უნდა მოახდინოს რუსეთზე და ამ უკანასკნელს იმ ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირება მოსთხოვოს, სადაც რუსეთში ენერგორესურსებით ვაჭრობისა და ტრანსპორტირების წესებია ჩამოყალიბებული. 1994 წელს ამ ქარტიას ხელი მოაწერა 49 ევროპულმა ქვეყანამ, თუმცა რუსეთი დღემდე უარს აცხადებს მის რატიფიკაციაზე, რადგან ტრანზიტის შესახებ პროტოკოლს არ ეთანხმება. ამ დოკუმენტის რატიფიკაციის შემთხვევაში, რუსეთი ვალდებული იქნება, გახსნას თავისი მილსადენები უცხოელი მიმწოდებლებისთვის. მარტში, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ ამ საკითხზე სასაუბროდ პუტინს შეხვდა, თუმცა შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.

ევროკავშირმა ასევე ურთიერთმხარდაჭერის მექანიზმიც უნდა განიხილოს, რომელიც ნატო-ს კოლექტიური თავდაცვის შეთანხმების ანალოგიური იქნება. ანუ, თუ რუსეთი ოდესმე გადაწყვეტს, ევროკავშირის რომელიმე ქვეყნისთვის ენერგომიწოდება შეწყვიტოს, ევროკავშირის სხვა სახელმწიფოები ვალდებულნი იქნებიან, ამ ქვეყანაში ენერგორესურსების დეფიციტის კომპენსირება მოახდინონ. აღნიშნული მექანიზმის ამოქმედება გარკვეულწილად გაანელებს იმ პოლიტიკურ შიშს, რაც ბალტიის გაზსადენის პროექტის გამო ევროპაში არსებობს.

ყველაზე ბრძნული სამოქმედო გეგმა მომავლისთვის იქნება ენერგეტიკის შემდგომი ლიბერალიზაცია, ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული მარშრუტების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება გახდეს კასპიის რეგიონიდან მომავალი მილსადენი. ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციების ჩადება შეკუმშულ თხევად აირში, რომლის ტრანსპორტირებაც უფრო ადვილია.

ერთადერთ უმნიშვნელოვანეს გრძელვადიან ზომად შესაძლოა, იქცეს ატომური ენერგეტიკის მოცულობის ზრდა, რომლის წინააღმდეგაც დღეს გამოდის ევროკავშირის წევრი არაერთი ქვეყანა, მათ შორის გერმანია. ატომური ენერგეტიკა გაზის იმპორტის საჭიროებას ვერ აგვარიდებს, მაგრამ შესაძლოა, ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი აგრესიულ მონოპოლისტ-მიმწოდებელზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიაში.

ეს მხოლოდ ცალმხრივი დამოკიდებულების პრობლემა არ არის. რუსეთი ისევეა დამოკიდებული ევროკავშირზე, როგორც ეს უკანასკნელი რუსულ გაზზე. ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან შემოსული თანხებით განებივრებული რუსეთი ეკონომიკურ რეფორმების გატარების აუცილებლობას ვერ ხედავს და ქვეყნის ავტორიტარულ პოზიციას კიდევ უფრო აღრმავებს.

აი, რატომ ხდება რუსეთი სულ უფრო და უფრო საშიში დანარჩენი ევროპისთვის. ეს სავსებით საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ევროკავშირმა რუსეთის მიმართ უფრო ეფექტური პოლიტიკა გაატაროს. სამწუხაროდ, დღეს ევროკავშირი ისევ ეკონომიკურ პატრიოტიზმში იძირება. რუსეთი კი ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია ევროკავშირს საკუთარი ინტერესების დაცვა. რა შედეგი მოჰყვება ამ ყველაფერს, ჯერჯერობით უცნობია.

# იმედის ორიენტირი - ბალტიისპირეთი

პირველი გვერდიდან

ესტონეთი ეკონომიკური სასწაულის ქვეყანა და საქართველოსთვის იმედის ორიენტირია. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში ესტონეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ესტონეთი საქართველოსთვის შექმნილ რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში საუკეთესო მაგალითია. **„რუსეთის მხრიდან ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადის მიუხედავად, ესტონეთი დღეისთვის რუსეთზე სამჯერ უფრო მდიდარი სახელმწიფოა. რუსეთმა ვერ მოახერხა ესტონეთის დაჩოქება“,** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ბრიფინგზე მან ოფიციალური განცხადება გააკეთა ეკონომიკის საკითხებში საკუთარ მრჩევლად დამოუკიდებელი ესტონეთის პირველი პრემიერ-მინისტრის მარტ ლაარის დანიშვნის შესახებ.

მისი თქმით, ლაარი უახლოეს დღეებში საქართველოში ჩამოვა და სახელმწიფო კანცელარიაში თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება. **„ეს არის ის პიროვნება, რომელმაც ესტონეთში ეკონომიკური სასწაული მოახდინა. ერთად ვიმუშავებთ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე,“** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოსა და ესტონეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ესტონეთისა და ბალტიის ქვეყნების ბაზრებიდან ფალსიფიცირებული ქართული ღვინოების ამოსაღებად ნაბიჯებს გადადგამენ. ამ მიმართულებით, ესტონეთის იუსტიციის სამინისტრო ქართულ მხარესთან ერთად იმუშავებს.

**„ბალტიის ქვეყნების ბაზრებზე უნდა იყიდებოდეს არა „სვანჭკარა“ და სხვა საეჭვო დასახელების ღვინოები, არამედ ქართული მაღალხარისხიანი ღვინოები“,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან კიდევ ერთხელ მიმართა ქართველ მეღვინეებს და მათ გააქტიურებისაკენ მოუწოდა. **„თუ ჩვენი მწარმოებლები მხარ-თეძოზე წამოწოლილნი არ იქნებიან, ორ წელიწადში რუსეთში გასაყიდ ღვინოებს სხვა ბაზრებზე გადაანაწილებენ“,** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ღვინოების სარეკლამო კამპანიაზე სახელმწიფო მილიონებს დახარჯავს. ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, უახლოეს მომავალში ტალინში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი დაინიშნება.

ამასთანავე, პრეზიდენტმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კვლავ დაასახელა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება და საქართველოს პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის დაბრუნება.

დსთ-დან შესაძლო გამოსვლასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა საქართველოსთვის თვითმიზანი არ არის და ამ საკითხზე საქართველო და უკრაინა კონსულტაციებს აწარმოებს.

როგორც ერთობლივ ბრიფინგზე ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რუუტელმა განაცხადა, ესტონეთი ყველანაირად დაუჭერს მხარს საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას და ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობას. ესტონეთის პრეზიდნეტი დარწმუნებულია, რომ საქართველო შეძლებს შიდა ტერიტორიული პრობლემების გადაჭრას და რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხის მოგვარებას.

რუსეთის მხრიდან შექმნილი ეკონომიკურ სირთულეებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თავის დროზე, მოსკოვის მსგავსი გადაწყვეტილება ესტონეთისთვის წამახალისებელ ნაბიჯად იქცა.

ესტონეთის პრეზიდენტი გუშინ პირისპირ შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესაც, რის შემდეგაც გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალს გვირგვინით შეამკო.

ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი დღეს კახეთს ეწვევა. დილიდან ის, წინანდლის რეზიდენციაში ღვინის დეგუსტაციას დაესწრება, შემდეგ მოინახულებს „თელიანი ველის“ ქარხანას, რის შემდეგაც ალავერდის სამონასტრო კომპლექსში გაემგზავრება და ისტორიულ ძეგლს დაათვალიერებს.

საღამოს, 6 საათზე დაგეგმილია პრეზიდენტისა და მისი მეუღლის სტუმრობა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია II-თან. დაახლოებით 19.00 საათზე ესტონეთის პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდება. საღამოს კი, 20.00 საათზე, არნოლდ რუუტელი დაესწრება ქართული ღვინის კონკურსში გამარჯვებული კომპანიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“.

არნოლდ რუუტელი და ესტონეთის დელეგაცია საქართველოს 13 მაისს დატოვებენ.






# წინ ნატო-სკენ

## ოპოზიციის თანხმობით და ოპოზიციის გარეშე

*პარლამენტარები გუშინ თითქმის მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ თავიანთი ევროატლანტიკური „სულისკვეთების“ დემონსტრირებას. სწორედ ასეთი განწყობის გამო მოხდა, რომ პლენარული სხდომა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო: უმრავლესობის თითქმის ყველა წევრმა თავი ვალდებულად ჩათვალა, მონაწილეობა მიეღო ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის, ესტონეთის პრეზიდენტის არნოლდ რუუტელის დახვედრის საზეიმო ცერემონიალში, რომელიც პარლამენტის ეზოში ჩატარდა. მოგვიანებით კი დეპუტატებმა საკუთარი პროევროპულობა რიგი საკანონმდებლო აქტების მიღებით გამოხატეს.*

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტარებმა ერთსულოვნად დაუჭირეს (138 მომხრე) მხარი დადგენილების პროექტს „ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ“ და ევროატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებისადმი მიმართვას. დადგენილება ავალდებულებს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, განაგრძოს ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებისთვის აუცილებელი ყველა ვალდებულების სრულად და დროულად შესრულება და ამ მიზნით, ინტენსიურად განაგრძოს მუშაობა როგორც ნატო-ს წევრი ყველა სახელმწიფოს ხელისუფლებასთან, ისე ნატო-ს საერთაშორისო აპარატთან. აღნიშნული დადგენილება ასევე შეიცავს თხოვნას ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეისა და ალიანსში შემავალი ქვეყნების პარლამენტებისადმი, რომ მხარი დაუჭირონ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პროცესის დროულად და წარმატებით დასრულებას.

**„გვსურს დაგარწმუნოთ, რომ ნატო-ში გაწევრიანების პროცედურით გათვალისწინებული მოთხოვნების გაჭიანურების შემთხვევაში, საქართველოსთვის დამატებითი დაბრკოლების შექმნა გახდება მკაფიო, წამახალისებელი გზავნილი ყველა ძალისთვის, რომელიც საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების შეფერხებითაა დაინტერესებული,“** - ნათქვამია მიმართვაში.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მცდელობა არ დააკლო, რომ აღნიშნული დადგენილებისა და მიმართვის კენჭისყრაში ოპოზიციასაც მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ვერაფერს გახდა - სამივე ოპოზიციური ფრაქცია ბოიკოტის „ერთგული“ რჩება.

**„ოპოზიცია მხარს უჭერს დადგენილების და მიმართვის ტექსტს. თუმცა, შეეძლოთ, სხდომაზე ერთი წარმომადგენელი მაინც გამოეგზავნათ და თავისი პოზიცია სიმბოლურად გამოეხატათ,“** - პოლიტიკური ბრძოლის ხერხების დახვეწას ურჩევს ბურჯანაძე ოპონენტებს.

თუმცა, ამ კუთხით გარკვეული პროგრესი მაინც შეიმჩნევა: „დემოკრატიული ფრონტი“, „მრეწველები“ და „მემარჯვენეები“ დათანხმდნენ თავიანთი წარმომადგენლების იმ კომისიაში შეყვანაზე, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების სახალხო განხილვას გაუწევს კოორდინირებას. ამ კომისიაში (თავმჯდომარე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე) „მრეწველებმა“ გიორგი ცაგარეიშვილი მიავლინეს, „დემოკრატიულმა ფრონტმა“ - კახა კუკავა, ხოლო „მემარჯვენეები“ თავის კანდიდატურას მოგვიანებით დაასახელებენ.

რაც შეეხება თავად საკონსტიტუციო ცვლილებებს, ის ქვეყნის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის რეორგანიზებას და მის გაერთიანებულ შტაბად გარდაქმნას ითვალისწინებს, რაც ასევე ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოების სურვილით არის ნაკარნახევი.

**„გენშტაბის დღევანდელი მოდელი რუსული არმიის სტრუქტურას წარმოადგენს. იგი ცალკე მუშაობს და მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ხდება შეიარაღებული ძალების სახეობების (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) შტაბების წარმომადგენელთა მოწვევა და მოსმენა. გაერთიანებული შტაბი კი მუდმივმოქმედი, ერთიანი სტრუქტურა იქნება, რომლის მუშაობაშიც ყველა სახეობის შტაბი ერთიანად ჩაერთვება. ამდენად, საჭირო ინფორმაციის მიღება და გადამუშავება ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება და არა ცალკეულ შემთხვევებში, როგორც დღეს არის,“** - ასე განმარტავს „24 საათთან“ საუბარში საკონსტიტუციო ცვლილებების არსს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე.

მოკლედ

### პოლიციაზე თავდასხმის მოტივი გასაიდუმლოებულია

დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ერთ-ერთ განყოფილებაზე რამდენიმე დღის წინ მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი სამართალდამცველებმა გუშინ გაახმაურეს. პოლიციის ინფორმაციით, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მე-4 განყოფილებას ავტომატებით შეიარაღებული ორი უცნობი დაესხა თავს. სამართალდამცველები არაფერს ამბობენ თავდასხმის მოტივის შესახებ. ამბობენ მხოლოდ იმას, რომ თავდამსხმელებმა პოლიციელი ამირან ბრეგაძე მხარში დაჭრეს და გაიქცნენ. არიან ინციდენტის თვითმხილველებიც, რომელთა თქმითაც, მათ დაინახეს, როგორ გარბოდა ორი შეიარაღებული პირი, რომლებსაც პოლიციელი მისდევდა.

პოლიციის განყოფილებაზე მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მიმდინარეობს ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრის დადგენა. მათი ვინაობა პოლიციისთვის უკვე ცნობილია. **24 საათი**

### იაპონური სააგენტოს ინფორმაცია დადასტურდა

იაპონურმა სააგენტომ „Kyodo News"-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, თბილისში, კვირას საღამოს, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორ თანამშრომელს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თავდამსხმელებმა მათ წაართვეს ფული, პასპორტები და თვითმფრინავის ბილეთები. ერთ-ერთი დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს.

იაპონელ მოქალაქეებზე თავდასხმის ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგვიდასტურეს. როგორც შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი შოთა ხიზანიშვილი აცხადებს, ორი იაპონელი მოქალაქის გაძარცვის ფაქტი ნამდვილად დაფიქსირდა, თუმცა არიან თუ არა, ისინი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობენ.

„იაპონელ მოქალაქეებზე თავდამსხმელების ვინაობა უკვე გარკვეულია და მათ უახლოეს მომავალში დააკავებენ", - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა მოგვიანებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განმარტებით, დაზარალდა ორი ტურისტი. ერთ-ერთი მათგანი საავადმყოფოშია მოთავსებული.

„ძალიან არასასიამოვნო ფაქტი მოხდა საქართველოში. დაზარალებული ტურისტი გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოინახულეს და ყველანაირი დახმარება გაუწიეს", - განაცხადა მინისტრმა. ბეჟუაშვილის თქმითვე, იაპონელი მოქალაქეები არ არიან იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ისინი რუსეთში იაპონიის საელჩოს თანამშრომლები არიან და საქართველოში ტურისტებად იმყოფებოდნენ. **24 საათი**

### მონიტორინგი ფსიქიატრიულ განყოფილებებში

სახალხო დამცველმა და ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს წევრებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილება მოინახულეს. საბჭოს წევრებმა შეისწავლეს საყოფაცხოვრებო პირობები, პალატებში არსებული მდგომარეობა და გაეცნენ ზოგად პრობლემებს. საბჭოს წევრებმა გამოიყენეს ფოტოაპარატი და დოკუმენტურად აღბეჭდეს იქ არსებული სიტუაცია.

როგორც სახალხო დამცველი აცხადებს, ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის საბჭო ინტენსიურად გააგრძელებს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში არსებული მდგომარეობის შესწავლას და მონიტორინგის შედეგებს ფართო საზოგადოებას გააცნობს.

სოზარ სუბარი პირადად შეხვდა და ესაუბრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების განყოფილებებში მოთავსებულ პატიმრებს, რომლებსაც სხვადასხვა სახის დახმარება სჭირდებათ. კერძოდ, მძიმე სნეულების გამო მათ ესაჭიროებათ სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა, ან განუკურნებელი მძიმე სენის გამო, აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის - სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა.

„შევისწავლი ამ პატიმართა პრობლემებს და რეკომენდაციებითა და წინადადებებით მივმართავ შესაბამის უწყებებს", - აცხადებს ომბუდსმენი. **24 საათი**

### კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებული მებაჟე და მეწარმე

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, გატარებული ღონისძიებების შედეგად, მეწარმის, მებაჟისა და საშუამავლო ფირმის მიერ ერთობლივად ჩადენილი დანაშაული გამოვლინდა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ინდმეწარმე „ნინო ედიშერაშვილმა" აზერბაიჯანიდან საქართველოში დიდი რაოდენობით ბავშვის ფეხსაცმელი და ტანსაცმელი შემოიტანა. „წითელ ხიდზე" მან საბაჟო ტრანზიტის ფორმა აიღო და ტვირთი განსაბაჟებლად ნატახტარში მდებარე ტერმინალ „თბილისში" გადაიტანა.

გამოძიების ინფორმაციით, ამის შემდეგ, ნინო ედიშერაშვილი საშუამავლო ფირმის, შპს „ევროალიანსის" ხელმძღვანელს ბადრი გუმბერიძეს დაუკავშირდა და სთხოვა, სასაქონლო მანიპულირებით ისეთი პარამეტრები გამოეყვანა, რითაც სახელმწიფოსთვის კუთვნილ გადასახადს შეამცირებდა. გუმბერიძემ მას მართლაც გადასცა არასრული მონაცემები, რისი საშუალებითაც მეწარმემ გაყალბებული საბაჟო დეკლარაცია შეადგინა და საბაჟო დეპარტამენტს წარუდგინა.

რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთის" საბაჟო გაფორმების განყოფილების ინსპექტორმა მამუკა ბლიაძემ დეკლარაციაში მითითებული გაყალბებული მონაცემების საქონელთან შედარება არ მოახდინა, რითაც ნინო ედიშერაშვილს კონტრაბანდის შემოტანაში ხელი შეუწყო. ექსპერტიზით დადგენილია, რომ ამ მანიპულირების შედეგად იმპორტის ღირებულება 51 ათასი ლარით შემცირდა.

ფინანსური პოლიციის მეორე ოპერატიულ სამმართველოში გამოძიება „საბაჟო წესის დარღვევის" მუხლით მიმდინარეობს. სამივე პირი ეჭვმიტანილად არის ცნობილი. ედიშერაშვილი და ბლიაძე უკვე წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილი. კონტრაბანდის შემოტანაში თანამონაწილეობის გარდა, მებაჟეს ბრალად „სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაც" ედება. **ინტერპრესნიუსი**

### ეუთო-ს მისიის ტრენინგები ქართველი პოლიციელებისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს თოთხმეტმა თანამშრომელმა საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ ორგანიზებული კრიზისული სიტუაციების საწვრთნელი კურსი დაამთავრა.

მოსამზადებელი კურსი სამართალდამცველებისთვის კრიტიკულ მდგომარეობაში, კერძოდ კი, მძევლად აყვანისას, გამტაცებლებთან ურთიერთობის სწავლას ითვალისწინებდა.

„მოლაპარაკების პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარება სასიცოცხლოდ აუცილებელია. კმაყოფილნი ვართ, რომ სამინისტროს მსგავსი ტიპის ტრეინინგებს ვუტარებთ", - აცხადებს ეუთო-ს მისიის წარმომადგენელი საქართველოში როი რივი.

ქართველ სამართალდამცველებს თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას საფრანგეთის პოლიციის სპეციალური დანაყოფის RAID-ის ოფიცრები უტარებდნენ.

„კურსის შედეგად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დანაყოფთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. ტრეინინგის მონაწილეებმა სასწავლო მასალა პროფესიონალურ დონეზე აითვისეს და დარწმუნებული ვარ, რომ მას შესაბამისად გამოიყენებენ", - განაცხადა საფრანგეთის საელჩოს დაცვის სამსახურის ატაშემ ჟერარ პისარმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტეტერორისტული და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტების, ასევე სპეციალური ოპერაციების ცენტრ „შავნაბადას" ოფიცრებისთვის ტრენინგები ეუთო-ს მისიის ანტიტეტორორისტული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. **ინტერპრესნიუსი**

### გაუქმდება თუ არა გუანტანამოს ციხე?

დიდი ბრიტანეთის გენპროკურორმა პიტერ გოლდსმიტმა გუანტანამოში სამხედრო ციხის არსებობას „არასასურველი" უწოდა და საზოგადოებას მისი გაუქმებისკენ მოუწოდა.

გოლდსმიტი მიიჩნევს, რომ სატუსაღოს არსებობა ამერიკული ფასეულობების იმ პრინციპებს აყენებს ეჭვქვეშ, რომლებიც თავისუფლებაზეა დაფუძნებული.

აღსანიშნავია, რომ გუანტანამოში არსებული სამხედრო ციხე არაერთგზის გამხდარა საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის საგანი.

აღნიშნული ციხე 2002 წელს ავღანეთში საომარი ოპერაციების დაწყებისთანავე გაიხსნა. აშშ-ს მთავრობამ გუანტანამოს ციხეში დაკავებული ადამიანების შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სია გამოაქვეყნა. საიდანაც გაირკვა, რომ პატიმართა უმრავლესობა ტუსაღობაში ოთხ წელზე მეტ ხანს იმყოფება.

საინტერესოა, რომ ამ ციხის გაუქმებას აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც ეთანხმება. მან არაერთგზის აღნიშნა, რომ ძალიან უნდა ციხის ლიკვიდაცია და პატიმართა სასამართლოსთვის გადაცემა. ამისთვის კი აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო. იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გაასამართლოს გუანტანამოს ციხეში მყოფი პატიმრები - სამოქალაქო სასამართლომ თუ სამხედრო ტრიბუნალმა, ამ გადაწყვეტილებას აშშ-ის უმაღლესი სასამართლო, სავარაუდოდ, ივნისში გამოიტანს.

საინტერესოა ისიც, რომ გუანტანამოს სამხედრო ციხის დახურვას გაერო და გერმანიის კანცლერი ანგელლა მერკელიც მოითხოვდნენ, მაგრამ აშშ-დან უარი მიიღეს.

„მისი ფუნქციონირება ამერიკელი ხალხის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია", - განაცხადა მაშინ ბუშმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პოლიციელის ჩვენება - პოლიციელის დაკავების საფუძველი

*ფოთის სასამართლოში წლების წინ მომხდარი დანაშაულის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს. 2001 წლის 14 ივლისს ფოთის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებული და ფოთის პოლიციის სამმართველოში გადაყვანილი, ქურდობაში ეჭვმიტანილი თემურ მიქია მოგვიანებით პოლიციის ეზოში დაგდებული იპოვეს. მას მძიმე ჭრილობები ჰქონდა მიყენებული, რის გამოც, იგი საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. თუმცა, თემურ მიქიამ მოასწრო იმ პოლიციელთა გვარების დასახელება, რომლებმაც, მისივე თქმით, იგი სასიკვდილო მდგომარეობამდე მიიყვანეს.*

ქეთინო ჯაკობია
ფოთიდან

მომხდარი სკანდალური შემთხვევიდან ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა და ჯერჯერობით საქმე ლოგიკური შედეგით არ დასრულებულა.

წინასწარი გამოძიების მიერ შექმნილ ათტომიან საქმეში, მართალია, იმ პოლიციელთა გვარებია მითითებული, რომელთა დასახელებაც მიქიამ მოასწრო, მაგრამ მათ დანაშაულებრივ ქმედებაზე საბრალდებო დასკვნა გამოძიებამ, რატომღაც, აღარ დაწერა - მიქიას გარდაცვალებაში დამნაშავე კონკრეტული პირების ბრალეულობა დაიმალა და ბრალი მხოლოდ რიგით პოლიციელებს წაუყენეს, მათ, ვისაც მიქიასთან შეხება, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ.

თავდაპირველად საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. მოგვიანებით კვალიფიკაცია შეიცვალა და პოლიციის რიგითები სამსახურეობრივ გადაცდომაში, გულგრილობასა და საბუთების გაყალბებაში დაადანაშაულეს. მიქიას ოჯახის წევრთა დაინტერესების შედეგად, საქმე არ დაიხურა და მართალია, წლების შემდეგ, მაგრამ საქმის განხილვა ფოთის სასამართლოში დაიწყო.

სასამართლოს სხდომაზე წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება შეცვალა განსასჯელმა, ფოთის შს სამმართველოს შემოვლითი ჯგუფის ყოფილმა უფროსმა მურთაზ მიგინეიშვილმა.

**„შანტაჟისა და მუქარის შემდეგ იძულებული გავხდი, საბუთები გამეყალბებინა.**

**თავის დროზე გამოძიებას, გენერალურ პროკურატურასაც წინასწარ დამუშავებული ჩვენება მივეცი. არა მარტო მე, ჩემს ოჯახსაც განადგურებით ემუქრებოდნენ. პოლიციის სამმართველოში დაბრუნებულს ტრანსპორტის პოლიციიდან გადმოყვანილი მიქია სამორიგეო ნაწილში მძიმე მდგომარეობაში დამხვდა. გაქცევასა და გადახტომას თუ აპირებდა, ამას ჩემთან გააკეთებდა, როცა მარტო მყავდა დაკითხვაზე და არა 4 პოლიციელის თანდასწრებით,"** - განაცხადა მიგინეიშვილმა და მასზე ზეწოლის განხორციელებაში ფოთის პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსები - თორნიკე საჯაია და მარლენ სმაგინი, ასევე, ფოთის მაშინდელი პროკურორი გია ხარჩილავა დაადანაშაულა.

მურთაზ მიგინეიშვილს მას შემდეგ, რაც მან სასამართლოს აღიარებითი ჩვენება მისცა, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალეს - გირაოს სახით 3000 ლარის გადახდის შემდეგ, იგი პატიმრობიდან პირობით გაათავისუფლეს.

პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა ფოთის პოლიციის ყოფილმა უფროსმა თორნიკე საჯაიამ მიგინეიშვილის ჩვენება კატეგორიულად უარყო, თუმცა, იგი დაკითხვის შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ მაინც დააკავა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი თორნიკე საჯაია რამდენიმე დღის წინათ დააკავეს და მას საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობაც შეუფარდა.

ადვოკატმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს ბრძანებით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი მაღალჩინოსანი თორნიკე საჯაია კვლავ წინასწარ პატიმრობაში დარჩა. მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ არ დააკმაყოფილა თორნიკე საჯაიას ადვოკატის დავით ნიშნიანიძის შუამდგომლობა. ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს, საჯაიას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით 20 000 ლარის გადახდას სთავაზობდა. გუშინდელ პროცესს ბრალდებული საკუთარი სურვილით არ დაესწრო.

საჯაიას ადვოკატი ირწმუნება, რომ სამართალდამცველებმა საჯაიას ბრალი ხელოვნურად დაუმძიმეს. საჯაიას ინტერესების დამცველი უახლოეს დღეებში იმ დოკუმენტაციის საჯაროდ გამოქვეყნებას გეგმავს, რომლის მიხედვითაც, მისი განმარტებით, ბრალდებულის უდანაშაულობა დასტურდება.

თორნიკე საჯაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, მათ შორის მტკიცებულების ფალსიფიკაციისა და განზრახ უკანონო დაკავება-დაპატიმრების მუხლებით წაუყენეს. გამოძიება თორნიკე საჯაიას თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაშიც ადანაშაულებს. საუბარია იმ პერიოდზე, როდესაც საჯაია ფოთის პოლიციის უფროსი იყო.

მიქიას საქმესთან დაკავშირებით აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს მარლენ სმაგინსაც.

გია ხარჩილავას კი სასამართლო მოწმის სტატუსით დაკითხავს.

გადააგდეს თუ თავად გადახტა თემურ მიქია პოლიციის სამმართველოს შენობიდან? ვინ მიაყენა მას, ფაქტობრივად, სასიკვდილო ჭრილობები? - ეს ის შეკითხვებია, რომელზეც გარდაცვლილის ოჯახის წევრები პასუხს ითხოვენ. თემურ მიქაიას დედა, დაზარალებული ლამზირა მიქია აცხადებს, რომ სიმართლის დასადგენად ბოლომდე იბრძოლებს. თორნიკე საჯაიას სასამართლო პროცესს ესწრებოდა თემურ მიქიას დედა ლამზირა მიქია. როგორც მიქიამ განაცხადა, თორნიკე საჯაიას სწორედ მისი შვილის უკანონო დაკავებას და მტკიცებულებების ფალსიფიკაციას ედავებიან. ლამზირა მიქიას ინფორმაციით, თემურ მიქია ტელევიზორის მოპარვისთვის იყო დაკავებული, რაც შემდგომში არ დადასტურდა. ლამზირა მიქიას მტკიცებით, თემურ მიქია სამართალდამცველებს წამების დროს მოკლეს.

# გაერო-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

ნუკა გაგუა

არასამთავრობო ორგანიზაციებმა - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო სადოკუმენტაციო ცენტრმა" და „საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდმა" გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტში ხელისუფლების ალტერნატიული ანგარიში წარადგინეს.

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი სოფო ჯაფარიძე იმყოფებოდა. იგი კომიტეტში მოხსენებით გამოვიდა, რის შემდეგაც, წამების წინააღმდეგ სპეციალურ მომხსენებელს მანფრედ ნოვაკსაც შეხვდა.

სოფო ჯაფარიძის თქმით, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის შემდეგ გაერო-ს კომიტეტის წევრებს არაერთი შეკითხვა გაუჩნდათ:

რეფორმების მიუხედავად, რატომ რჩება წამება კვლავ პრობლემად საქართველოში?

რატომ არ ხდება საქმეების აღძვრა წამების მუხლით?

რატომ ხდება სახელმწიფოს მხრიდან წამების მსხვერპლთა კომპენსირების ვალდებულების გაუთავებელი გადავადება?

რატომ არის ციხეში სიკვდილიანობის სტატისტიკა ასე მაღალი?

რა იყო 2006 წლის 27 მარტს საპყრობილეებსა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩატარებული სპეცოპერაციის ნამდვილი მიზეზი?

რამდენად კარგადაა დაგეგმილი ბოლო პერიოდში განხორციელებული სპეცოპერაციები?

ეს ის შეკითხვებია, რომელიც უცხოელმა ექსპერტებმა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელს დაუსვეს და რომლითაც საქართველოს ხელისუფლებასაც მიმართავენ.

სოფო ჯაფარიძის განცხადებით, პატიმართა გარდაცვალების ძირითადი მიზეზებია ავადმყოფობა, ძალადობა და თვითმკვლელობა. თუმცა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, თვითმკვლელობად მიჩნეულ შემთხვევათაგან ყველა არ იყო თვითმკვლელობა. თანაც, პატიმართა წამების შემთხვევაში საქმის აღძვრა ხდება არა შესაბამისი მუხლით, არამედ სხვა, შედარებით უფრო მსუბუქი მუხლით.

სოფო ჯაფარიძის ინფორმაციით, შემაშფოთებელია ციხეებში გარდაცვლილთა სტატისტიკა. კერძოდ, 2004 წელს ციხეებში გარდაიცვალა 43 ადამიანი. 2005 წელს 47. ხოლო 2006 წლის პირველ კვარტალში 17.

**„სპეცოპერაციების დროს დაღუპულ პირთა სტატისტიკაც შემაძრწუნებელია. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი ამ სტატისტიკას სამართალდამცველთა მაღალი პროფესიონალიზმით ხსნის. აქვე უნდა აღინიშნოს ორი დღის წინ ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც, ერთმა პოლიციელმა მეორე დაჭრა. ეს ფაქტი მათ არაპროფესიონალიზმზე მიგვანიშნებს,"** - აცხადებს სოფო ჯაფარიძე.

ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ალტერნატიულ ანგარიშთან ერთად გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს გადაეცა.

**„სამწუხაროდ, წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა კვლავ მთავარ პრობლემად რჩება. იმისათვის რომ აღმოიფხვრას წამება, ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციები - შევიდეს ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლითაც დაკავებული პირის ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამება დაუშვებელი იქნება",** - აცხადებს სოფო ჯაფარიძე.

მთავრობის ანგარიშისა და არასამთავრობოების ალტერნატიული ანგარიშის საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც 19 მაისს საქართველოს მთავრობას გადასცემს.



# სამგზავრო მატარებლების მოძრაობის განრიგი

## ძალაშია 1 ივნისიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩქარი და სამგზავრო მატარებლები | | | |
| თბილისი-ბათუმი | დღის მატარებელი № 852 | გასვლის დრო – 8. 50<br>ჩასვლის დრო – 14.57 | ყოველდღიური |
| ბათუმი-თბილისი | დღის მატარებელი № 851 | გასვლის დრო – 8. 50<br>ჩასვლის დრო – 15.30 | ყოველდღიური |
| თბილისი-ფოთი-ოზურგეთი-ზუგდიდი-ქუთაისი<br><br>შემადგენლობა იყოფა სამტრედიაში შემდეგი მიმართულებებით:<br><br>თბილისი-ფოთი | დღის მატარებელი № 24 | გასვლის დრო 9.50<br>ჩასვლის დრო 16.53 | ყოველდღიური |
| ფოთი–თბილისი | დღის მატარებელი №24 | გასვლის დრო 9.50<br>ჩასვლის დრო 17.36 | ყოველდღიური |
| თბილისი-ოზურგეთი | დღის მატარებელი №23 | გასვლის დრო 9.45<br>ჩასვლის დრო 16.53 | ყოველდღიური |
| ოზურგეთი–თბილისი | დღის მატარებელი №24 | გასვლის დრო 9.50<br>ჩასვლის დრო 17.40 | ყოველდღიური |
| თბილისი-ზუგდიდი | დღის მატარებელი №23 | გასვლის დრო 9.05<br>ჩასვლის დრო 16.53 | ყოველდღიური |
| ზუგდიდი–თბილისი | დღის მატარებელი №24 | გასვლის დრო 9.50<br>ჩასვლის დრო 17.00 | ყოველდღიური |
| თბილისი-ქუთაისი | დღის მატარებელი №23 | გასვლის დრო 9.30<br>ჩასვლის დრო 16.53 | ყოველდღიური |
| ქუთაისი-თბილისი | დღის მატარებელი №24 | გასვლის დრო 9.50<br>ჩასვლის დრო 14.50 | ყოველდღიური |
| | დღის მატარებელი №23 | გასვლის დრო 12.20<br>ჩასვლის დრო 16.53 | ყოველდღიური |
| თბილისი-ბათუმი | ღამის მატარებელი № 652 | გასვლის დრო 0.30<br>ჩასვლის დრო 7.22 | ყოველდღიური |
| ბათუმი-თბილისი | ღამის მატარებელი № 651 | გასვლის დრო 0.20<br>ჩასვლის დრო 6.54 | ყოველდღიური |
| თბილისი-ფოთი | ღამის მატარებელი № 650 | გასვლის დრო 1.00<br>ჩასვლის დრო 8.03 | ყოველდღიური |
| ფოთი-თბილისი | ღამის მატარებელი № 649 | გასვლის დრო 0.50<br>ჩასვლის დრო 7.30 | ყოველდღიური |
| თბილისი-ზუგდიდი | ღამის მატარებელი № 602 | გასვლის დრო 23.00<br>ჩასვლის დრო 6.47 | ყოველდღიური |
| ზუგდიდი-თბილისი | ღამის მატარებელი № 601 | გასვლის დრო 23.00<br>ჩასვლის დრო 6.10 | ყოველდღიური |
| თბილისი-ოზურგეთი | ღამის მატარებელი № 654 | გასვლის დრო 22.20<br>ჩასვლის დრო 6.40 | ყოველდღიური |
| ოზურგეთი-თბილისი | ღამის მატარებელი № 653 | გასვლის დრო 22.45<br>ჩასვლის დრო 6.30 | ყოველდღიური |
| ადგილობრივი სამგზავრო და საგარეუბნო მატარებლები | | | |
| თბილისი-შინდისი | დღის მატარებელი № 696 | გასვლის დრო 10.40<br>ჩასვლის დრო 12.50 | ყოველდღიური |
| შინდისი-თბილისი | დღის მატარებელი № 695 | გასვლის დრო 5.45<br>ჩასვლის დრო 8.12 | ყოველდღიური |
| თბილისი-ბორჯომი | დღის მატარებელი № 686 | გასვლის დრო 17.00<br>ჩასვლის დრო 20.55 | ყოველდღიური |
| ბორჯომი-თბილისი | დღის მატარებელი № 685 | გასვლის დრო 7.00<br>ჩასვლის დრო 11.03 | ყოველდღიური |
| თბილისი-სადახლო | დღის მატარებელი № 612 | გასვლის დრო 14.45<br>ჩასვლის დრო 16.45 | ყოველდღიური |
| სადახლო-თბილისი | დღის მატარებელი № 611 | გასვლის დრო 5.00<br>ჩასვლის დრო 7.10 | ყოველდღიური |
| ხაშური-ვალე | დღის მატარებელი № 614 | გასვლის დრო 14.30<br>ჩასვლის დრო 19.00 | ყოველდღიური |
| ვალე-ხაშური | დღის მატარებელი № 613 | გასვლის დრო 5.20<br>ჩასვლის დრო 10.30 | ყოველდღიური |
| თბილისი-გარდაბანი | დღის მატარებელი № 6414 | გასვლის დრო 7.10<br>ჩასვლის დრო 7.59 | ყოველდღიური |
| გარდაბანი-თბილისი | დღის მატარებელი № 6413 | გასვლის დრო 8.15<br>ჩასვლის დრო 9.03 | ყოველდღიური |
| ბათუმი-ქუთაისი | დღის მატარებელი № 684 | გასვლის დრო 8.20<br>ჩასვლის დრო 12.50 | ყოველდღიური |
| ქუთაისი-ბათუმი | დღის მატარებელი № 683 | გასვლის დრო 17.10<br>ჩასვლის დრო 20.58 | ყოველდღიური |
| ზუგდიდი-ქუთაისი | დღის მატარებელი № 698 | გასვლის დრო 7.50<br>ჩასვლის დრო 11.08 | ყოველდღიური |
| ქუთაისი-ზუგდიდი | დღის მატარებელი № 697 | გასვლის დრო 12.25<br>ჩასვლის დრო 15.50 | ყოველდღიური |
| ხაშური-ზესტაფონი | დღის მატარებელი № 6446 | გასვლის დრო 8.30<br>ჩასვლის დრო 10.50 | ყოველდღიური |
| ზესტაფონი-ხაშური | დღის მატარებელი № 6445 | გასვლის დრო 18.30<br>ჩასვლის დრო 20.40 | ყოველდღიური |

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"-ის ნომინანტები

| | | | |
|---|---|---|---|
| საუკეთესო პროზაული კრებული | | | |
| 1 | შოთა იათაშვილი | **ფოტომამები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ვანო ჩხიკვაძე | **ზამთრის წიგნი** | ქუთაისი |
| 3 | ბექა ქურხული | **სახლი სხვაგან** | საარი |
| 4 | დათო ტურაშვილი | **აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი** | ლიტერა |
| საუკეთესო რომანი | | | |
| 1 | აკა მორჩილაძე | **ვენერას სიზმარი** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ნინო ჯიბლაძე | **სიყვარული ამერიკაში** | სეზანი |
| 3 | ბესიკ ხარანაული | **ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| საუკეთესო პოეტური კრებული | | | |
| 1 | ელა გოჩიაშვილი | **შაბიამანი** | დიოგენე |
| 2 | ზვიად რატიანი | **გზები და დღეები** | არეტე |
| 3 | რატი ამაღლობელი | **წრე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | ნუგზარ ზაზანაშვილი | **გაუგზავნელი წერილებიდან** | საარი |
| საუკეთესო დებიუტი | | | |
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | **იანვრის მდინარე** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | დათო ქარდავა | **ნოეს მტრედები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | ზვიად დევდარიანი | **მრავალჯერადი გული** | სტამბა "ფორმა" |
| საუკეთესო თარგმანი | | | |
| 1 | მარი ლუიზე კაშნიცი | **ლექსები** | რუსუდან ლვინეფაძე |
| 2 | ამელი ნოტომი | **კრძალვითა და ცახცახით** | მზია ბაქრაძე |
| 3 | | **ბჰაგავადგიტა** | ლევან რამიშვილი |
| საუკეთესო პიესა | | | |
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | **პიესები** | სიესტა |
| საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა | | | |
| 1 | ტარიელ ჭანტურია | **დინოზავრიდან დიზაინამდე** | მერანი |
| 2 | ირმა რატიანი | **ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში** | თსუ გამომცემლობა |
| 3 | აგი აბაშიძე | **ილია ჭავჭავაძე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | მარინა ბერიძე | **პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან** | უნივერსალი |

# „წვნიანის ქილა" გაიყიდა

ენდი უორჰოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი „წვნიანის ქილა" კრისტის აუქციონზე 11,8 მილიონ დოლარად გაიყიდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ნამუშევარი ნებისმიერი კოლექციონერის ოცნებაა, რადგანაც უორჰოლის ცნობილი ქილების სერია მხოლოდ ექვსი ნახატისგან შედგება. მათი გამოჩენა აუქციონზე კი დიდი იშვიათობა ყოფილა.




აუქციონზე ბევრისთვის ცნობილი კიდევ რამდენიმე ნამუშევარი გაიყიდა. 3 მილიონ დოლარად იყიდეს დენიელ ჰერსტის ერთ-ერთი ნამუშევარი. ეს თანხა ამ ავტორისთვის საკმაოზე ბევრად მეტია. დონალდ ჯადის 1993 წელს შესრულებული ობიექტი კი 2,7 მილიონ დოლარად შეიძინეს. როგორც ჩანს, აუქციონზე რეკორდულ თანხებს მიაღწია თანამედროვე მხატვრების ნამუშევართა ღირებულებამ.

ენდი უორჰოლის ნამუშევრის მფლობელი გახდა მილიარდერი კოლექციონერი ელი ბროდი. მისთვისი უორჰოლის ძვირადღირებული ნახატი სულაც არ ყოფილა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი. რამდენიმე ხნის წინ მან 28 მილიონად შეიძინა დევიდ სმიტის ქანდაკება. როგორც ამბობენ, მდიდრული კოლექციის შევსებას ელი ბროდი სხვა შენაძენებითაც აპირებს.

## მოკლედ

### რელიკვიებს გადაასვენებენ

საქართველოს სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმის წარმოების დეპარტამენტის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივიდან 11 მაისს საპატრიარქოში გადაასვენეს ანჩის სახარება და თამარის სიგელი. 14 მაისს კი ამ ისტორიულ რელიკვიებს სამების საკათედრო ტაძარში დაასვენებენ.

ანჩის სახარება შესრულებულია XII-XIII საუკუნეში ეტრატზე, ნუსხურით. სახარება მოჭედილია ვერცხლით და შემკულია უბრალო თვლებით. ყდისა და შიდა გვერდების მხატვრობა ეკუთვნის ბექა ოპიზარს.

სახარებას ბოლოში აქვს მინაწერი, რომელშიც სახარების გადამწერი ანჩელი მთავარეპისკოპოსი თევდორე მოიხსენიებს დავით სოსლანს, თამარ მეფეს, ლაშა გიორგისა და ოქროს მქანდაკებელ ბექას.

თამარის სიგელი კი 1189 წელს არის შესრულებული ტყავზე, მხედრულით. იგი სოფელ ჭორვილას შეწირულობის სიგელია, რომელიც გამოცემულია თამარ მეფის მიერ გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი და დამტკიცებულია თამარის ხელრთვით. ამ სიგელით თამარმა გელათის მონასტერში სარჩოს გარეშე მყოფ 12 ბერს მუდმივი შემოსავალი გაუჩინა.

### კოტე წერეთლის სახლ-მუზეუმი

ქართული სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში სემიტოლოგიისა და ებრაული ენის კათედრის დამფუძნებლის, აკადემიკოს კოტე წერეთლის 85 წლის იუბილეს მაისში აღნიშნავს. კოტე წერეთლის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის თამარ მახარაშვილის ინფორმაციით, საიუბილეო დღეები 28-დან 31 მაისამდე გაიმართება.

იგეგმება შეხვედრა ებრაულ სახლში. საზეიმო სხდომა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სემინარი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, საჩხერეში კოტე წერეთლის სახლ-მუზეუმის გახსნა და საჯარო ბიბლიოთეკაში კოტე წერეთლის ვაჟის სოსო წერეთლის ნახატების გამოფენა.

მახარაშვილის თქმით, საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთიდან ჩამოსული სემიტოლოგები. კოტე წერეთლის იუბილე თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ამ ღონისძიებისთვის დედაქალაქის მთავრობამ 20 ათასი ლარი გამოყო.

### წიგნის მე-8 საერთაშორისო ფესტივალი

25-28 მაისს თბილისში გაიმართება წიგნის მე-8 საერთაშორისო ფესტივალი. ღონისძიების ორგანიზატორია „წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია".

ფესტივალზე მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს წამყვანმა ქართულმა და უცხოურმა გამომცემლობებმა, მათ შორის „მეგამ" (თურქეთი) და „ენევომ" (რუსეთი).

„იგეგმება მთელი რიგი ღონისძიებები და პრეზენტაციები", - განაცხადეს ასოციაციაში. ფესტივალი საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში" მოეწყობა.

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

- საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის შენობაში გამაგრებისა და სხვადასხვა სახის აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 8 ლოტის მიხედვით:**

1. პარლამენტის შენობის "ა" კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები.
2. პარლამენტის შენობის სარდაფში ფეკალური და სანიაღვრე კომუნიკაციების შეცვლის სამუშაოები.
3. პარლამენტის შენობის შიდა ეზოების, შადრევნების, შემოსავლელი ცხაურების აღდგენა-კეთილმოწყობის სამუშაოები.
4. პარლამენტის შენობაში არსებული საზოგადოებრივი და ინდივიდუალური სანკვანძების სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
5. პარლამენტის შენობის სარდაფში მოსმენათა დარბაზის მოსაწყობად მზიდი ლითონის კოჭების დამზადებისა და მონტაჟის სამუშაოები.
6. პარლამენტის შენობაში პლენარულ სხდომათა დარბაზის გადახურვის შემინული ნაწილის აღდგენისა და შენობის ღია ვერანდებზე ჰიდროიზოლაციისა და კერამიკული ფილების მოწყობის სამუშაოები.
7. პარლამენტის შენობის ფასადის ეკლარის ქვით მოპირკეთების დამთავრების და დაზიანებული პილიასტრის აღდგენითი სამუშაოები.
8. პარლამენტის შენობის სამუშაო ოთახებისა და კაბინეტების მიმდინარე სარემონტო და "ა" კორპუსში წიგნების მაღაზიის მოწყობის სამუშაოები.

- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 1 ივნისის 1200 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 1 ივნისის 12.00 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

გ) მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო (იყვნენ) მსჯავრდებულ(ნ)ი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის (მათ) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის (მათ) სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

დ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ვ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ,

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ,

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 1 ივნისის 12.00სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2006 წლის 1 ივნისის 12.00სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

- ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი:** გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული მკურნალობა;

**II ლოტი:** მოზრდილთა გულის ქირურგია (აჭარის ა/რ მოსახლეობის გარდა).

***შენიშვნა: ტენდერში მონაწილე ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამედიცინო სტანდარტის შესრულება.***

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 ივნისს, 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართებისა და ბარათების წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

13. ტენდერში გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული.

14. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608; ტელ.: E-mail: **Procurement@susif.ge**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში "მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და იმ ბავშვების სამედიცინო დახმარების, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას" კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სამედიცინო დახმარება;

II ლოტი: მუდმივ, ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ ბავშვთა სამედიცინო დახმარება.

***შენიშვნა: 3-15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული სამედიცინო დახმარება განხორციელდება 3-15 წლამდე ბავშვთა სამედიცინო დახმარების სტანდარტების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ პათოლოგია არ შედის სახელმწიფო პროგრამების სტანდარტებში, მისი მკურნალობა განხორციელდება დამტკიცებული შიდა სტანდარტების მიხედვით.***

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 ივნისს, 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართებისა და ბარათების წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

13. ტენდერში გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608; ტელ.: E-mail: **Procurement@susif.ge**

**სატენდერო კომისია**

# ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს უნივერსიტეტის ლოგოს დიზაინზე

**ტექნიკური დავალება**

- ლოგო უნდა იყოს მიმზიდველი, მარტივი, ადვილად აღსაქმელი და შინაარსობრივად შესაბამისი.
- წარმოდგენილი უნდა იყოს ლოგოს კომპიუტერული დიზაინი და ნამუშევრის ამონაბეჭდი ფერად პრინტერზე. *(ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ლოგოს ელექტრონული ვერსიაც)*
- ლოგოს შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ევროპული საუნივერსიტეტო ტრადიციები;
- სასურველია ლოგოში ჩანდეს საქართველოს ისტორია და ტრადიციები;
- სასურველია ლოგოში ჩანდეს ორი უნივერსიტეტის - სულხან საბა ორბელიანის სახელობის და ილია ჭავჭავაძის სახელობის გაერთიანების ფაქტი;
- სასურველია ლოგოში ფიგურირებდეს ექვსი წიგნი (როგორც ახლად შექმნილი უნივერსიტეტის ექვსი ფაკულტეტის სიმბოლო);
- ფერად ლოგოსთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შავ - თეთრი ორიგინალიც.
- ლოგოს დიზაინისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ლოგო შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა დანიშნულებით (ოფიციალური ბეჭედი, კონვერტი, სავიზიტო ბარათი, ბლანკიანი ფურცელი, სარეკლამო ქაღალდი, ქაღალდი, თავფურცელი, ვებ-გვერდი და სხვ.)

**კონკურსში წარსადგენი მასალა**

- ერთ კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს ლოგოს რამდენიმე ვერსია.
- მასალა წარმოდგენილი უნდა იქნას ორი დალუქული კონვერტით.
- პირველ დალუქულ კონვერტში რომელსაც ზემოდან ეწერება "ლოგო", მოთავსებული იქნება ლოგოს ესკიზი (ესკიზები) და ასევე მოკლე შინაარსობრივი ახსნა - განმარტება.
- მეორე დალუქულ კონვერტში, რომელსაც ზემოდან ეწერება "კონკურსანტი" წარმოდგენილი იქნება კონკურსანტის რეკვიზიტები, მისი საქმიანობისა და გამოცდილების მოკლე აღწერა, სამუშაოს დასი და ასევე განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რექტორის გ. თევზაძის სახელზე.
- ორივე კონვერტი თავსდება გარე კონვერტში, რომელსაც აწერია ადრესატის ზუსტი მისამართი. გარე დალუქულ კონვერტს ზემოდან უნდა ეწეროს "კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგოს შესაქმნელად".

**კონკურსის პირობები და ვადები**

- საკონკურსო ნამუშევრების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 25 მაისი, 18 საათი, მისამართი ქ.თბილისი, 0179 ი. ჭავჭავაძის გამზ. N32.
- კონკურსის მონაწილეებმა შესაძლებელია თავად წარმოადგინონ საკონკურსო ნამუშევრები ან გამოგზავნონ აღნიშნული მასალები ფოსტით;
- გამარჯვებული გამოცხადდება 29 მაისს;
- გამარჯვებული ლოგოს ავტორის ჰონორარი შეადგენს 500 ლარს;
- შესარჩევი კომისია იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს გამარჯვებული, თუკი მისი გადაწყვეტილებით არცერთი წარმოდგენილი ვარიანტი არ იმსახურებს გამარჯვებას.

საკონკურსო პირობების განმარტებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონტაქტო პირებს *ალექსანდრე იაკობაშვილს, ხათუნა მიქაუტაძეს* შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, 0179 ი. ჭავჭავაძის გამზ. N32. ტელ: 294709;

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: გასაწევი სანიტარული მომსახურების საერთო ფართი შეადგენს 1,5 კმ სიგრძის საავტომობილო გზას (ლოტკინის მთიდან - N1 პლაჟამდე) და 150000 მ2 საპლაჟე ტერიტორიას, მათ შორის N1 პლაჟი ფართით - 90000 მ2, N2 პლაჟი - ფართით 60000 მ$^2$, მისასვლელი გზისა და პლაჟის დასუფთავება.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3.**განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 6 ივნისის 12 საათიდან 2006 წლის 6 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებულს;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 მაისის 12 საათიდან 2006 წლის 6 ივნისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

### ა.წ. 16 მაისს 11 საათზე ქ. თბილისის მერიაში (თავისუფლების მოედანი N2) მოწვეულია ქ. თბილისის მთავრობის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის ეკონომიკურ-პოლიტიკური საქალაქო სამსახურის მიერ 2005-2006 წლებში გაწეული საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ.
2. სხვადასხვა.

## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 28 აპრილს, გაზეთ "24 საათში" (N91) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის, უმავთულო რადიოკავშირის მოწყობილობებისა და საქალაქთაშორისო კომუტატორის მომსახურების შესყიდვას.

პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის, უმავთულო რადიოკავშირის მოწყობილობების, საქალაქთაშორისო კომუტატორის და რიკოთის საუღელტეხილო გადასასვლელზე საკონტროლო გამშვები პუნქტის მოწყობილობის მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

მომსახურებას ექვემდებარება:

- კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სხვადასხვა მარკის კაბელების ქსელი სულ 63300 გრ.მ საქართველოს რეგიონებში: თბილისი, ქუთაისი, ფასანაური, კობი, გუდაური, ბოლნისი, კახეთის რეგიონი, რიკოთის საუღელტეხილო გადასასვლელი, გორი, ზესტაფონი და სხვა, 12 და 60 ვოლტიანი მუდმივი დენის წყაროები, დენის გამმართველები და ა.შ.
- "კოდანის" ტიპის უმავთულო რადიოკავშირის სისტემების სტაციონალური და მობილური მოწყობილობები სულ 36 კომპლექტი დამონტაჟებული საქართველოს მთიანი რეგიონების საგზაო მეურნეობების საყრდენ პუნქტებში და მანქანა-მექანიზმებზე, ფასანაური, კობი, გუდაური, კახეთის რეგიონი, ხულო, მესტია და ა.შ
- საქალაქთაშორისო კომუტატორის მომსახურება;
- რიკოთის საუღელტეხილო გადასასვლელზე საკონტროლო გამშვები პუნქტის მოწყობილობა;

კავშირგაბმულობის ნაგებობებისა და საინფორმაციო წყაროების მომსახურება (ტექნიკური მოვლა-შენახვა) მოიცავს:

I კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზების ტექნიკური მომსახურების მიზანია:

- კავშირგაბმულობის ნაგებობების შეუფერხებელი და მაღალხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფა;
- საკაბელო ხაზების შენახვა დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების ფარგლებში;
-- სახაზო ნაგებობების ხანგრძლივი მუშაობის და მათი საიმედობის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება;
- პირველადი აღრიცხვიანობისა და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციის წარმართვა;

II. ტექნიკური მომსახურება, თავისი მოცულობის და პერიოდულობის მიხედვით განისაზღვრება, როგორც მიმდინარე მომსახურება და საგეგმო-პროფილაქტიკური მომსახურება რომელიც ხორციელდება დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

III. სახაზო ნაგებობების შეკეთებას;

IV. სახაზო ნაგებობების დაცვას გარე ელექტრომაგნიტური ზემოქმედებისა და კოროზიისაგან;

V. საქალაქთაშორისო კომუტატორის შეუფერხებელი და მაღალხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფას

**სატენდერო კომისია**

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
## (11 მაისი)

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე შ.პ.ს. "საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტი" - ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს მთავრობამ "ათასწლეულის გამოწევის კორპორაციასთან" გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ("ხელშეკრულება") მიიღო გრანტი ('გრანტი") და განზრახული აქვს გრანტის ნაწილის გამოყენება დაცვის სამსახურის მომსახურების შესასყიდად.

2. ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს", რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციას იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს თავისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად (ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ანალოგიური მომსახურების ჩამონათვალს, ორგანიზაციაში შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, პერსონალის ბიოგრაფიულ მონაცემებს, სარეკომენდაციო წერილებს შესრულებული მომსახურების შესახებ და ა.შ.).

3. მომსახურება მოიცავს ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ორი ოფისისთვის 24/7 ტიპის მომსახურებას. შერჩეულმა ფირმამ უნდა უზრუნველყოს ფონდის თანამშრომლების/სტუმრების მუშაობა საიმედოდ დაცულ გარემოში და შეასრულოს ამგვარი მომსახურებისთვის დამახასიათებელი სხვა სამუშაოები ფონდის შინაგანაწესის მიხედვით. შერჩეულ ფირმასთან გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება, რომელიც წარმატებული თანამშრომლობის შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელება ყოველწლიურად პროექტის განხორციელების პერიოდში.

4. დაინტერესებულ პირებს მოეთხოვებათ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მომწოდებლის პერსონალთან შემდეგია:

ა) გუნდის ხელმძღვანელი
- ასაკი 25-45;
- ფიზიკურად ჯანმრთელი (მოითხოვება ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის გათვალისწინებულ ფორმატში);
- სასურველია გააჩნდეს უმაღლესი განათლება, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი მოთხოვნა;
- გავლილი უნდა ჰქონდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური;
- უნდა გააჩნდეს სამთავრობო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- უნდა გააჩნდეს კარგი მენეჯერული და გუნდის ლიდერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- უნდა გააჩნდეს ადამიანებთან კომუნიკაციის და მოლაპარაკებების უნარი;
- უნდა გააჩნდეს კარგი მეტყველების, წერის და პრეზენტაციის უნარი.

ბ) გუნდის წევრები
- ასაკი 20-40;
- ფიზიკურად ჯანმრთელი (მოითხოვება ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის გათვალისწინებულ ფორმატში;
- სასურველია გააჩნდეს უმაღლესი განათლება, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი მოთხოვნა ;
- გავლილი უნდა ჰქონდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური;
- უნდა გააჩნდეს მსგავს სტრუქტურებში მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.

5. მომსახურების მომწოდებელი შეირჩევა მისი გამოცდილების, კვალიფიკაციის და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, იმ პროცედურებით რომელიც აღწერილია ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" შესყიდვების სახელმძღვანელოში. (იხ. www.mcg.ge).).

6. ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მასალები მოწოდებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2006 წლის 25 მაისისა მისამართზე: ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს", სანაპიროს ქ. N4.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" შესყიდვების დირექტორისგან გიორგი თვალავაძისგან მისამართზე: ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს", სანაპიროს ქ. N4. ტელ: 939 112, 939 113, 939 133. ელ. ფოსტა: g.tvalavadze@mcg.ge

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

TBC-TV სატელევიზიო სტუდია აცხადებს კონკურსს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის პროექტის ტექნიკურ დავალებაზე - „დაცული ტერიტორიების შესახებ ფილმებისა და სარეკლამო რგოლების" სცენარების შესარჩევად და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესასრულებელი სამუშაოები**

**- სატელევიზიო ფილმების სცენარები**

- უნდა მომზადდეს ოთხი დოკუმენტური ფილმის სცენარი. თითოეული ცალ-ცალკე უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ცალკეული დაცული ტერიტორიის შესახებ და ასახავდეს მათი ლანდშაფტის, ფლორისა თუ ფაუნის მრავალფეროვნებას. ფილმი, ასევე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარკის ადმინისტრაციაზე, ტურისტულ მარშრუტებზე, ტურისტულ თავშესაფარზე, საკემპინგე-საპიკნიკე ადგილებზე და სხვა.

**- სარეკლამო რგოლები**

უნდა მომზადდეს ოთხი სატელევიზიო სარეკლამო რგოლის სცენარი.

- პირველი რგოლი უნდა იყოს ზოგადი ინფორმაციული ხასიათის, სადაც აქცენტი გაკეთდება საქართველოს ბიომრავალფეროვნების უნიკალურობასა და ზოგადად დაცული ტერიტორიების შესახებ;
- მეორე რგოლი უნდა იყოს გამაფრთხილებელი ხასიათის და მოემსახუროს დაცულ ტერიტორიებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთას. ის უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე.
- მესამე რგოლი უნდა იყოს ასევე გამაფრთხილებელი ხასიათის, სადაც აქცენტი უკანონო ქმედების შედეგად გამოწვეულ ზიანზე გაკეთდება.
- მეოთხე რგოლში ყურადღება გამახვილდება ეკოტურიზმზე, მის შინაარსზე და დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ტურისტულ პოტენციალზე.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. კონკურსში მონაწილე პირის CV (კურიკულუმ ვიტა)
2. სცენარები

**ვადა:**

მასალების მოწოდების ვადა განისაზღვრება 2006 წლის 29 მაისამდე, 15:00 სთ-მდე

**დამატებითი ინფორმაციისთვი მოგვმართეთ:**
**თბილისი. გულუა ქ. 6; მე-6 სართული**
**ტელ\ფაქსი: 755060**
**e-mail: phasis@iczm.org.ge**
**საკონტაქტო პირი: ვახტანგ ჯალიაშვილი**

## ტენდერი: ტრენინგისა და გადამზადების პროგრამის განხორციელება

**განმცხადებელი:** სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სამოქალაქო რეესტრის რეფორმის პროექტი

***სამოქალაქო რეესტრისა და საინდენტიფიკაციო დოკუმენტაციის რეფორმის პროექტი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო***

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო იწვევს განათლებისა და გადამზადების უზრუნველყოფის სფეროში სპეციალიზირებულ აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შესაბამისი პროფილის არამომგებიან და კომერციულ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების განხორციელებისთვის პარტნიორის შესარჩევ ტენდერში.

**სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადამზადების მიმდინარე მოთხოვნებია:**

- მომხმარებელთან ურთიერთობის პრაქტიკა
- ოფისის მენეჯმენტი
- გუნდური მუშაობა პროფესიულ გარემოში
- ანგარიშების მომზადების უნარ-ჩვევები
- შესაბამისი კანონმდებლობისა და მთავრობის ბრძანებულებების გაცნობა

**აღნიშნული პროექტის განხორციელებით დაინტერესებულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:**

- მოკლე აღწერა განაცხადის შემომტანი ორგანიზაციის სტატუსის, გამოცდილებისა და პროფილის შესახებ;
- ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ;
- გადამზადების გეგმა და მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა
- გადამზადების თითოეული კურსის დეტალური აღწერა (მათ შორის სასწავლოს საათების რაოდენობა, ამომწურავი ინფორმაცია საკითხავი მასალის შესახებ, დავალებების სახეობა, შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები)
- პროექტის სამუშაო გეგმა;
- პროექტში დაკავებულ პედაგოგებთა პროფესიული ბიოგრაფიები(CV);
- პროექტის დეტალური ბიუჯეტი ევრო-ში.
-

**გადამზადების ხანგრძლივობა:** გადამზადების პროგრამის პროექტი დეტალურად ინფორმაციას უნდა იძლეოდეს ყველა ზემო-ჩამოთვლილი სფეროების შესახებ. თითოეულ საკითხს სასურველია დაეთმოს საშუალოდ 10 სასწავლო საათი/სესია (საშუალოდ 90 წუთი თითოეული სესიისთვის).

**მონაწილეობის უფლება:**

ტენდერში მონაწილეობის მიღება დაშვებულია მხოლოდ განათლებისა და გადამზადების უზრუნველყოფის სფეროში სპეციალიზირებული დარეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის

**შეფასების პროცესი:**

სამი კრიტერიუმის კომბინაცია: კონკურენტული ფასი, საინტერესო პროექტი და გამოხატული გამოცდილება ანალოგიური პროექტების წარმატებულ გამხორციელებაში განსაზღვრავს შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილებას.

**ინფორმაცია სააგენტოს შესახებ:** სამოქალაქო რეესტრის სააგენტო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს საქართველოს მოსახლეობის დოკუმენტირება/აღრიცხვას, პირადობის დამადასტურებელი მოწმობებისა და პასპორტების გაცემას და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა **30 მაისი, 2006**

დაინტერესებულ კომპანიებს განაცხადის შემოტანა შეუძლიათ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: info@cra.gov.ge

გთხოვთ გზავნილის თემაში მიუთითოთ ტენდერის სახელი: **გადამზადების პროგრამის განხორციელება; Training Program Implementation**

## საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0105, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, შიდამიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით, მიგრანტთათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

ტენდერში მონაწილე პირების მიერ შემოთავაზებული უნდა იქნეს საცხოვრებელი სახლები შემდეგი რაიონების მიხედვით:

I ლოტი წალკის რაიონი - 70 საცხოვრებელი სახლი;
II ლოტი თეთრიწყაროს რაიონი - 30 საცხოვრებელი სახლი;
III ლოტი დმანისის რაიონი - 30 საცხოვრებელი სახლი;
IV ლოტი ბოლნისის რაიონი - 30 საცხოვრებელი სახლი;
V ლოტი მარნეულის რაიონი - 20 საცხოვრებელი სახლი;
VI ლოტი საგარეჯოს რაიონი - 20 საცხოვრებელი სახლი;
VII ლოტი ახმეტის რაიონი - 20 საცხოვრებელი სახლი.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის სახლების მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების დღიდან 2006 წლის 15 სექტემბრამდე.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტში, ქართულ ენაზე, წარმოდგენილი უნდა იქნეას 2006 წლის 31 მაისიდან 2006 წლის 6 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მე-3 სართული, ოთახი №313, 38-52-97, სატენდერო კომისიის აპარატი.

3. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 6 ივნისს 15 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დზადებული ყადაღა;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შედარების საფუძველზე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 6 ივნისამდე, 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგ. № 200122900, სახაზინო კოდი 302003000. დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - 2288. ქ. თბილისი 0108. ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მისამართზე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, სატენდერო კომისიის აპარატი.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთ ლოტზე ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-3 სართული, ოთახი №313. ნ. ღუდუშაური, ნ. ჩაჩუა.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1% ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

**სატენდერო კომისია**

# რიკი და ლაიზა ბეირუთში



მაისში ლიბანის დედაქალაქში დაიწყება მუსიკალური ფესტივალი. ბეირუთის კონცერტების სერიას გახსნიან რიკი მარტინი და ლაიზა მინელი. ორივე მათგანი 27 მაისს პირველად გამოვა არაბულ სამყაროში.

დასავლელი ვარსკვლავების გარდა, ფესტივალის ფარგლებში კონცერტებს გამართავენ ლიბანის ესტრადის დედოფალი სუად მასი, ლონდონის სამეფო თეატრის საბალეტო დასი, რომელსაც ცნობილი მოცეკვავე სილვი გიიომი ხელმძღვანელობს, საცეკვაო ანსამბლი Stomp და ჯაზის არაერთი ვირტუოზი.

ბეირუთის მუსიკალური ფესტივალი 1987 წლიდან ტარდება. მას შემდეგ ამ საკურორტო ქალაქში ყოველწლიურად იკრიბებიან მსოფლიო ვარსკვლავები.

# ახალციხის ქორეპისკოპოსი სომხური სამლოცველოს დანგრევას ითხოვს

დაბა ვალეს წმინდა გიორგი სახელობის ეკლესიაში სომხებმა თვითნებურად ჩააშენეს პატარა სამლოცველო. ამ ტერიტორიაზე იყო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ჩაშენებული ტაძარი მცირე ზომისაა, შორიდან არ ჩანს, რამაც განაპირობა კიდეც მისი აშენება.

ამჟამად სომხების მიერ აშენებულ ეკლესიაში განთავსებულია სკამები, ხატები და სხვადასხვა ნივთები, რომლებიც ტაძრის კეთილმოწყობისთვის აუცილებელია.

„წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებში სომხების მიერ ტაძრის ჩაშენება აღმაშფოთებელი ფაქტია. ეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო საკუთრების ხელყოფაა. შენობა უნდა დაინგრეს. სამწუხაროა, რომ ეს მშენებლობის დამთავრებამდე ვერავინ გაიგო, რადგან თავისი ზომით ტაძარი შეუმჩნეველი იყო“, - განაცხადა ახალციხის ქორეპისკოპოსმა მეუფე თევდორემ.

ვალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XII საუკუნით თარიღდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" მიერ ქ. თბილისში, ვირსალაძის ქ. N3-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათზე არსებული წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ**

გაზეთ "24 საათის" 19.04.2006წ N85, გაზეთ "მესაკუთრეს" 15.04.2006წ N15 და გაზეთ "სიტყვა და საქმეს" 21-25.04.2006წ გამოშვებებში გამოქვეყნდა ინფორმაცია ქ. თბილისში, ვირსალაძის ქ. N3-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათზე არსებული წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" მიერ გამოცხადებული აუქციონის თაობაზე.

შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" დაინტერესებულ პირებს დამატებით აცნობებს, რომ აუქციონზე გამოტანილი შენობა-ნაგებობები დაკავებული აქვთ გარეშე პირებს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ობიექტის მყიდველს (აუქციონში გამარჯვებულ პირს) ეკისრება მითითებული ფართის გამოთავისუფლება საკუთარი ძალებით და გამყიდველის პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოირიცხება.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

2006 წლის 1 მაისს კავშირთან - "ბავშვთა სოციალური მომსახურების ცენტრი" გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდებაზე 2006 წლის მაისი-დეკემბრის თვეებში.

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

# „ფიქრთა ნაკადი“

## ორცხობილა, პრეზიდენტი, სტალინი, „პარადი“, ზეიმი და სხვა - ყველაფერი ერთად



რეკლამის ცუდი გაგება გვაქვს ქართველებს. როდესაც რეკლამირება გვინდა, უმეტეს შემთხვევაში ანტირეკლამა გამოგვდის, ანტირეკლამის დროს კი – რეკლამა. ლიტერატურული პრემია „საბას“ წინააღმდეგ, მწერალმა ზაზა ბურჭულაძემ პრესკონფერენცია გამართა. შეიძლება ტელეჟურნალისტებმა ცუდად დაამონტაჟეს სიუჟეტი, მაგრამ რაც დავინახეთ - ამ პრემიის ძალიან წარმატებული რეკლამა იყო. განაწყენებული მწერალი, სამჯერადი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ პრემიის დამაარსებლების, ორგანიზატორების და ჟიურის წევრების მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს. ამისათვის საუკეთესო საშუალება ხომ კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმაა?! თანაც, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ობიექტურ შეფასებას ქართველი ხალხი, კიდევ ძალიან დიდხანს ვერ ისწავლის!

ობიექტურმა ჟიურიმ ყველასათვის მოულოდნელად, ერთი ქართველი კინორეჟისორი დააჯილდოვა. გელა ბაბლუანის ფილმმა „ცამეტი“ ვენეციაში „მომავალი ოქროს ლომი“, სანდენსის ფესტივალზე კი საუკეთესო უცხოური ფილმისათვის მთავარი ჯილდო მიიღო. გარდა ამისა, ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში ჩვენებები გაიმართა, მომავალ თვეს ამერიკის კინოეკრანებზე გამოვა და შემდეგ მსოფლიოს კინოგაქირავებაში ჩაეშვება. ამ ფილმის ჩვენება გუშინ ქართულ კინოთეატრებშიც დაიწყო. ქართულ კინოეკრანზე გამოსვლამდე ყველა ტელეკომპანიამ მიაკითხა: „გვიამბეთ ფილმის შესახებ“, „ელოდით ასეთ წარმატებას?“, „მოგვიყევით, რის შესახებ არის ფილმი?“... ასეთი შინაარსის იყო მოკლე კითხვები გელა ბაბლუანთან. მთავარ კითხვას ყველა ბოლოსთვის ინახავდა: „მართლა ნახეთ ბრედ პიტი?“ ეს ყველაზე აქტუალური, მნიშვნელოვანი და საინტერესო ეტაპი აღმოჩნდა ბაბლუანის ბიოგრაფიიდან.

საქართველოში რომ ბრედ პიტი ჩამოვიდეს, რა მოხდება? არ ვიცი, ამ დროს რას მოიმოქმედებს საქართველოს, სახალხო დღესასწაულების მოყვარული ხელისუფლება, მაგრამ აქ, ქართველი ხალხის თვითშემოქმედება, დარწმუნებული ვარ, პიკს მიაღწევდა და ბატონ ბრედს დაუვიწყარ ზეიმს მოვუწყობდით, თანაც....

როგორ გვიყვარს დღესასწაულები, ზეიმები, ხალხის გართობა... სხვა ქვეყანა არც მეგულება, სადაც ასეთი სიხშირით იხდიან იუბილეებს, წლისთავებს, ორი წლისთავებს, სამი წლისთავებს, დაბადების დღეებს, მრგვალ თარიღებს, სახელობებს და ა.შ. და ა.შ. რევოლუციის ერთი წლისთავი, ორი წლისთავი, აჭარის გათავისუფლების ერთი და მეორე წლისთავი, თავისუფლების დღე, გამარჯვების დღე და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ერთზე მწყდება გული, ბუშის ჩამოსვლის ერთი წლისთავი როგორ არ აღვნიშნეთ?! რა კარგი იქნებოდა, ისევ იმ ადგილას შევკრებილიყავით ამდენი ხალხი, ჩაგვეტარებინა იგივე კონცერტი, გვემღერა, გვეცეკვა, გვემხიარულა, ტაში დაგვეკრა...

ერთი ისტორია გამახსენდა, მაშინ, როდესაც უშანგი ჩხეიძეს სცენის ფობია გაუჩნდა, ვერიკო ანჯაფარიძემ მის იუბილეზე ერთ-ერთი სცენა, უშანგი ჩხეიძის ხმასთან ერთად შეასრულა. როგორც ამბობენ, ძალიან შთამბეჭდავი იყო. ასე რომ, დამდგარიყო ჩემი პრეზიდენტი და ბუშინ ხმასთან ერთად მისი ვიზიტის იუბილე გაეთამაშებინა, მგონი შესანიშნავი იქნებოდა. გული მწყდება გულწრფელად!

თან, რა გადასარევი პლაკატები გვქონდა, მაგალითად: „Mr. Bush you can save us“, რამხელა მოწიწება, როგორი ქედის მოხრა, სამაგალითო! მაინც განუმეორებელი ერი ვართ! აი, ბრედ პიტს, ალბათ, ასეთი შინაარსის პლაკატებს დავუმზადებთ: „ბრედ, ჩვენ შენი ვართ!“

ერთი არ მომწონს მხოლოდ, ბუშის ვიზიტის დროს, თავისუფლების მოედანზე, გამახსენდა, ერთ-ერთ ტრიბუნაზე, სათანადო ფერებში გამოწყობილი ახალგაზრდები, საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების დროშებს რომ განასახიერებდნენ. შორიდან შეხედავდი და მოძრავი, ლივლივა დროშები ფრიალებდა. კარგია, ლამაზი, მაგრამ კომუნისტებს მახსენებს, - ჩემს ბავშვობაში რა ფორმებს აღარ აკეთებდნენ „პარადებზე“, ლენინის სახე, ენგელსის, მარქსის, საბჭოთა კავშირის დროშა, რას არ იგონებდნენ. აი, მას შემდგე ჩვენი შოუების სანახაობრივი დონე რომ არ ამაღლდა, ამაზე გულწრფელად მწყდება გული!

ქაქუცა ჩოლოყაშვილი რა პომპეზურობით ჩამოასვენეს, სიტყვებს არ იშურებდნენ, ყველას უხაროდა, მეც გამეხარდა, თვალზე ცრემლიც კი მომადგა, მაინც რა მთავრობა გვყავს?! ვიფიქრე, - ეროვნული გმირი სამშობლოში დააბრუნეს, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის ბიოგრაფიას ესეც ხომ დაემატება, მასაც გმირად რომ შერაცხავენ. ოღონდ, ძალიან მალე, სიცოცხლეშივე! მხოლოდ ერთი ვერ გავიგე, ერთი წელი საფლავის მოპირკეთებას რაში სჭირდება?! ასე არ გამოიყენონ ჩემი გმირი პრეზიდენტი, ვშიშობ.

არადა, ძვირფასი ჩემი პრეზიდენტი, როგორი მრავალმხრივია, სრულყოფილია პრაქტიკულად! რა გინდა, რომ არ ეხერხებოდეს: ცეკვა, სიმღერა, ფეხბურთი, კალათბურთი, თხილამური, ეკონომიკა, იურისპრუდენცია, სამხედრო საქმე, სოფლის მეურნეობა. რა კარგად, მკაცრი და პრინციპული პედაგოგივით დატუქსა ამასწინათ მინისტრები. ზოგს არ მოეწონა, მაგრამ რა ჩემი პრეზიდენტის ბრალია?! ვინც აძლევს ამის უფლებას, იმას ტუქსავს. რის უფლებასაც მივცემთ, იმას გააკეთებს, მეფეა ის ამ ქვეყნის!

მუშტი სჭირდება ამ ქვეყანას, მუშტი! რამდენჯერ უთქვამს ტაქსის მძღოლს, მკაცრი ხელი უნდა ქართველ ხალხს, შიში უნდა ჰქონდეს მთავრობის და მერე პატიოსნად იცხოვრებსო. ეს ხალხის მთავრობაა და ამიტომ ხალხის დაკვეთას ასრულებს, ამიტომ ეჭვმიტანილებს ადგილზე კლავენ. ვინმე უდანაშაულოც თუ შემოაკვდათ, უკეთესი იქნება, კიდევ უფრო დააშინებენ და დააფრთხობენ ხალხს. მიზანს მივაღწიეთ - ახლა ხომ ყველას ეშინია, ქურდსაც და პატიოსანსაც! სხვანაირად ამ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. დღესაც უყვარს ხალხს სტალინი, ზოგს არ უყვარს, მაგრამ მისი მკაცრი ხელი ბევრს ენატრება. დღეს სტალინს აღარავინ აიტანს და მისი რაფინირებული, დახვეწილი და ლიბერალიზებული ვარიანტი, რომელიც ჩვენს წინაშეა, შესანიშნავია!

ძილის წინ გემრიელი ორცხობილას თანხლებით ვიფიქრე, რომ თანამედროვე საქართველო დღეს პროგრესის მიმართულებით მიდის. დღეს ყველაფერი უკეთესია, მხოლოდ იმ ეპოქიდან გადმოსროლილმა, გემრიელმა „პეჩენია“ „К чаю“-მ შემახსენა, რომ ერთ მშვენიერ საღამოს შესაძლებელია, წარსული აწმყოდ იქცეს!

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაცია**

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაქვეყნებთ 2006 წლის 10 მაისისთვის დასრულებულ ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

1. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებების შესყიდვაზე ხელმეორედ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "GSC" (ლოტი N3, N7 და N8 - საერთო ღირებულება - 40450 ლარი) და შპს "ბეტა" (ლოტი N4 და N6 - საერთო ღირებულება - 206155 ლარი).

2. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში ინდივიდუალური საქვაბე, თბოქსელი და გათბობის შიდა სისტემის მოწყობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "კომფორტი" (საერთო ღირებულება - 153305 ლარი).

3. ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "თეგეტა მოტორსი" (საერთო ღირებულება - 148754 ლარი).

4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პრეტენდენტები: შპს "ვეგა მოტორსი 2002" (ლოტი N1 და N3 - საერთო ღირებულება - 390484 ლარი) და შ.პ.ს. "სილქ როუდ მოტორსი" (ლოტი N2 და N4 - საერთო ღირებულება - 47180 ლარი).

ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

**სატენდერო კომისია**

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 3 მაისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისის ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების (14 ლოტიანი) კაპიტალური შეკეთების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 3 მაისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისის ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების (14 ლოტიანი) კაპიტალური შეკეთების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:**

ქ. თბილისის ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების კაპიტალური შეკეთების სახელმწიფო შესყიდვას დაემატოს 2 ლოტი :

15 ლოტი - მარტყოფის ქუჩის მონაკვეთი (მარტყოფის ქუჩის შესახვევიდან მარტყოფის ქუჩის ბოლომდე);

16 ლოტი - აგლაძის ქუჩა N34-ში I და Ia კორპუსებს შორის შიდაკვარტალური გზა.

**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ფინანსური პოლიცია ფალსიფიცირებული ღვინის წინააღმდეგ

## ესტონეთი ქართული ღვინის იმპორტით დაინტერესდა

## პარლამენტში კონკურსში გამარჯვებული მეღვინეები მიიღეს

B3

## "შელის" და ყაზახეთის პარტნიორობა ფართოვდება



## საპრივატიზაციო ობიექტებს რეალურ თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად აფასებენ

## საქართველო ესტონეთს საპრივატიზაციო ობიექტებს სთავაზობს

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3981 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0079 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4932 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8115 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8426 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1832 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3103 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3149 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3135 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4790 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3484 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3394 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1634 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3792 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1981 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2569 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4090 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6459 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2699 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6516 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3978 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2982 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6016 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6086 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0670 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1575 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4055 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5635 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4857 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6237 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8878 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2038 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1477 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4440 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2480 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4865 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0818 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2264 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2337 |




# ვერდიქტი გამოტანილია

### ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა

*ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შესახებ გუშინ გადაწყვეტილება მიიღო. სემეკის თავმჯდომარის გიორგი თავაძის განცხადებით, თბილისსა და რეგიონებში ელექტროენერგიის ტარიფი საფეხურებრივი იქნება.*

მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 16 თეთრი იქნება, ხოლო მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 301 კილოვატ საათზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 17,69 თეთრი იქნება. რაც შეეხება რეგიონებს, 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის მოხმარების დროს ერთი კვტ/საათის ფასი 12,98 თეთრი იქნება, 101-დან 300 კილოვატ/საათიდან - 16,52 თეთრი, ხოლო 301 კილოვატ/საათის ზემოთ - 17,49 თეთრი. ეს ტარიფები არ ეხება კახეთისა და აჭარის რეგიონებს, რადგან ამ რეგიონებში დამოუკიდებელი ენერგოკომპანიები მოქმედებენ, რომლებსაც სატარიფო განაცხადები კომისიაში დამოუკიდებლად აქვთ წარდგენილი.ახალი ტარიფები პირველი ივნისიდან ამოქმედდება, ხოლო მანამდე სემეკის ეს დადგენილება იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზას გაივლის.



B3

# ედისონის პირმშო

### General Electric-მა მსოფლიო შეცვალა და გააუმჯობესა

*ამერიკული კონგლომერატი General Electric-ი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია გახლავთ. 128 წლის წინ დაარსებული ეს სახელგანთქმული კორპორაცია Forbes-ის რეიტინგში მეორე ადგილზეა, უამრავ ქვეყანაში, წარმოების სხვადასხვა სექტორში მოღვაწეობს და მსოფლიო ბაზრის თითქმის მეხუთედს აკონტროლებს.*

გამოგონებების მოკლე ჩამონათვალი, რომლებითაც General Electric-ი განსაკუთრებით ამაყობს: ხმის მიცემის ელექტრონული აპარატი (გამოიგონეს 1862 წელს), საბირჟო ტელეგრაფი (1870), ტელეფონის ნახშირის მემბრანა (1870), საბეჭდი მანქანა (1872), ფონოგრაფი (1877), ვარვარების ნათურა (1880), ელექტრომრიცხველი (1881), კინეტოსკოპი (1891), კინოკამერა (1895), ტუტოვანი აკუმულატორი (1900), ამერიკის მთავრობის შეკვეთით შემუშავებული ახალი ტიპის ელექტროსკამი (1900), ტოსტერი (1905), ნათურის ვოლფრამის ძაფი (1910), მაცივარი (1917), აშშ-ში პირველი რადიოგადაცემა (1922), ელექტრომზიდი (1923), ხმოვანი კინო (1926), აშშ-ში პირველი ტელეგადაცემა (1928), კაუჩუკოვანი რეზინა Firestone-ს საბურავებისათვის (1929), FM სიხშირეებზე გადაცემა (1940), თვითმფრინავის რეაქტიული ძრავი, (1942), ელექტრონული მიკროსკოპი (1942), ავტომატური სარეცხი მანქანა (1947), ხელოვნური ალმასი (1955), ჰალოგენური ლამპა (1956), ატომური რეაქტორი (1957), საწერი კალმისათვის კარბიდის ბურთულა (1960).



B2

# ალექსიშვილმა გაერო-ს მდგრადი განვითარების კომისიის სესიას უხელმძღვანელა

*მიმდინარე წლის 1-12 მაისს ნიუ-იორკში გაეროს მდგრადი განვითარების კომისიის მეთოთხმეტე სესია გაიმართა, რომელსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი თავმჯდომარეობდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ასეთი რანგის საერთაშორისო ფორუმს საქართველოს წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა. ამ საპატიო თანამდებობაზე ქართველი მინისტრი 2005 წლის აპრილში აირჩიეს.*




B3

## აშშ-ს ბირჟაზე კლება დაფიქსირდა







გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. რამდენიმე დამაიმედებელი კორპორაციული სიახლის მიუხედავად, ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდამ და ნავთობისა და ძვირფასი ლითოების გაძვირებამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,49 პროცენტით, 11.585,58 პუნქტამდე მოიკლო. 0,6 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.306,93 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,37 პროცენტით, 1.319,01 პუნქტამდე შემცირდა.

## ნავთობზე ფასების ზრდა გრძელდება

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე ფიუჩერსების (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ გაძვირება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის 73,11 ფასმა დოლარს მიაღწია, 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობი კი 72,86 დოლარი ღირდა.

ანალიტიკოსთა აზრით, მიუხედავად აშშ-ში ნავთობისა და ბენზინის მარაგის გაზრდის შესახებ გაკეთებული განცხადებისა, ნავთობის გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი საავტომობილო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ამერიკაში ბენზინის დეფიციტის საფრთხეა. გარდა ამისა, ნავთობის ფასების ზრდას კვლავინდებურად განაპირობებს ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი და ნიგერიაში არსებული დაძაბული ვითარება და ვენესუელასა და ბოლივიის მთავრობების დემარში.

## ძვირფასი ლითონები საოცრად გაძვირდა

გუშინ ძვირფას ლითონებზე ფასებმა ისევ მოიმატა. აზიის ბირჟაზე 1 უნცია ოქრო 712,94 დოლარი ღირდა, რაც მხოლოდ 1980 წლის 24 იანვარს დაფიქსირებულ სარეკორდო მაჩვენებელს - 717 დოლარს ჩამოუვარდება. 1 უნცია პლატინის ფასმა კი ახალ აბსოლუტურ რეკორდს - 1274,5 დოლარს მიაღწია.

ძვირფასი ლითონების ამგვარი გაძვირების მიზეზად კვლავ რჩება ირანის ბირთვული პროგრამის და დოლარის კურსის ვარდნის გამო შექმნილი არადაიმედებელი სიტუაცია.

## ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი გაზარდა

აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი ზედიზედ მეხუთედ, ამჯერად 4,75-დან 5 პროცენტამდე გაზარდა. ეს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია.

ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ეს გადაწყვეტილება ახალი თავკაცის, ბენ ბარნანკეს მიერ ხელმძვანელობით გამართულ მეორე სხდომაზე მიიღო. ექსპერტები მოვლენათა სწორედ ამგვარ განვითარებას ვარაუდობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ბაზარი გონს ჯერ კიდევ ვერ მოვიდა პოსტიდან ალან გრისპენის გადადგომის შემდეგ, რომელიც ფონდს 18 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ამასთან მიანიშნა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პაუზის აღებას და ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდისაგან თავის შეკავებას აპირებს. შემდეგი გაზრდის დრო და მაჩვენებელი ეკონომიკის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული, აღნიშნულია ფონდის განცხადებაში. თუმცა, ექსპერთა უმრავლესობა თვლის, რომ განაკვეთის ზრდა უახლოეს მომავალში გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ აპრილში კონგრესში გამოსვლისას ბენ ბარნანკემ განაცხადა, რომ ინფლაციური დაუბალანსებლობის მიუხედავად, ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდა შეყოვნდებოდა. ამან უოლ სტირტის დაიმედება განაპირობა, სადაც ჩათვალეს, რომ განაკვეთის გაზრდა ნებისმიერ შემთხვევაში გადაიდებოდა. თუმცა, ბარნანკეს შემდეგმა მოქმედებამ აჩვენა, რომ მისი სიტყვები არასწორად გაიგეს.

## America Online საფრანგეთსა და გერმანიაში იყიდება

მსოფლიოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა ინტერნეტ-პროვაიდერმა America Online-მა 2006 წლის დასაწყისიდან მოყოლებული 835 ათასი მომხმარებელი დაკარგა, რის გამოც კომპანიის ხელმძღვანელობა თავისი ბიზნესის საფრანგეთსა და გერმანიაში გაყიდვას აპირებს. ორივე ქვეყანაში America Online-ს ბრძოლა ორ დიდ კონკურენტთან მოუწევს. France Telecom და Deutche Telekom ამერიკულ ინტერნეტ-პროვაიდერს ევროპულ ბაზარზე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან. ანალიტიკოსები ამ გარიგებას 700 მილიონ ევროდ (890 მილიონი დოლარი) აფასებენ. America Online მედიაჰოლდინგ Time Warner-ის შემადგენლობაში შედის. ინტერნეტ-პროვაიდერის შემოსავლები 2006 წლის პირველ ნახევარში 7%-ით შემცირდა და ამ ეტაპზე, მხოლოდ 1,98 მლიარდ დოლარს შეადგენს. ამასთან, მედიაჰოლდინგ Time Warner-ის წილი გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღევანდელი მონაცემებით 1,46 მილიარდ დოლარს შეადგენს. აღნიშნული მედიაჰოლდინგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ორგანიზაციად ითვლება. მის შემადგენლობაში America Online-ის გარდა, სტუდია Warner Brothers, ტელეარხი CNN და კიდევ რამდენიმე სხვა კომპანიაც შედის.

## Cadillac კომპაქტურ კუპეზე მუშაობს

კომპანია Genaral Motors-ი Cadillac-ის მარკის კომპაქტურ კუპეზე მუშაობს. ახალი ავტომობილი 2007 წელს გამოვა და Cadillac CTS-ის სედანის თაობის ავტომობილების პლატფორმაზე იქნება შექმნილი. სედანის მსგავსად, ახალ ავტომობილს ექვსცილინდრიანი ძრავა ექნება და კონკურენციას BMw3-Series Coupe, Mercedes CLK და Infiniti G35 გაუწევს. ამასთან, cadillac-ი, მომავალი Audi A5-ის სერიის ავტომობილებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. ამ ეტაპზე General Motors სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. ასე, რომ კომპანია ხარჯებს სერიოზულად ამცირებს, ეს კი ახალ ავტომობილზე სერიოზულად იმოქმედებს.

# ედისონის პირმშო

პირველი გვერდიდან

General Electric-ის ისტორია სათავეს 1878 წლიდან იღებს, როცა განთქმულმა ამერიკელმა გამომგონებელმა თომას ედისონმა კომპანია "ედისონ ელექტრიქ ლაით" დააარსა. 1892 წელს მისი "ტომსონ-ჰიუსტონ ელექტრიკთან" შერწყმით დაარსდა General Electric -ი, რომელიც 1896 წელს Dow Jones Index-ში შეიყვანეს და ერთადერთი კომპანია გახლავთ, რომელიც მასში დღემდე რჩება.

კომპანიის ბედ-იღბალი მეოცე საუკუნის ეკონომიკურ ისტორიასთან არის შერწყმული. ხოლო მისი დამაარსებელი თომას ედისონი და ამაღორძინებელი და დიდი ხნის განმავლობაში General Electric-ის თავკაცი ჯეკ უელჩი ამერიკული ოცნების ორგვარი განხორციელების, ამერიკელი გამომგონებლისა და ამერიკელი მენეჯერის სანიმუშო მაგალითები გახლავთ.



თომას ედისონი.



ფონოგრაფი (1877).



საბეჭდი მანქანა (1872).

### საბირჟო ტელეგრაფიდან ნათურამდე

თომას ალვა ედისონი დაიბადა 1847 წლის 11 თებერვალს ოჰაიოს შტატის ქალაქ მილანში. მისმა ბავშვობამ სამოქალაქო ომის, ახალგაზრდობამ კი ამერიკული ოლიგარქიული კაპიტალიზმის აყვავების პერიოდში ჩაიარა. ედისონმა ისეთ გამოჩენილ ადამიანებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ჰენრი ფორდი, ალფრედ სტოუნი და ჯოზეფ კენედი, საფუძველი ჩაუყარა როკფელერის, ვანდერბილტის, მორგანის და მათნაირთა ეპოქის დასასრულს.

1854 წელს ედისონების ოჯახი მიჩიგანის შტატში გადასახლდა, სადაც ტომმა ბოსტნეულით ვაჭრობისაგან შეგროვებული ფულით სარდაფში ქიმიური ლაბორატორია მოიწყო. გასაკვირია, რომ გენიოსი ბავშვი სკოლაში ძალიან ცუდად სწავლობდა და მას მასწავლებლები დებილად თვლიდნენ. 15 წლის ედისონი გაზეთებით ვაჭრობდა, ცოტა ხანში კი საკუთარი გაზეთის გამოცემა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს კარგი შემოსავალი მოჰქონდა, ტომმა ბიზნესი შეწყვიტა, რისი მიზეზიც მის მიერ გაზეთში გაშარჟებული მავანი პიროვნების მიერ გამომცემლის ცემა და მდინარეში გადადგება გახდა.

დიახ, ჟურნალისტიკა საკმაოდ რისკიანი იყო და ედისონმაც ტელეგრაფისტობა დაიწყო. ახალ საქმეს მან ხელი სრულიად შემთხვევით მოჰკიდა: ადგილობრივი სატელეგრაფო განყოფილების უფროსის პატარა შვილი სატვირთო ავტომობილის დაჯახებას გადაარჩინა და, მადლიერების ნიშნად, ედისონი მაღალანაზღაურებად სამუშაოზე მიიწვიეს.

ცხადია, ედისონი თავის ექსპერიმენტებსაც აგრძელებდა, თანაც, არა მარტო ქიმიაში. ასე გამოიგონა მან ხელსაწყო, რომელიც ტირეს და წერტილს თავისით ბეჭდავდა და ტელეგრაფისტს დასვენება შეეძლო.

21 წლის ედისონი ბოსტონში გადაბარგდა, სადაც კომპანია Western Union-ში ტელეგრაფისტად მოეწყო. მაგრამ სამუშაო ადგილზე ქიმიური ექსპერიმენტების ჩატარების გამო მალე გააძევეს და მანაც ნიუ იორკს მიაშურა, სადაც Gold & Stock Telegraph-ში იმიტომ მიიღეს, რომ დაზიანებული სატელეგრაფო აპარატი ძალიან სწრაფად შეაკეთა. სწორედ აქ მოახერხა მან თავისი პირველი მნიშვნელოვანი და ერთობ სიმბოლური ხელსაწყოს - უნივერსალური საბირჟო ტელეგრაფის გამოგონება. მისი პატენტის სანაცვლოდ მან 40 ათასი დოლარი მიიღო, რითიც ნიუ იორკში იმავე აპარატების მწარმოებელი მანუფაქტურა გახსნა.

ედისონი მხოლოდ კარგი გამომგონებელი როდი იყო. მას მშვენივრად ესმოდა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ფულის შოვნა რითი შეიძლებოდა. ქალაქ მენლო-პარკში მის მიერ 1875 წელს გახსნილ ლაბორატორიაში მუშაობდნენ სწავლულები, რომლებმაც ფუნდამენტურ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი აღმოჩენები გააკეთეს.

ითვლება, რომ ედისონის და მისი პირმშოს, General Electric-ის მომავალზე გადამწყვეტი როლი ელექტრონათურის გამოგონებამ ითამაშა. მაგრამ უფრო მთავარი წარმოების ინოვაციური ჯაჭვის დანერგვა გახლდათ. ყველამ კარგად იცის, რომ ნათურასთან ერთად მან ცვლადი ძაბვის გენერატორი გამოიგონა და, როგორც გენიოსმა სრულმყოფმა, თავისი წვლილი შეიტანა სხვის მიერ გამოგონებული ფონოგრაფის, კინოკამერის და ტელეფონის კონსტრუქციის საბოლოო ჩამოყალიბებაში. მაგრამ ცოტას თუ გაუგია, რომ მანვე გამოიგონა ნევრალგიის საწინააღმდეგო აბებისა და კანფეტების შესაფუთი ქაღალდის პარაფინირების საშუალებები, რამაც დიდი შემოსავალი მოუტანა.

1878 წელს თომასმა დააარსა "ედისონ ელექტრიქ ლაით კომპანი", ორი წლის შემდეგ კი ვარვარების ვაკუუმური ნათურის, როგორებიც დღემდე ჩვენს სახლებს ანათებს, კონსტრუქციაზე პატენტი მიიღო. ამის შემდეგ ედისონმა მიზნად მოსახლეობის სრული ელექტრიზაცია დაისახა, რისთვისაც აუცილებელი იყო, ნათურები და ელექტოენერგია იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ანუ, საჭირო გახდა წარმოებისა და ენერგიის მიწოდების სრულყოფა.

1882 წელს ედისონმა პირველი ელექტროსადგური გახსნა, რომელიც ენერგიით ნიუ იორკს ამარაგებდა. 1889 წელს კი შეიქმნა Edison General Electric Company, რომელმაც გააერთიანა ელექტროენერგიის წარმოების მთელი ჯაჭვი: ცვლადი ძაბვის გენერატორების, ელექტრომრიცხველების, კაბელების, დამცველების, ნათურების და სხვა ხელსაწყოების დამზადება. ცხადია, პარალელურად, მეცნიერები ტექნოლოგიებისა და წარმოების დახვეწაზე მუშაობდნენ. შედეგად, ნათურა, რომელიც თავდაპირველად 1,25 დოლარი ღირდა, ერთი წლის შემდეგ - 1,1 დოლარამდე, კიდევ ორი წლის შემდეგ კი 0,5 დოლარამდე გაიაფდა.

1890 წლისათვის კომპანია კიდევ უფრო განვითარდა და ამ დროს ედისონმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა, თუმცა დირექტორთა საბჭოს წევრად კი დარჩა. ორი წლის შემდეგ Edison General Electric-ის ახალმა და მისი მთავარი კონკურენტის Thomson-Houston Electric-ის ხელმძღვანელობამ შერწყმის გადაწყვეტილება მიიღო და 1892 წლის 15 აპრილს ამგვარად შეიქმნა General Electric Company. სწორედ ამ თარიღით იწყება კომპანიის ოფიციალური ისტორია.

### ნოვატორის რეკონსტრუქცია

მიუხედავად იმისა, რომ თომას ედისონი მეოცე საუკუნის დასაწყისში კომპანიიდან წავიდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოგონებებში მონაწილეობას მაინც იღებდა, სანამ, 1931 წელს, არ გარდაიცვალა. ამის შემდეგაც მისი პირმშო ნოვატორ კომპანიად რჩებოდა.

აი, იმ გამოგონებების მოკლე ჩამონათვალი, რომლებითაც General Electric-ი განსაკუთრებით ამაყობს: ხმის მიცემის ელექტრონული აპარატი (გამოიგონეს 1862 წელს), საბირჟო ტელეგრაფი (1870), ტელეფონის ნახშირის მემბრანა (1870), საბეჭდი მანქანა (1872), ფონოგრაფი (1877), ვარვარების ნათურა (1880),

ელექტრომრიცხველი (1881), კინეტოსკოპი (1891), კინოკამერა (1895), ტუტოვანი აკუმულატორი (1900), ამერიკის მთავრობის შეკვეთით შემუშავებული ახალი ტიპის ელექტროსკამი (1900), ტოსტერი (1905), ნათურის ვოლფრამის ძაფი (1910), მაცივარი (1917), აშშ-ში პირველი რადიოგადაცემა (1922), ელექტრომზიდი (1923), ხმოვანი კინო (1926), აშშ-ში პირველი ტელეგადაცემა (1928), კაუჩუკოვანი რეზინა Firestone-ს საბურავებისათვის (1929), FM სიხშირეებზე გადაცემა (1940), თვითმფრინავის რეაქტიული ძრავი, (1942), ელექტრონული მიკროსკოპი (1942), ავტომატური სარეცხი მანქანა (1947), ხელოვნური ალმასი (1955), ჰალოგენური ლამპა (1956), ატომური რეაქტორი (1957), საწერი კალმისათვის კარბიდის ბურთულა (1960).

აღსანიშნავია, რომ ამით კომპანიის გამოგონებების პერიოდი, პრაქტიკულად, მთავრდება. 1960 წლის შემდეგ General Electric-ის მიერ განხორციელებულ ინჟინრულ-ტექნიკურ მიღწევად 1968 წელს შემუშავებული თავისუფლების ქანდაკების განათების პროექტი და 1976 წელს გამოგონებული ციფრული ტომოგრაფი და მისი სკანერი ითვლება. ახალი მეთოდების შემუშავებამ ადგილი მათ შეძენას დაუთმო. ახალი ბაზრების ათვისებას წარმოებების გახსნის ტემპები ვერ ეწეოდა და კომპანიამ მათი შეძენა დაიწყო. მაგალითად, როცა თავის დროზე General Electric-მა რადიომაუწყებლობა დაიწყო, დააარსა კომპანია RCA (Radio Corporation of America), მაგრამ როცა 1974 წელს რეაქტიული თვითმფრინავების ძრავების გამოშვებას შეუდგა, ფრანგული კომპანია Snecma-ს აქციები შეიძინა და მისი წარმოება გამოიყენა.

General Electric-ი სულ უფრო იფურჩქნებოდა და ზოგჯერ უსისტემოდაც კი იზრდებოდა, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობა ყიდულობდა ყველაფერს, რაშიც პოტენციურ მოგებას დაინახავდა. ამგვარი კურსი ხშირად არასწორი იყო. მაგალითად, 1974 წელს კომპანიამ Utah International-ის აქციები შეიძინა, რომელიც ქვანახშირს, გაზს, რკინას, სპილენძს და ა.შ. მოიპოვებდა და General Electric-ის პროფილთან არანაირი საერთო არ ჰქონდა. 1984 წელს ჯეკ უელჩის მიერ წამოწყებული სტრუქტურული რეფორმებისას იგი დაუნანებლად გაყიდეს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ 70-იანი წლების დეპრესიის ბოლოს General Electric-ს ლიდერის პოზიციები დაკარგული ჰქონდა და სერიოზული ცვლილებები სჭირდებოდა.

### უელჩის რევოლუცია

ჯეკ უელჩი, რომელიც General Electric-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე 2001 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე იყო, ბრწყინვალე მაგალითია იმისა, რასაც ინგლისელები Self-made man-ს ეძახიან. პლასტმასის წარმოების სპეციალისტი, სხვადასხვა კომპანიაში მუშაობის შემდეგ, General Electric-ში აღმოჩნდა, 1968 წელს კომპანიის ქვეგანყოფილება GEPlastics-ი ჩაიბარა და კომპანიის ყველაზე ახლგაზრდა ტოპ-მენეჯერი გახდა.

1972 წელს იგი ვიცე-პრეზიდენტად დააწინაურეს, 1981 წელს კი აქციონერებმა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. მაშინ ჯეკი 46 წლის იყო. მან თავისი რესტრუქტურიზაციის გეგმის განხორციელება დაიწყო, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ კორპორაცია თითქმის დამოუკიდებელი განყოფილებებისაგან უნდა შედგებოდეს, რომლებმაც მოგებისათვის დამოუკიდებლად უნდა იბრძოლონ. ამასთან, მან გადაწყვიტა, კომპანიის მოღვაწეობა სამი ძირითადი მიმართულებით მიემართა. პირველი გახლდათ განათების, სატრანსპორტო და სამშენებლო ხელსაწყოების, მოტორების და ტურბინების წარმოება, მეორე - ელექტრონიკის, სამედიცინო დანადგარების, საავიაციო ძრავების და ავიკოსმოსური ნაწარმის

გამოშვება, მესამე კი, ძირითადად, სერვისს ითვალისწინებდა და საკრედიტო, საინფორმაციო, საინჟინრო და ბირთვული ტექნოლოგიუბის სფეროებისაგან შედგებოდა.

უელჩი უმოწყალოდ შეუდგა შტატების შემცირებას, განახორციელა საკადრო ცვლილებები, გაყიდა უამრავი ნაკლებადრენტაბელური საწარმო და შემოსული ფულით კომპანიის განვითარება და ახალი ბაზრების ათვისება დააჩქარა. General Electric-მა თანდათანობით უარი თქვა კონდიცირების სისტემების, აუდიო და ვიდეოტექნიკის, კაბელების, მობილური კავშირგაბმულობის სისტემების, ეთილირებული ბენზინის, მიკროჩიპებისა და ნახევრადგამტარების, ფენების, ტოსტერების და საათების წარმოებაზე. სამაგიეროდ, კომპანიამ შეიძინა ტექნოლოგიური ბიზნესის პერსპექტიული მიმართულებები და აქცენტი მედიაბიზნესზე გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ უელჩმა საოცარი შორსმჭვრეტელობა გამოავლინა და 80-იან წლებში პრიორიტეტულად სწორედ ის მიმართულებები ცნო, რომლებიც 90-იან წლებში ყველაზე დინამიკურ და შემოსავლიანად იქცა. ამასთან, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა კომპანიის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი ინიციატივების განხილვას.

შედეგად, კომპანია თანდათან იფურჩქნებოდა და მდიდრდებოდა. შემოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი უელჩის ერთ-ერთ უმსხვილეს პროექტს, ტელეკომპანია NBC-ის, მის საქმიან საკაბელო განყოფილებას CNBS-ის და Microsoft-თან ერთად შექმნილ ონლიან პროექტს MSNBC-ის მოჰქონდა.

1987 წელს General Electric-მა ევროპაში, ერთი წლის შემდეგ კი აზიაში წარმოების გაფართოება დაიწყო. შეიქმნა ერთობლივი საწარმოები გერმანულ Bosch-თან და BorgWarner-თან და იაპონურ Toshiba-სთან და Fanuc-თან ერთად. 1991 წელს კომპანიამ შეიძინა British Airways-ის მოტორების მიმსახურების განყოფილება. სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე ფეხის მოკიდების და უცხოური კომპანიების შესყიდვის ტენდენცია შემდგომშიც მაღალი ტემპით გაგრძელდა. შედეგად, GE-ს წილი ევროპულ ბაზარზე, რომელიც 1981 წელს 2 პროცენტს არ აღემატებოდა, 37 პროცენტამდე გაიზარდა.

პენსიაზე გასვლამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ კი, 2000 წლის 24 ოქტომბერს უელჩმა საუკუნის გარიგებად წოდებული სვლა განახორციელა. კერძოდ, General Electric-მა გამომთვლელი მანქანების უმსხვილესი ევროპული მწარმოებელი Honeywell 45,1 მილიარდ დოლარად შეიძინა.

2001 წლის ბოლოს კი ედისონის ჭეშმარიტი მემკვიდრე ჯეკ უელჩი, რომელმაც General Electric-ი კრიზისიდან გამოიყვანა, ააყვავა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა, პენსიაზე გავიდა. კომპანიის დირექტორთა საბჭოს სათავეში ჯეფ იმელტი ჩაუდგა, რომელიც ამ პოსტს დღემდე ინარჩუნებს. მან უელჩის საქმე ბრწყინვალედ გააგრძელა და General Electric-ი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა და გააუმჯობესა, კვლავ ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა.

## Nokia სპორტულ მობილურ ტელეფონებს გამოუშვებს

მობილური ტელეფონების უმსხვილესმა კომპანია Nokia-ამ ახალი, სპორტული მობილური ტელეფონის გამოშვების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. კომპანია,ახალ Nokia 5500-ს სპეციალურად სპორტსმენებისა და აქტიური ცხოვრების წესის მიმდევარებისთვის ქმნის. Nokia 5500-ს ის ადამიანები მიანიჭებენ განსაკუთრებულ უპირატესობას, ვისთვისაც წონისა და ფიგურის პრობლემა ძალიან აქტუალურია. ახალი ტელეფონი სპორტსმენების მიერ გავლილ მანძილსაც დაითვლის და იმ კალორიების რაოდენობასაც დაადგენს, რომელიც ადამიანმა დღის მანძილზე მიიღო. Nokia 5500-ს კომპანია 2006 წლის შემოდგომას გამოუშვებვს. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ტელეფონი 380 დოლარი ეღირება.

## Samsung სუსტი სქესის წარმომადგენლებს სპეციალურ ვარიანტს სთავაზობს

კომპანია Samsung-მა სუსტი სქესის აუდიტორიაზე ორიენტირებული ახალი მობილური ტელეფონი გამოუშვა. Samsung E500 ციფრული ფოტოკამერით არის აღჭურვილი, და ამასთან ერთ-ერთი თხევადკრისტალური დისპლეი ქალებს სარკის მაგივრობასაც გაუწევს. ამ მობილურ ტელეფონს, ციფრულ ფოტოკამერასთან ერთად პროგრამული მომსახურების Beatly Box-იც აქვს. ამ მომსახურების წყალობით, ტელეფონის მფლობელ ქალბატონებს საშუალება ექნებათ თავი დიზაინერის და ვიზაჟისტის ამპლუაში წარმოიდგინონ. მაგალითად მათ შეეძლებათ გადაღებულ ფოტოებში თმის ვარცხნილობა ან მაკიაჟი თავიანთი გემოვნების მიხედვით შეცვალონ. Samsung E500-ს MP3-ფლეერის წყალობით MP3, ACC, ACC+,-ის ტიპის ფაილების წაკითხვა შეუძლია, ვიდეო გადაღება კი MPEG4 ფორმატში აწარმოებს. კომპანია Samsung-ის ინფორმაციით ახალი ტელეფონები გაყიდვაში უახლოეს მომავალში გამოვა. მისი ღირებულება კი ჯერ ცნობილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ Samsung E500-მა მსოფლიო პრემიაზე მეორე ადგილი დაიკავა.

## Webby-ის პრემია კომპანია Google-მა და BBC-იმ მიიღეს

გუშინ, Webby-მა პრემიის ლაურეატები გამოავლინა. მათ შორის, ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალებათა შორის BBC-ის საიტმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო კომპანია Google-მა საუკეთესო საძიებო სისტემის ადგილი დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ Webby-ის პრემია "ოსკარის" ანალოგად ითვლება. სპეციალური პრიზით Myspace.com-ის ინტერნეტ გვერდი დააჯილდოვეს, რომელიც მილიონობით ადამიანს პირადი და საქმიანი ურთიერთობის დამყარების საუკეთესო საშუალებას აძლევს. Guardian-მა საუკეთესო ინტერენეტ-ჟურნალებში გაიმარჯვა. სპეციალური პრიზები New Yorker.com, The Onion და Washington Post. com-მაც მიიღეს. Webby-ის ყოველწლიური პრემია 1997 წელს ჟურნალმა The Web-მა დაარსა. ამის შემდეგ კი პრემიის ორგანიზატორობა ციფრული მეცნიერებისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიამ შეითავსა. წელს გამარჯვებულები 40 წვეყნის 5,500 საიტიდან შეარჩიეს. მათ ჟიურისთან ერთად ინტერნეტ-მომხმარებელიც აფასებდა. Webby-ის პრემია არამარტო ინტერნეტ-საიტებს, არამედ იმ ადამიანებსაც მიენიჭათ, რომლებსაც ინტერნეტის განვითარებაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვით. ამ წელს, ინტერნეტის ერთ-ერთმა შემქმნელმა რობერტუ კანუმ გაიმარჯვა. ჟიური 535 წევრისგან შედგებოდა. მათ შორის გახლდნენ მუსიკოსი დევიდ ბოუი და "სიმპსონების" შემქმნელი მეტ გროენინგი. კონკურსანტებს კი დაახლოებით 300.000-მა ინტერნეტ-მომხმარებელმა დაუჭირა მხარი. დაჯილდოების ცერემონიალი ნიუიორკში 12 ივნისს გაიმართება.



# ვერდიქტი გამოტანილია

## ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა

პირველი გვერდიდან



ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გუშინ ამ გადაწყვეტილების გამოტანა საკმაოდ დაძაბულ ფონზე მოუწია. კომისიის შენობის პირველ სართულზე ლეიბორისტული პარტიის წევრები შიმშილობდნენ, ხოლო სხდომათა დარბაზში შეკრებილი პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ცდილობდნენ, მომხმარებლის ინტერესები დაეცვათ და ტარიფის გაზრდას ხმამაღლა აპროტესტებდნენ.

მიუხედავად ამისა, მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ "ვერდიქტი" გამოიტანა, რომლის მიხედვითაც, თბილისსა და რეგიონებში ელექტროენერგიის ტარიფი სამსაფეხურიანი იქნება. უფრო ზუსტად: მომხმარებელი, რომელიც თვეში 100 კილოვატ/საათ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიისთვის 13,48 თეთრს გადაიხდის.

მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 16 თეთრი იქნება, ხოლო მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 301 კილოვატ საათზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 17,69 თეთრი იქნება. რაც შეეხება რეგიონებს, 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის მოხმარების დროს ერთი კვტ/საათის ფასი 12,98 თეთრი იქნება, 101-დან 300 კილოვატ/საათიდან - 16,52 თეთრი, ხოლო 301 კილოვატ/საათის ზემოთ - 17,49 თეთრი. ეს ტარიფები არ ეხება კახეთისა და აჭარის რეგიონებს, რადგან ამ რეგიონებში დამოუკიდებელი ენერგოკომპანიები მოქმედებენ, რომლებსაც სატარიფო განაცხადები კომისიაში დამოუკიდებლად აქვთ წარდგენილი.ახალი ტარიფები პირველი ივნისიდან ამოქმედდება, ხოლო მანამდე სემეკის ეს დადგენილება იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზას გაივლის.

გიორგი თავაძის თქმით, ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა სრულიად ლოგიკური, კანონზომიერია და უკანასკნელ წლებში ენერგოსექტორში განვითარებულ პროცესებს შეესაბამება. თავაძე აცხადებს, რომ იგი იღებს პასუხისმგებლობას ტარიფის გაზრდის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და აცნობიერებს იმ შედეგს, რაც ამას მოჰყვება. **"ეს გადაწყვეტილება აუცილებელი იყო დარგისთვის და ქვეყნისთვის. ეს სასიკეთო გადაწყვეტილებაა, თუმცა ჩემი მხრიდან ამის მტკიცებას აზრი აღარ აქვს,"** - განაცხადა თავაძემ.

მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება ტარიფის გაზრდის შესახებ ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მიერ უახლოეს მომავალში სასამართლოში გასაჩივრდება. ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერის კობა დავითაშვილის თქმით, სემეკის გადაწყვეტილება ყოვლად უსაფუძვლო და კორუფციულია. გუშინვე ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა მოსახლეობას გაზრდილი ტარიფის ბოიკოტირებისაკენ მოუწოდა. **"გაზრდილ ტარიფს მოსახლეობის 65 პროცენტი ვერ გადაიხდის. დარჩენილ 35 პროცენტს კი მოვუწოდებ, სოლიდარობა გამოუცხადოს ხალხს და გაზრდილი ელექტროენერგიის საფასური არ გადაიხადოს,"** - განაცხადა ბაღათურიამ.

მისივე თქმით, ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნება სპეციალური საპროტესტო ორგანიზაციები, რომლებიც საპროტესტო აქციების ორგანიზებაზე იმუშავებენ.

**"არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი,"** - ასე შეაფასა ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდა ენერგოომბუდსმენმა დავით მიქაუტაძემ. მისი თქმით, ტარიფის შეცვლა ენერგოსექტორში მოსალოდნელი პრივატიზაციის გამო მოხდა. **"დღეს ტარიფები გენერაციის იმ ობიექტებს გაეზარდათ, რომელთა პრივატიზაცია იგეგმება. მოიმატა, აგრეთვე, იმ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების ტარიფებმა, რომლებიც გასაყიდად არის გამზადებული. ეს არის გაუაზრებელი ნაბიჯი, ვინაიდან პრივატიზაციის შემდეგ ტარიფის გაზრდა კიდევ განხორციელდება, რადგან ინვესტორი მისთვის დაწესებულ მარჟას არ დასჯერდება,"** - განაცხადა ენერგოომბუდსმენმა.

მიქაუტაძე არ ეთანხმება ელექტროენერგეტიკის სექტორში დიფერენცირებული ტარიფის შემოღებას, რადგან მიაჩნია, რომ ეს სოციალურად გაუმართლებელია და კომპანიებს არ გააჩნიათ შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობები, მომხმარებელთან ანგარიშსწორება დიფერენცირებული ტარიფით განახორციელონ. ენერგოომბუდსმენი მიიჩნევს, რომ სემეკი დღეს ენერგოგამანაწილებელი კომპანიების მიმართ მიკერძოებული იყო და არ გაითვალისწინა მომხმარებელთა უფლებები. **"უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ის მომხმარებლები, რომლებსაც გაზიფიკაცია არ გააჩნიათ და ზამთარში ელექტროენერგიით თბებიან,"** - განაცხადა მიქაუტაძემ.

სემეკის ამ გადაწყვეტილებას გუშინ ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურიც გამოეხმაურა. მან ჟურნალისტებისთვის სპეციალური ბრიფინგიც კი მოაწყო, სადაც მინისტრმა ამ გადაწყვეტილებას მართებული უწოდა. მისივე განცხადებით, მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება სწორია და ის დარგში მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარეობს. **"ტარიფის ზრდისას გათვალისწინებულ იქნა სოციალურად დაუცველი ფენის ინტერესი. თბილისის მოსახლეობის 70 პროცენტისთვის, რომელიც თვეში 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას მოიხმარს, ტარიფის ზრდა მხოლოდ 1,5 თეთრით მოხდება. რეგიონებში, მართალია, ტარიფი 4,8 თეთრით იზრდება, მაგრამ 82 პროცენტი შეღავათიან ტარიფს გადაიხდის,"** - განაცხადა გილაურმა.

მისივე თქმით, ელექტროენერგიის საფასურის ზრდა საერთოდ არ შეეხება 400 000 სოციალურად დაუცველ ოჯახს, რადგან მათთვის ტარიფის მატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიით დაფინანსდება.

**"ტარიფების ზრდა, ძირითადად, იურიდიულ პირებს და მდიდარ მომხმარებლებს შეეხება. ეს გარდაუვალი იყო,"** - განაცხადა გილაურმა.

**24 საათი**

# ალექსიშვილმა გაერო-ს მდგრადი განვითარების კომისიის სესიას უხელმძღვანელა

პირველი გვერდიდან



მდგრადი განვითარების კომისია, რომლის შემადგენლობაში 53 ქვეყნის წარმომადგენელია გაერთიანებული, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო ფუნქციონალური ორგანოა. იგი რეგულარულად განიხილავს და მონიტორინგს უწევს მსოფლიო სამიტებზე მიღწეული შეთანხმებებისა და დეკლარაციების განხორციელებას.

მე-14 სესიაზე, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, ევროკავშირის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები, მოწვეული ქვეყნების მინისტრები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ენერგეტიკასთან დაკავშირებული ფინანსური და ტექნიკური პრობლემატიკა, ასევე გარემოს დაცვის სფეროში არსებული საკითხები განიხილებოდა.

მდგრადი განვითარების კომისიის თავმჯდომარესა და გაეროს გენერალურ მდივანთან ერთად სესიას გაეროს სააგენტოების, ფონდების და პროგრამების წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნების ფინანსთა, ენერგეტიკისა და განვითარების მინისტრები, ასევე ბანკებისა და საერთაშორისო საინვესტიციო ინსტიტუტების აღმასრულებელი დირექტორები და ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, ასეთი მაღალი დონის შეხვედრები საშუალებას იძლევა, უშუალო კავშირები დავამყაროთ იმ ქვეყნებთან, რომლებმაც უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას ენერგოსექტორის ფინანსური პრობლემის გადაწყვეტაში, და "გავიზიაროთ მათი გამოცდილება."

მდგრადი განვითარების კომისიის მე-15 სესია მომავალ წელს კვლავ ნიუ-იორკში გაიმართება და მას უკვე როტაციის წესით არჩეული ახალი თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. **24 საათი**

# ფინანსური პოლიცია ფალსიფიცირებული ღვინის წინააღმდეგ

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფალსიფიცირებული ღვინის მწარმოებელთა და რეალიზატორთა გამოვლენის მიზნით, რეიდების ჩატარება დაიწყეს მთელი რეგიონის მასშტაბით. ბოლო ორი დღის მანძილზე გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ქუთაისის, თერჯოლის, ბაღდათის, ზესტაფონის, ვანისა და წყალტუბოს რაიონებში უკვე ღვინის რვა ქარხანა დაილუქა და მათი ხელმძღვანელების მიმართ ფალსიფიცირებული ღვინო-მასალების დამზადების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა.

**"ჩვენ მხოლოდ ორი დასახელების ღვინოს ვუშვებთ - "ბაგრატს" და შუშხუნა ღვინო "ქუთაისურს", ისიც, ისე მცირე რაოდენობით, რომ მის რეალიზაციას მხოლოდ ქუთაისის ბაზარზე ვახდენთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემს ქარხანაში არსებული პროდუქცია პასუხობს სახელმწიფო სტანდარტის ყველა მოთხოვნას. ფალსიფიკაცია აქ არასდროს ყოფილა,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში ქუთაისის ღვინის ქარხნის "ზზვანის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კუკური გოგოძე.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლების "რისხვა" თავს გლეხებსაც დაატყდა. ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში მცხოვრები ვანო მსხვილიძის საცხოვრებელი სახლიდან სამართალდამცველებმა რამდენიმე ათეული ტონა ღვინო ამოიღეს და მსხვილიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. 11 მაისს კი რეიდი ზესტაფონის აგრარულ ბაზარში ჩატარდა. რეიდის შედეგად, მოვაჭრეების გარდა, გასაყიდად გამოტანილი ღვინო რამდენიმე გლეხსაც ჩამოართვეს.

**"ჩემი ოჯახის ნაწარმს ვყიდი, ჩემს ღვინოს, ჩემს ჭაჭის არაყს. პენსია მაქვს 33 ლარი, მეტი არაფერი შემოსავალი არ მაქვს, და ეს ღვინო და არაყი თუ არ გავყიდე, რითი ვარჩინო ოჯახი? ვიქურდო? ვიყაჩაღო? ვიმათხოვრო? შაქარზე გაკეთებული ღვინო ფალსიფიცირებულია? ამ ღვინოს ვსვამთ ყველა და ამას ჯერ არავინ მოუკლავს,"** - ამბობს ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში მცხოვრები გიული გუნიავა.

**"ჩვენ ვამოწმებთ როგორც ღვინის ქარხნებს, ისე კერძო პირებს, რომლებიც ღვინის დამზადება-რეალიზაციას ეწევიან. ამ დროისათვის ამოღებულია 3000 ტონამდე ღვინო და მიმდინარეობს შემოწმება. თუკი დადგინდება, რომ ეს ღვინო ფალსიფიცირებულია, მოხდება მისი დაღვრა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე,"** - აცხადებს იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსი ლევან კიკნაველიძე.

ფინანსური პოლიციის მიერ ამოღებულ ღვინოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური ვეტერინარული სამსახურის სპეციალური მობილური ჯგუფი ამოწმებს.

**"ჩვენ იმერეთში ოთხი დღით ვართ მოვლინებულნი, რათა ავიღოთ სინჯები ფინანსური პოლიციის მიერ ამოღებული ღვინო-მასალებიდან. ერთი ცისტერნიდან 5 ნიმუშს ვიღებთ, რომელთაგან ერთს ვგზავნით "სამტრესტში", ორს - თბილისის ცენტრალურ ლაბორატორიაში, ერთს ვტოვებთ ქარხანაში და ერთს ვაძლევთ ფინანსურ პოლიციას. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, როდის მოხდება ამ ნიმუშების სრულად გამოკვლევა და დასკვნების გამოტანა,"** - აცხადებს ცენტრალური ვეტერინარული სამსახურის სპეციალური მობილური ჯგუფის უფროსი შოთა ოჩიაშვილი.

იმერეთში ამოღებული ღვინო-მასალების შემოწმების შესახებ ცენტრალური ლაბორატორიის შესაბამის დასკვნებს ფინანსურ პოლიციაში უახლოეს ერთ კვირაში ელიან.

## ესტონეთი ქართული ღვინის იმპორტით დაინტერესდა

*რუსული ჰოლდინგი "ღვინის სამყარო" ქართული და მოლდოვური ალკოჰოლური პროდუქციის რეექსპორტს იწყებს. უახლოესი ორი თვის განმავლობაში საბაჟო გაფორმების გარეშე დარჩენილ ტვირთს რუსეთიდან გაიტანენ. ქართველ და მოლდოველ მეღვინეებს 4 მილიონი ბოთლი ღვინო დაუბრუნდებათ.*

ესტონეთი ქართული ღვინის იმპორტით და, ასევე, საქართველოში, ღვინის ბიზნესში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა. ესტონელმა ბიზნესმენებმა უკვე მოასწრეს კახეთში ქართული ღვინის ქარხნების დათვალიერება.

ესტონეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაპირება მისცა ქართულ მხარეს, რომ ესტონეთის ბაზრიდან ამოღებული იქნება ყველა ის ფალსიფიცირებული ქართული ღვინო, რომელიც ესტონეთში, ძირითადად, ბულგარეთის ტერიტორიიდან შემოდის.

ღვინის ბიზნესის გარდა, ესტონელი მეწარმეები საქართველოში თხილის ბიზნესით დაინტერესდნენ. კერძოდ, მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, ზუგდიდში უკვე მიმდინარეობს თხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა.

საინტერესოა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს "სამტრესტის" მიერ გაცემულ ღვინის ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატს, ჯერჯერობით, ამერიკა და კანადა არ აღიარებს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენისთვის" გახდა ცნობილი, ეს ორგანო აქტიურად მუშაობს აღნიშნულ ქვეყნებთან, რათა მიღწეული იქნას ქვეყნებს შორის სერტიფიკატების აღიარების შეთანხმება. ხელშეკრულების არაღიარების მიუხედავად, ქართველ მეღვინეებს ღვინის გატანის პრობლემა არც ერთ ქვეყანაში არ შექმნია.

"სამტრესტმა" ღვინის ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი ჯერჯერობით მხოლოდ 5 კომპანიაზე გასცა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" "სამტრესტის" თავმჯდომარის მრჩეველმა ედუარდ ლეკიაშვილმა განუცხადა, კომპანიების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად საექსპორტო ღვინის შემოწმება ეტაპობრივად მიმდინარეობს, რის შემდეგაც გაიცემა შესაბამისობის სერტიფიკატი. ღვინის ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატები გაცემულია კომპანია შპს "ქინძმარაულზე", "თბილღვინოზე", "სენაკურზე", ს/ს "ქინძმარაულზე", და "ვაინ-მენზე". **24 საათი**

## პარლამენტში კონკურსში გამარჯვებული მეღვინეები მიიღეს

მოსკოვში, ღვინის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ქართული კომპანიების წარმომადგენლები გუშინ პარლამენტში დაპატიჟეს. კონკურსში გამარჯვებულად დასახელდა სამი ქართული კომპანია: შპს "თბილღვინო", შპს "გლახუნა" და შპს "კაგორი". აღნიშნულ ფესტივალზე ამ კომპანიათა პროდუქცია ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. პარლამენტარებმა კომპანიათა წარმომადგენლებს გამარჯვება მიულოცეს და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ქართული პროდუქციის მაღალ ხარისხს.

"იმ ფონზე, როდესაც რუსეთში ქართული ღვინო იკრძალება, იგივე რუსეთი ქართულ ღვინოს უმაღლეს შეფასებას აძლევს. ქართულმა ღვინომ კიდევ ერთხელ დაადასტურა მაღალი ხარისხი," - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

როგორც კონკურსის მონაწილე ქართული ღვინის კომპანიათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, კონკურსის ჟიური საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მასში შედიოდნენ სპეციალისტები რუსეთიდან, იტალიიდან და საფრანგეთიდან. ყველაზე დიდი აღიარება ღვინო "საფერავმა" მოიპოვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ფადი ასლი კომპანიების - DOLE-ს და SADIA-ს პროდუქციის დისტრიბუციას ვეღარ განახორციელებს

ქეთევან მამალაძე

11 მაისს, ფოთის ნავსადგურში ეგზოტიკური ხილით დატვირთული გემი შემოვიდა - ტვირთი უმსხვილეს ამერიკულ კომპანიას Dole Fresh Fruits-ს ეკუთვნის და საქართველოში კომპანია "ცელსიუსის" სახელზეა გამოგზავნილი.

კომპანიას Dole Fresh Fruits ქართველი მომხმარებელი იცნობს DOLE, როგორც ბანანის უმსხვილეს იმპორტიორს. Dole Fresh Fruits -ის ხელმძღვანელობა წერილობით ადასტურებს, რომ ლიბანელ ბიზნესმენს ფადი ნაჰასს, ხანგრძლივ ბიზნეს-პარტნიორს მსოფლიოს 10 ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, სრულ მხარდაჭერას უცხადებს და ამის დასტურად ბატონ ნაჰასის კომპანია "ცელსიუსს" უმაღლესი ხარისხის ბანანის მორიგ პარტიას უგზავნის.

გასულ კვირას ბიზნესმენ ფადი ნაჰასთან თანამშრომლობის გაგრძელების მზადყოფნა დაადასტურა ბრაზილიურმა კომპანიამ "სადია", რომელიც ქათმის პროდუქტების უმსხვილესი იმპორტიორია.

ინფორმაციისათვის: კომპანია NA plus, რომლის მფლობელი ლიბანელი ბიზნესმენი ფადი ნაჰასია, მსოფლიოში ხილის უმსხვილესი იმპორტიორის - ამერიკული Dole Fresh Fruits, USA-სა და ხორცისა და ქათმის პროდუქტების უდიდესი ბრაზილიური მწარმოებლის - Sadia, Brazil-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორია მსოფლიოს 10 ქვეყანაში, მათ შორის, თურქეთში, რუმინეთში, ეგვიპტეში, ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ასევე საქართველოში.




Dole Fresh Fruits, USA და - Sadia, Brazil, მსოფლიოში ცნობილი კომპანიები კვლავ ადასტურებენ, რომ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ფადი ნაჰასს აძლევენ უფლებას, განახორციელოს მათი პროდუქციის დისტრიბუცია, გამოიყენოს ამ კომპანიების სახელი, აწარმოოს სარეკლამო კამპანია და უზრუნველყოს ამ კომპანიების ბრენდების დაცვა.

პრესრელიზში, რომელიც გუშინ კომპანია "ცელსიუსის" პრესსამსახურმა გაავრცელა , აღნიშნულია: კომპანია "ცელსიუსის" დამფუძნებელი ფადი ნაჰასი გაოცებულია, რომ მისი ყოფილი წარმომადგენელი ფადი ასლი ცდილობს, ამერიკის სავაჭრო პალატის სახელსა და რეპუტაციას ამოეფაროს და ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს, ამერიკელები მას მხარს უჭერენ. რეალურად, მან თავისი მოქმედებებით ამერიკული კომპანიის ინტერესები დააზარალა და ეს ამერიკული მხარისათვის კარგადაა ცნობილი. პრესრელიზში მოტანილია ბიზნესმენ ფადი ნაჰასის ციტატა : "ფადი ასლი თავს არიდებს სამართლებრივი გზით სიტუაციის გარკვევას და ცდილობს, საკუთარი ფინანსური ინტერესები სასამართლოს განაჩენამდე მოაგვაროს, ამას ის ყოფილი პარტნიორის კუთვნილ საწყობებში შენახული პროდუქტის უკანონოდ გაყიდვით აკეთებს.

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ის ყოველდღიურად აწერს ხელს უამრავ საეჭვო დოკუმენტს. საინტერესოა, რატომ ტოვებს უპასუხოდ ჩემს შეკითხვებს მის მიერ განხორციელებული შანტაჟის , ცუდი მენეჯმენტისა და ჩემი კუთვნილი ქონების არასწორად განკარგვის შესახებ.

ის თავს იწონებს, რომ ხელმძღვანელობს ამერიკის სავაჭრო პალატას საქართველოში, ამბობს, რომ მხარდაჭერა აქვს, თუმცა არ ასახელებს, კონკრეტულად ვინ უჭერს მხარს. საინტერესოა, იციან თუ არა მისმა ინკოგნიტო მხარდამჭერებმა, ბიზნეს-პარტნიორებთან ურთიერთობის როგორი სტილი აქვს ბატონ ფადი ასლის."

ფადი ასლი 1999 წელს კომპანია NA Plus-მა დანიშნა სავაჭრო წარმომადგენლად საქართველოსა და სომხეთში. დამფუძნებელსა და წარმომადგენელს შორის წარმოშობილი დავის გამო 2006 წლის 14 აპრილს გაუქმდა ფადი ასლიზე გაცემული პროკურა და მანამდე გაცემული ყველა შესაბამისი მინდობილობა ძალადაკარგულად ჩაითვალა.

## საფონდო ბირჟაზე 153 096.20 ლარის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

გუშინ საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 35-ე ვაჭრობაზე წარმოდგენილი 21 კომპანიის აქციებიდან გარიგებები 11 კომპანიის აქციებზე დაიდო. გარიგებების საერთო ღირებულებამ 153 096.20 ლარი შეადგინა. კერძოდ, გაიყიდა საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის 151 450 ცალი აქცია, რომელზე დადებული გარიგებების ჯამურმა ღირებულებამ 84 602 ლარი შეადგინა.

საქართველოს ბაკის აქციებზე დადებული გარიგებების საერთო ღირებულებამ 40 025 ლარი შეადგინა, ხოლო საქართველოს ბაკის ობლიგაციებზე - 12 253 ლარი.

გაიყიდა უნივერმაღ "თბილისის" 300 ცალი აქცია, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 8 100 ლარი შეადგინა. გაიყიდა ასევე სასტუმრო "აჭარის" 4 767 აქცია, რომლებზე დადებული გარიგებების ჯამურმა ღირებულებამ 4 767 ლარი შეადგინა. 1 929 ლარი შეადგინა საქართველოს სახალხო ბანკის აქციებზე დადებული გარიგებების საერთო ღირებულებამ.

გუშინდელ ვაჭრობაზე გარიგებები დაიდო ასევე თბილისის N4 პურის ქარხნის, ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტამბის, ტრანსმომსახურების, ტრაქტებისა და ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო სავაჭრო ბაზის აქციებზეც.

სავაჭრო ბირჟაზე დადებული გარიგებების საერთო რაოდენობამ 44 შეადგინა. სულ გაიყიდა 162 568 ფასიანი ქაღალდი. ყიდვა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო განაცხადები, აგრეთვე, ემიტენტების: ბეჭვდითი სიტყვის კომბინატის, ბაგრატიონი-1882-ის; გაერთიანებული ქართული ბანკის, ბიზნესცენტრ "სოფმშენის", "მაცნეს", სავაჭრო სახლ "ბავშვთა სამყაროს", სს "რეა-ქართუს", "საქტრანსპროექტის", "საქწყალპროექტისა" და "რუსთავცემენტის" ფასიან ქაღალდებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფალსიფიკატორების წინააღმდეგ

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ისრაელი მეწარმის წინააღმდეგ სარჩელი ისრაელის სასამართლოში შეიტანა. როგორც ცნობილი გახდა, ისრაელის მეწარმემ ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები დააპატენტა, როგორც სასაქონლო მარკა.

ისრაელის სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, თუმცა პროცესის დანიშვნის თარიღი ჯერჯერობით გაურკვეველია. სასამართლოზე სამინისტროს ინტერესებს დაქირავებული ისრაელი ადვოკატი იცავს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ სასამართლო პროცესი ქართველების სასარგებლოდ გადაწყდება.

ბულგარელი მეწარმის წინააღმდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასამართლო პროცესი გასული წლიდან დღემდე გრძელდება. ეს პროცესიც ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, როგორც სამარკო ნიშნის, დარეგისტრირებას შეეხება. როგორც "სამტრესტის" თავმჯდომარის მრჩეველმა ედუარდ ლეკიაშვილმა განაცხადა, ბულგარეთი ვალდებულია აღიაროს ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც სხვა ქვეყნების ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის აღიარებას ითვალისწინებს. ლეკიაშვილის თქმით, საქართველო ლისაბონის ხელშეკრულების წევრია და თუ ბულგარეთის სასამართლო ქართველების სასარგებლოდ არ გადაწყვეტს, მოგვიწევს, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შესაბამისი ზომები მივიღოთ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესებს ბულგარეთში დაქირავებული ადვოკატი იცავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სტიქიამ გურჯაანის სასოფლო-სამეურნეო ნათესების 70 პროცენტი გაანადგურა

გურჯაანსა და საგარეჯოში ძლიერმა სეტყვამ და ქარიშხალმა, ვენახებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო ნათესებიც გაანადგურა. როგორც გურჯაანის რაიონის გამგებელმა ზაზა ნაცვლიშვილმა განაცხადა, ამჟამად მიმდინარეობს სტიქიისგან მიყენებული ზარალის დათვლა. მისივე თქმით, განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო ნათესების დაახლოებით 50-70 პროცენტი.

"ზარალი ნამდვილად დიდია. ზოგიერთ ადგილას განადგურებულია ნათესების თითქმის 90 პროცენტი. საჭირო ზომების მიღება აუცილებელია," - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ექსპერტების აზრით, თუ მსგავსი სტიქიური შემთხვევები განმეორდება, გამორიცხული არ არის, კახეთის რეგიონში რთველი აღარ ჩატარდეს.

მევენახეობის დარგში დასაქმებული გლეხები მიმდინარე წელს სერიოზულ ფინანსურ და მატერიალურ ზარალს განიცდიან, რაც მათ ცხოვრების მძიმე პირობებს შეუქმნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 12/05 | 13/05 | 14/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 20 | 22 |
| რიგა | 20 | 21 | 18 |
| ვილნიუსი | 18 | 18 | 21 |
| მოსკოვი | 19 | 20 | 22 |
| მინსკი | 20 | 20 | 21 |
| პარიზი | 22 | 19 | 22 |
| რომი | 24 | 25 | 23 |
| ლონდონი | 22 | 18 | 20 |
| მადრიდი | 26 | 27 | 28 |
| ბონი | 26 | 18 | 17 |
| ვარშავა | 21 | 21 | 20 |
| ათენა | 26 | 26 | 27 |
| ბერნი | 22 | 18 | 23 |
| ამსტერდამი | 22 | 17 | 14 |
| ოსლო | 17 | 16 | 10 |
| ანკარა | 22 | 20 | 22 |
| ვარნა | 22 | 25 | 25 |
| დელი | 51 | 50 | 50 |
| ტოკიო | 24 | 22 | 21 |
| კოპენჰაგენი | 18 | 19 | 11 |
| ბაქო | 27 | 31 | 25 |
| ერევანი | 31 | 32 | 30 |
| ასტანა | 19 | 18 | 20 |
| ჰელსინკი | 13 | 10 | 12 |
| დუბლინი | 14 | 11 | 10 |
| ლისაბონი | 23 | 24 | 29 |
| პრაღა | 21 | 21 | 18 |
| სოფია | 21 | 26 | 25 |
| ბუდაპეშტი | 25 | 25 | 18 |
| ბუხარესტი | 23 | 27 | 28 |

# "შელის" და ყაზახეთის პარტნიორობა ფართოვდება

მერაბ ლორთქიფანიძე



ინგლისურ-ჰოლანდიური ნავთობკომპანია "როიალ დატჩ შელი" იმედოვნებს, რომ ყაზახეთის მთავრობასთან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის ძალითაც, ყაზახეთის კასპიისპირა სამხრეთის რაიონში მდებარე ბლოკ "ნურსულთანის" დაზვერვითი სამუშაოების წარმოების უფლებას მოიპოვებს.

ეს ბლოკი შედარებით მცირე ტერიტორიას მოიცავს, მაგრამ წინასწარი დაანგარიშებით ცნობილია, რომ მის წიაღში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგია მოქცეული. ყაზახეთის კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყნის კასპიისპირა შელფზე განხორციელებულ ნებისმიერ პროექტში ქვეყანას 50-პროცენტიანი წილი ეკუთვნის, დანარჩენ წილზე კი ღია კონკურსები ტარდება.

ამ მხრივ, "შელი" უკვე დიდი ხანია, თანამშრომლობს ყაზახეთთან და მისი ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მათი პარტნიორობა "ნურსულთანის" დაზვერვასა და შემდგომში იქ მდებარე საბადოების ერთობლივ ექსპლუატაციაშიც გადაიზრდება.

ამ თემაზე ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარდ ბოტს უკვე ჰქონდა მოლაპარაკება ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან, რისი შედეგებითაც ის კმაყოფილი დარჩა.

"წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ, იმის თქმა შეიძლება, რომ სიტუაცია ჩვენთვის მეტად ხელსაყრელია. ვიმედოვნებთ, რომ მალე გავაფორმებთ ხელშეკრულებას "ნურსულთანის" ბლოკში თანამშრომლობის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე გარკვეული პირობები შესათანხმებელია, თუმცა ეს რეალურ პრობლემას არ წარმოადგენს," - ამბობს ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის პრესმდივანი ჰერმან ფან ხელდერენი.

ყაზახეთის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობს სახელმწიფო კომპანია "ყაზმუნაიგაზი", რომლის სპეციალისტთა წინასწარი შეფასებით, "ნურსულთანის" ბლოკის წიაღში დაახლოებით 349 მილიარდი ტონა ნახშირწყალბადის მარაგია თავმოყრილი. ეს ბლოკი ყაზახეთის კასპიისპირა სექტორის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და იქ ყაზახეთის მთავრობას ახალი საპორტო ქალაქ კურიკის აშენება აქვს განზრახული. მით უმეტეს, რომ ამ ბლოკის სანაპირო ზოლი თავისი სიღრმითაც გამოირჩევა და, ამ მხრივ, პორტის მშენებლობისთვის ზედგამოჭრილია.

დღეისათვის ყაზახეთი წლიურად 60 მილიონ ტონა ნავთობს მოიპოვებს. პერსპექტივაში კი (2015 წლისთვის) ნავარაუდევია წლიური მოპოვების 150 მილიონ ტონამდე გაზრდა. ქვეყანაში მალე მწყობრში ჩადგება ყაშაგანის ნავთობმომპოვებელი კომპლექსი, რომელიც ასევე "შელთან" და სხვა უცხოურ კომპანიებთან ერთად შენდება. ყაშაგანის ნავთობსარეწი კომპლექსის სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ, ყაზახეთი მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მოწინავე ათეულში შევა.

რაც შეეხება "შელს", დაზვერილი ნავთობსაბადოების მოცულობით, ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანიაა მსოფლიოში. თუმცა, წარმოების სწრაფ ზრდასთან ერთად, მისი რეზერვი მცირდება. ამიტომ, კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, კომპანია ინტენსიურად ცდილობს ახალი საბადოების აღმოჩენასა და მათი ექსპლუატაციის დაწყებას. "შელი" იმედოვნებს, რომ ამჟამად არსებული დაზვერილი რეზერვების ასი პროცენტით შევსებას 2008 წლამდე შეძლებს.

### შუააზიური გაზი საქართველოზე გაივლის

პარალელურად, ყაზახეთის მთავრობა ბუნებრივი აირის მოპოვებისა და საზღვარგარეთ რეალიზების მოცულობის მკვეთრად გაზრდას გეგმავს. ქვეყნის ხელისუფლება ამჟამად სწავლობს გაზის ევროპისთვის ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენით მიწოდების პერსპექტივებს.

ყაზახეთის მთავრობამ, კერძოდ კი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დანიალ აჰმეტოვმა, "როიტერთან" საუბარში განაცხადა, რომ ყაზახეთი ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობით დაინტერესებულია. ეს პროექტი 5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული და ის შუააზიური გაზის ევროპისთვის მიწოდებას ითვალისწინებს.

ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი ამ წლის მიწურულს ამოქმედდება. საწყის ეტაპზე მისი გამტარუნარიანობა წლიურად 16 მილიარდი კუბური მეტრი იქნება, თუმცა მეორე რიგის სამუშაოების დასრულების შემდეგ მისი გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

"ყაზახეთი აქტიურად განიხილავს ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობაში ჩართვის პერსპექტივას. მისი ამოქმედების და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის მოდერნიზების შემდეგ, ამ ხაზით ევროპისთვის წლიურად 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება იქნება შესაძლებელი. ამ გაზსადენის მეშვეობით, ყაზახეთი პირდაპირ, შუამავლების გარეშე გავა ევროპულ ბაზრებზე," - განაცხადა ბაქოში ვიზიტით მყოფმა აჰმეტოვმა.

2015 წლისთვის ყაზახეთი გაზის წლიური მოპოვების 45 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდას (აქედან თითქმის ნახევარს ყაზახები ჩინეთს მიაწვდიან) აპირებს. არადა, დღეისათვის ქვეყანა გაზს იმაზე ოდნავ მეტი რაოდენობით მოიპოვებს, რაც შიდა საჭიროების დასაკმაყოფილებლადაა საკმარისი.

ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობის იდეა ამ წლის დასაწყისში ხელახლა წამოჭრეს თურქეთმა, თურქმენეთმა და აზერბაიჯანმა. ამ გაზსადენის მშენებლობით დაინტერესებულია ასევე უკრაინა, რომელიც დღეისათვის მთლიანად რუსეთის გაზზეა დამოკიდებული. ამასთან, უკრაინა და ყაზახეთი იმედოვნებენ, რომ პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობას ევროპაც მიიღებს, რომელიც ძლიერაა დაინტერესებული გაზით მომარაგების ალტერნატიული წყაროების მოძიებით და ამოქმედებით.

### ევროპელები ყაზახეთში

შეიძლება ითქვას, რომ ევროპისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გაზის მიღების ალტერნატიული გზების მოძიებას. რუსეთმა თავისი წინდაუხედაობით (იგულისხმება მის მიერ უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული, გაზის და სხვა სახის "რეპრესიები") ევროპელთა ნდობა დაკარგა. ამის შედეგი კი ისაა, რომ ძველი კონტინენტის ქვეყნები უკვე აქტიურად ცდილობენ შუა აზიის რეგიონიდან გაზის მიღების ალტერნატიული გზების ძიებას. უფრო სწორად, ეს გზა მოძიებულია და ის საქართველოზეც გაივლის.

ამ მიმართულებით საქმიანობის გასააქტიურებლად, ევროგაერთიანების და აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა ვილნიუსიდან ყაზახეთს მიაშურეს, იქაურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. დელეგაციასთან ერთად, ყაზახეთში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინიც იმყოფებოდა. შეგახსენებთ, რომ ჩეინიმ ვილნიუსში მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც თავის მდიდარ ბუნებრივ რესურსებს მეზობლებზე ზეგავლენის მოსახდენ იარაღად იყენებს.

# საპრივატიზაციო ობიექტებს რეალურ თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად აფასებენ

აჭარის ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2005 წელს 102 ობიექტის პრივატიზაცია განხორციელდა, მათ შორის, 49 ობიექტი ადგილობრივი, ხოლო 53 - სახელმწიფო მნიშვნელობის იყო.პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსულმა თანხამ 11 მილიონ 731 ათას 911 აშშ დოლარი შეადგინა. აქედან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში 6 მილიონ 798 ათას 440 აშშ დოლარი, ხოლო ცენტრალურ ბიუჯეტში - 4 მილიონ 929 ათას 083 აშშ დოლარი ჩაირიცხა.ამავე დროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აჭარის ტერიტორიაზე მდებარე 9 სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი გაყიდა, საიდანაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში 1 მილიონ 517 ათასი 600 აშშ დოლარი, ხოლო ცენტრალურ ბიუჯეტში - 2 მილიონ 818 ათასი 400 აშშ დოლარი მობილიზდა. როგორც აჭარის ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, გაყიდვებიდან შემოსულმა თანხამ მოსალოდნელს ორჯერ გადააჭარბა: 2005 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების პრივატიზებიდან სულ 28 მილიონ 852 ათას 800 ლარი შემოვიდა, აქედან 13 მილიონ 902 ათასი 300 ლარი - აჭარის ბიუჯეტში, ხოლო 14 მილიონ 950 ათას 500 ლარი ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა.

როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა კახა ბაციკაძემ განაცხადა, საქართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ბათუმის მუნიციპალური ქონება წესიერად გამიჯნული არ არის: ის, რაც ძვირადღირებული იყო, საქართველოს სახელმწიფო ქონებას მიაკუთვნეს. აღნიშნული საპრივატიზაციო ობიექტებიდან შემოსული თანხა ბათუმისა და რეგიონის განვითარებას რეალურად წაადგებოდა.

ჯერ კიდევ უცნობია და მე თვითონ არაერთხელ შევეცადე გამერკვია, რამდენად მიჰყიდეს ყაზახებს ზღვის სანაპიროზე მდებარე 19 ობიექტი. სარწმუნო ინფორმაცია მაქვა, რომ მხოლოდ 4 მილიონ დოლარად! სამწუხაროდ, სასტუმროებიდან გამოსახლებული დევნილები, ჯერჯერობით, არ დაუკმაყოფილებიათ.

საპრივატიზაციო ობიექტებს ხშირად რეალურ თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად აფასებენ. მაგალითად, სასტუმრო "ივერია" 800 ათას დოლარად გაიყიდა. თუმცა, როდესაც ახალმა მეპატრონემ აუდიტი ჩაატარა, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ პარკის ღირებულება ერთ მილიონ დოლარს აღწევდა.

სასტუმრო "აჭარა" ქალაქის ცენტრში 300 ათას დოლარად გაიყიდა. მის გვერდით მდებარე მსგავსი ტიპის შენობა, სადაც ადრე ცოტნე ბაკურიას ოფისი იყო განთავსებული, "ნაცმოძრაობამ" 69 ათას დოლარად შეიძინა. ასეთი გარიგებების შემდეგ რეალური ეჭვი ჩნდება, რომ ვიღაც-ვიღაცეები სარგებლიან გარიგებებს ახორციელებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველო ესტონეთს საპრივატიზაციო ობიექტებს სთავაზობს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ესტონელ ბიზნესმენებს საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში აქტიურად ჩაბმისაკენ მოუწოდა. როგორც მან საქართველო-ესტონეთის ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, სასურველი იქნებოდა, თუკი ესტონელები ენერგეტიკის სფეროში არსებულ პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა კი ესტონელ ბიზნესმენებს აუწყა, რომ დღეისათვის საქართველოში რეალურად არსებობს მიმზიდველი ბიზნესგარემო და, შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზა. საქართველო-ესტონეთის ბიზნესფორუმი 10 მაისს თბილისში, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიხსნა. მასში მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რუუტელმა, ასევე, 30-მა ქართველმა და 18-მა ესტონელმა ბიზნესმენმა მიიღეს. **მედიანიუსი**

## შაქრის ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

საქართველოში შაქარზე ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ერთი კილოგრამი შაქარი 1.50-1.80 ლარი ღირს. შაქრის ფასის ზრდის მიზეზად ნიუ-იორკისა და ლონდონის სასაქონლო ბირჟებზე შაქრის გაძვირება სახელდება. როგორც სააქციო საზოგადოება "აგარის შაქარში" განაცხადეს, სასაქონლო ბირჟებზე შაქრის გაძვირების მიზეზი შაქრის ლერწმის შედარებით დაბალი მოსავალია. მათივე განმარტებით, ნედლეულის დეფიციტს ისიც ზრდის, რომ შაქრის ლერწმისგან ეთანოლის სპირტის დამზადებამ მოიმატა. "აგარის შაქარი" ბრაზილიაში წარმოებული შაქრის ლერწმისგან მზადდება და ფასების მატების საერთაშორისო ტენდენცია ბუნებრივად ვრცელდება ქართულ შაქარზეც," - აცხადებენ საწარმოში. როგორც ექსპერტები აცხადებენ, შაქარზე ფასების მატება კვლავ მოსალოდნელია. უკანასკნელი მონაცემებით, ლონდონისა და ნიუ-იორკის საფონდო ბირჟებზე შაქრის ფასმა ორი პუნქტით აიწია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კვერცხის ფასმა საგრძნობლად იმატა

საქართველოში კვერცხის ფასმა საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით ფასი აიწია კოდის წარმოების კვერცხზე. როგორც ფაბრიკა "კოდაში" აცხადებენ, კვერცხის სარეალიზაციო ფასი 20,8 თეთრია. თუკი სარეალიზაციო პუნქტებში კოდის კვერცხის გასაყიდი ფასი 25 თეთრზე მეტია, ფაბრიკა "კოდის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ამ სარეალიზაციო პუნქტებში კვერცხს აღარ შეიტანენ. მათი განმარტებით, კვერცხზე ფასის აწევა ფრინველის გრიპის გამო გამოწვეული პანიკის შენელებამ და კვერცხზე მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია. ფრინველის გრიპის გამო გამოწვეული პანიკის პერიოდში კვერცხის და ფრინველის ხორცის მწარმოებელმა ფაბრიკებმა სარეალიზაციოდ ნაწარმის გამოტანა შეამცირეს. სავარაუდოდ, მომავალში კვერცხის ფასი ისევ დაიწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული ნაყინი აზერბაიჯანის ბაზარზე გავა

ნაყინისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "თოლია" 2007 წელს ნაყინს ბაქოში გაიტანს. როგორც ცნობილი გახდა, კომპანიის წარმომადგენლები 22 მაისს, ბაქოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოფენაზე არიან მიწვეულები, სადაც ბაქოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებები გაიმართება. ბაქოში კომპანია "თოლიას" წარმომადგენელი თბილისში დამზადებულ ნაყინს დისტრიბუციას გაუკეთებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კემკ-ს თავმჯდომარე კვლავ ქიტოშვილია

კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის პოსტზე, ხელახალი ვადით, გუშინ პარლამენტმა დიმიტრი ქიტოშვილი აირჩია. აღნიშნული თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ქიტოშვილს ამ პოსტზე მუშაობის უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. ამის გარდა, მარეგულირებლი კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ორი, ნანა სულუაშვილისა და გოგი მჟავანაძის კანდიდატურებიც იყო წარმოდგენილი, თუმცა საჭირო 112 ხმა მხოლოდ ქიტოშვილმა მოაგროვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოსკოვში "ბორჯომის" მხარდამჭერი ახალგაზრდები დააკავეს

მოსკოვში რუსეთის ფედერაციის სანიტარული სამსახურის შენობის წინ ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა - "ჩვენ", "დემოკრატიულმა ალტერნატივამ", "ობორონამ" და სამხედრო კლუბმა მინერალური წყლის "ბორჯომის" მხარდამჭერი მიტინგი გამართეს. შეკრებილ ახალგაზრდებს მილიციამ რამდენჯერმე სთხოვა, შეეწყვიტათ "ბორჯომის" პროპაგანდა. ახალგაზრდების დაუმორჩილებლობის გამო ერთი აქტივისტი დააკავეს. თუმცა ამ ფაქტმა დანარჩენები მაინც ვერ შეაჩერა და გამვლელებისთვის "ბორჯომის" შეთავაზებას აგრძელებდნენ. ამის შემდეგ მილიციამ სპეცრაზმი გამოიძახა და ხელკეტებით შეიარაღებულმა "ომონელებმა" აქციის კიდევ სამი მონაწილე დააკავეს. სამართალდამცველთა განმარტებით, ახალგაზრდები არასანქცირებული მიტინგის გამართვისთვის დააკავეს. **მედიანიუსი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

დი-ნა-მო!
დი-ნა-მო!



C2

ცქიტიშვილის ორი წუთი



C3

ისტორიაში მხოლოდ
გამარჯვებულები რჩებიან



C4





სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15





# "თბილავიამშენს" ფრთები ვერ დაამტვრიეს

ბიგა გურასაშვილი

*"ავიამშენისა" და "აზოტის" გუშინდელი ფინალური სერიის მეორე მატჩში, უფრო სწორად, მეოთხე მეოთხედის დაწყებამდე ვიღას ახსოვდა კალათბურთი. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ამბავი ატყდა... დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. არ ვხუმრობ. ან კი რა მეხუმრება, როცა ბოთლების წვიმაში დგახარ და თავზე ვიღაცა გეცემა? ერთი სიტყვით, დიდი ცემა-ტყეპა იყო, რა თქმა უნდა, ქართულად გახმოვანებული - ჩემი დედა... შენი დედა... ... შვილი ვიყო... სხვანაირად როგორ შეიძლება?! ეს ხომ საქართველოს ჩემპიონატია. დამნაშავე ვინ იყო, თავად არკვიეთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პირთამდე სავსე დარბაზი რუსთაველების მიერ იყო ოკუპირებული. ოციოდე თბილისელი თუ იქნებოდა. ასე რომ, შინაურ კედლებზე საუბარი უადგილოა.*

უკმაყოფილო, რა თქმა უნდა, "აზოტის" გულშემატკივარი იყო, რაც სულაც არაა გასაკვირი. საქართველოს ჩემპიონატში თუკი რამ გაწევ-გამოწევაა, რატომღაც ყოველთვის ესენი ყოჩაღობენ. მერე კი საკუთარი გულშემატკივრების დაშოშმინება და მათ გამო მობოდიშება "აზოტის" მოთამაშეებს უწევთ. გუშინაც ასე იყო. ერთ-ერთმა იქ მყოფმა ისიც კი თქვა, "ბუნტოვშიკებში" ერთი და იგივე სახეებს ვხედავ, რა გახდა მათი კონტროლზე აყვანა, თამაშსაც შლიან და საკუთარ გუნდსაც დათვურ სამსახურს უწევენო.

რეპლიკა: "ფეის-კონტროლია საჭირო".

ახლა კი ლოგიკა: ვინ იწყებს ჩხუბს? რა თქმა უნდა, ის, ვინც ცუდ გუნებაზეა. ვინაა ცუდ გუნებაზე? რა თქმა უნდა, იმ გუნდის გულშემატკივარი, ვისაც ცუდად აქვს საქმე. ერთი სიტყვით, ვინც აგებს. მეოთხე მეოთხედის დაწყებამდე მატჩს "ავიამშენი" იგებდა - 60:43.

"არ მინდა ვინმეს რამე დავაბრალო, მაგრამ მაკა კუპატაძემ (გუშინდელი მატჩის ერთ-ერთი მსაჯი გახლდათ) ისეთი შეცდომები დაუშვა, რამაც თამაშზე იქონია გავლენა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ წაგვეგო, - მატჩის შემდეგ ამბობდა რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე, - კუპატაძის საბედისწერო შეცდომები რომ არა, შესაძლოა, თამაში ჩვენს სასარგებლოდ შემოგვებრუნებინა. ისე, ხომ შეიძლებოდა, ბოთლი თბილისელსაც ესროლა? არა უშავს. წინ კიდევ ორი თამაში გვაქვს".

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ფინალური სერიის მეორე მატჩიც, ისევე როგორც პირველი, "თბილავიამშენის" გამარჯვებით დასრულდა - 74:57. პირველი შეხვედრა თბილისელებმა ორი დღის წინ 2 ქულის სხვაობით მოიგეს.

გაგრძელება C2 გვერდზე



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*არც ერთია "ავიატორი" და არც მეორე "მეტალურგი" - ორივე ბედკრული აფრიკის შვილები არიან.*

## ტოპმიოლერის სემინარები

საქართველოს ეროვნული ნაკრების გერმანელი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი 13 მაისს ქართველ მწვრთნელებს სემინარს ჩაუტარებს. გერმანელი სპეციალის-ტისა და ქართული კლუბების მწვრთნელების შეხვედრა სფფ-ს ტექნიკურ ცენტრ "ბასაშია" დაგეგმილი. სემინარი და-ახლოებით სამ საათს გაგრძელდება. ასეთი სემინარები ალ-ბათ ტრადიციული გახდება.

## აღმასკომი და შეხვედრა პრეზიდენტებთან

დღეს უნდა გაიმართოს საქართველოს ფეხბურთის ფე-დერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში ოთხი საკითხი იქნება:

1.საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-11 ყრილო-ბის მოსამზადებელი სამუშაოები.

2.საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულე-ბელ კომიტეტში შექმნილი ვაკანსია.

3.საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-11 ყრილო-ბის რეგლამენტი.

4.სხვადასხვა.

აღმასკომის სხდომის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ქართული კლუბების პრეზიდენტებს შეხვდება. ამ შეხვედრაზე ჩემპიონატის შედეგებზე ისაუბრებენ.

## კოკაი კვლავ დამარცხდა

მაისის ბაშოზე კოკაიმ მეხუთე ბრძოლა გამართა. შეგახ-სენებთ, რომ ქართველმა საკმაოდ კარგად დაიწყო ბაშო და ზედიზედ ორი ბრძოლა მოიგო, თუმცა ამის შემდეგ ლევან ცაგურიას ხელი მოეცარა და უკვე მესამედ, ამჯერად მეორე მაიგეშირა ასასეკირუსთან დამარცხდა. ახლა ჩვენებურის ანგარიშიზე ორი მოგება და სამი მარცხია. დღეს ქართველი შეხვდება მერვე მაიგეშირა კასუგაოს, რომელსაც ხუთი ბრძოლიდან ერთი აქვს მოგებული. წესით, კოკაიმ მეტოქე უნდა დაამარცხოს.

## კუბანის მორიგი სასჯელი

NBA-ს კლუბ "დალასის" მფლობელი მარკ კუბანი ლიგის მესვეურებმა უკვე მეცხრედ დააჯარიმეს, ამჯერად 200 000 დოლარით. ჯარიმის ნახევარს კუბანი იმის გამო გადაიხდის, რომ "დალასისა" და "სან ანტონიოს" მატჩის დროს მოედანზე შევიდა, მეორე ნახევარს კი - მსაჯების მიმართ გამოთქმული შენიშვნებისთვის. კუბანისთვის ეს პირველი სასჯელი არ არის. ჯარიმების სახით მას უკვე მილიონ დოლარზე მეტი აქვს გადახდილი.

## ევროლიგაში საკონტრაქტო სისტემა იმუშავებს

საკალათბურთო ევროლიგა მთლიანად NBA-ს ყაიდაზე გადადის. ევროლიგის ხელმძღვანელები რეგლამენტში ცვლილებების შეტანას აპირებენ. მომავალში ევროლიგა კონტრაქტებს გააფორმებს კლუბებთან და ამ გუნდებს კონ-ტრაქტის ვადის ამოწურვამდე ექნებათ ევროლიგაში თამა-შის გარანტიები. ასე რომ, ევროლიგაში მოასპარეზე გუნდე-ბის ბედი ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით არ გაირკვევა.

"სიახლე კომერციულმა მოსაზრებამ განაპირობა. იმისთ-ვის, რომ ევროლიგის მაღალი დონე შევინარჩუნოთ, აუცი-ლებელია წამყვანი კალთბურთელების შენარჩუნება. მოთა-მაშეებს კი ტურნირის დონე და შემოსავლები აინტერესებთ. ამიტომაც გადავდივართ NBA-ს სტილზე," - ნათქვამია ევ-როლიგის მესვეურთა განცხადებაში.

## ფაბრეგასმა "რეალი" იუარა

"არსენალის" ახალგაზრდა ნახევარმცველმა სესკ ფაბრე-გასმა უარყო გავრცელებული ხმები მადრიდის "რეალში" მი-სი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. "ინგლისურ და ესპანურ პრესას ყოველდღიურად ვეცნობი და მშვენივრად ვიცი, რომ ჟურნალისტებმა უკვე გადამიყვანეს "სამეფო კლუბში". თუმ-ცა ჩემზე ეს ჭორები არ მოქმედებს. მე "არსენალის" ფეხბურ-თელი ვარ და კლუბის შეცვლას არ ვაპირებ. "არსენალის" წი-ნაშე თავს დავალებულად ვგრძნობ. ასე რომ, სანამ კლუბის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ გუნდისთვის საჭირო ვარ, არსად არ წავალ. მიკვირს, როდესაც ჩემს მომავალ კლუბად მადრიდის "რეალს" ასახელებენ. რატომ მაინცდამაინც "სა-მეფო კლუბი"? ხომ არ გავიწყდებათ, რომ კატალონიელი ვარ, "ბარსელონას" სკოლაში გავიზარდე და "რეალში" არას-დროს ვითამაშებ", - განაცხადა ფაბრეგასმა.

## ლიცენზია ჩამოართვეს

ფორმულა 1-ის გუნდ "სუპერ აგურის" პილოტს იუძი იდეს პილოტის სუპერლიცენზია ჩამოართვეს. ის ვერ შეძ-ლებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დარჩენილ ეტაპებ-ში მონაწილეობას. ესპანეთისა და მონაკოს გრან-პრიზე იდეს ფრანკ მონტანი შეცვლის. ვინ იქნება "სუპერ აგურის" მეორე პილოტი დანარჩენ რბოლებში, ჯერჯერობით უცნობია.




# "თბილავიამშენს" ფრთები ვერ დაამტვრიეს

პირველი გვერდიდან

"რა თქმა უნდა, რთულ თამაშს ველოდი, - თქვა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა, - მართალია, პირველი შეხვედრის შემდეგ რუსთაველებს გარკვეული იმედი ჩაესახათ, მაგრამ ეს მხოლოდ იმედი იყო და არა რეალობა. გუშინაც დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, მაგრამ ბიჭებმა კიდევ ვერ ისწავლეს, რომ თამაში ოთხი მეოთხედისგან შედგება და არა სამისგან. რუსთაველი გულშემატკივრისგან კი ასეთ მოქცევას არ ველოდი".

"აზოტის" გულშემატკივარს მას შემდეგ უფრო გაუმძაფრდა იმედი, რაც პირველი მეოთხედი მოიგეს - 19:17, მერე კი მუდმივად მდევრის როლში იყვნენ, რაც მათ გულშემატკივართა ნერვებზეც მოქმედებდა.

"დღეს ყველაფერი ჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ დავწინაურდით, შემდეგი მატჩისთვის არ მოვდუნდებით. უფრო მობილიზებულნი გავალთ მოედანზე, - აცხადებდა გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი (14 ქულა, 13 მოხსნა და 9 შედეგიანი გადაცემა) მოთამაშე კოტე ტუღუში, - მართალია, ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ყველაფერი ჯერ არ დასრულებულა. გაცილებით რთული თამაში რუსთავში გველის".



რუსთაველი გოგობერიშვილის გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა.

ფინალური სერიის მესამე მატჩი რუსთავში 16 მაისსაა დანიშნული. იმედია, ამ დღეს რუსთაველები ერთმანეთს არ დაერევიან. ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ავიამშენელთა გულშემატკივრები რუსთავის გზას დაადგნენ.

# დი-ნა-მო! დი-ნა-მო!

მარი ჭავახიშვილი

ის, რაც 1981 წლის 13 მაისს თბილისის "დინამომ" დიუსელდორფის "რაინშტადიონზე" მოახერხა, დღემდე დაუვიწყარია ქართველი ერისთვის.

მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველი მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის მიერ შექმნილმა გუნდმა - ალექსანდრე ჩივაძემ, დავით ყიფიანმა, რამაზ შენგელიამ, თენგიზ სულაქველიძემ, ვლადიმერ გუცაევმა, ვიტალი დარასელიამ, ოთარ გაბელიამ, ზაურ სვანაძემ, ნოდარ ხიზანიშვილმა, გია თავაძემ, ნუკრი კაკილაშვილმა, თამაზ კოსტავამ - მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იენის "კარლ-ცაისი" 2:1 დაამარცხა და თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ქართველ ხალხს კი ყველაზე ბედნიერი დღე აჩუქა "დინამოს" არსებობის ისტორიაში.

ვლადიმერ გუცაევისა და ვიტალი დარასელიას გოლები ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში, "დინამო" კი გახდა ყველაზე აღმოსავლეთევროპული კლუბი ევროტურნირების ისტორიაში, რომელიც ევროთასს დაეუფლა.

13 მაისს თბილისის "დინამოს" ამ ტრიუმფიდან 25 წელი სრულდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით ეროვნულ მუზეუმში მოეწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა.

"ქარვასლაში" გამოიფინა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის დემიკო ლოლაძის მიერ 1981 წლის 13 მაისს "რაინშტადიონზე" გადაღებული ფოტოები, მის არქივში შემონახული იმ დღისადმი მიძღვნილი ქართული და გერმანული პრესა, ფინალური მატჩის ოფიციალური პროგრამა, თბილისის "დინამოს" მაშინდელი მაისურები, საკლუბო დროშა და სხვა ატრიბუტიკა.

გამოფენაზე მისულებს უჩვეულოდ თბილი ატმოსფერო დაგვხვდა, მაგრამ საერთო ზეიმს აწ გარდაცვლილი მწვრთნელისა და ფეხბურთელების არყოფნა აუფერულებდა.

გამოფენაზე მოსულ გულშემატკივარს შეეძლო დიდ ეკრანზე ეხილა იმ დაუვიწყარი მატჩის ამსახველი კადრები, გაეხსენებინა ის ბრწყინვალე მომენტები, რომლებიც ლეგენდარულმა ქართველმა ფეხბურთელებმა შექმნეს.

ძველი დინამოელები კიდევ ერთხელ და ვინ იცის მერამდენედ უზიარებდნენ ერთმანეთს იმ დღის მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს. რამდენიმე მათგანს ჩვენც გავესაუბრეთ:

ალექსანდრე ჩივაძე: "რა თქმა უნდა, ეს ყველაზე წარუშლელი დღეა ჩემს მეხსიერებაში. უკვე 25 წელი გავიდა, მაგრამ ის დღე, რომ იტყვიან, გუშინდელივით მახსოვს. ან როგორც შეიძლება იმ გამარჯვების დავიწყება, რისი ერთ-ერთი შემოქმედი, მადლობა ღმერთს, მეც გახლდათ. ყოველთვის, როცა ამ დღის გახსენებას მთხოვენ, ძალიან მიჭირს ხოლმე საუბარი, რადგან არ შემიძლია იმ ემოციის გადმოცემა, რაც მაშინ გერმანიაში განვიცადეთ. უფრო მეტი კი თბილისში გველოდა. მახსოვს, აეროპორტში ჩამოსულებს უამრავი ხალხი დაგვხვდა და ფეხბურთელები ხელში აგვიტაცეს. მაშინ უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართულ ფეხბურთს დაუვიწყარი დღე ვაჩუქეთ.

დღევანდელ "დინამოს" და ქართულ ფეხბურთს რომ ვუყურებ, გული მიკვდება, მაგრამ ვიცი, რომ ეს დროებითი მიძინებაა. ჩვენ აუცილებლად გავიღვიძებთ და თანაც ძალიან მალე. უბრალოდ, არ შეიძლება, ქართული ფეხბურთი ასეთ დღეში იყოს, არ შეიძლება იმ ქვეყანაში, სადაც ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, ბასა ღოღობერიძე, დათო ყიფიანი დაიბადნენ, ფეხბურთი მოკვდეს".



ოთარ გაბელია: "მახსოვს, პირველი ტაიმის შემდეგ, გასახდელში რომ შევედით, ბატონმა ნოდარმა ორი სიტყვა გვითხრა: ბოლომდე, ბიჭებო, ბოლომდეო. რას ნიშნავდა ეს "ბოლომდე", ყველასთვის გასაგები იყო. მეკითხებიან ხოლმე, რა იგრძენით, როდესაც გერმანელებმა პირველი გოლი გაგიტანესო. გეფიცებით, დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. მერე ვოვამ რომ გოლი გაიტანა, ეჭვიც კი აღარ მეპარებოდა. ვიტალის გოლზე კი რა გითხრათ, ეს დღემდე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლია ჩემთვის.

ყველაზე მეტად ერთ რამეზე მწყდება გული: ის მაისურა და ხელთათმანები ვერ შევინახე, რომლითაც იმ დღეს "დინამოს" კარს ვიცავდი. მატჩის შემდეგ, როცა გამარჯვების აღსანიშნავად რესტორანში წავედით, ახლობელმა მთხოვა და უარი ველარ ვუთხარი. დღეს კი ძალიან ვნანობ, რომ ამ ძვირფასი დღის მოსაგონარი ნივთები ჩემთან არ ინახება".

P.S. მკითხველს შევახსენებთ, რომ ქარვასლაში გამოფენა 14 მაისამდე გასტანს.



ქართველი ფეხბურთის მომავალი გამარჯვებები ახლა გერმანელი კლაუს ტოპმიოლერის ხელშია.

## ინფოთეკა

### იაპონია A - 15 საქართველო - 14

იაპონურ ტურნირზე მყოფმა საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა გუნდმა პირველი ტესტ-მატჩი გამართა მასპინძელთა "ა" ნაკრებთან. ბორჯღალოსნები მინდორზე ოპტიმალური შემადგენლობით ვერ გავიდნენ. ფრანგული კლუბების ჭირვეულობის გამო იაპონურ ვოიაჟში ქართველ მორაგბეებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლიათ. მოკლედ რომ ვთქვათ, "ბორჯღალოსნები" მეტოქეს თითქმის მეორე შემადგენლობით დაუპირისპირდნენ. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმის შემდეგ ქართველები შეხვედრას 14:0-ს იგებდნენ. ელიზბარაშვილმა და კაჭარავამ ორი ლელო გაიტანეს, სახვაძემ კი ორი გარდასახვა შესარულა ზუსტად. პირველ ნახევარში ანგარიში უფრო დიდიც უნდა ყოფილიყო, სოხაძეს ორი ჯარიმა რომ არ გაეცუდებინა. მეორე ტაიმში "ბორჯღალოსნები" მოეშვნენ. იაპონელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ 15:14 იმარჯვეს. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ქართველებისთვის ოთარ ბარკალაიას შეეძლო გამარჯვების მოტანა, თუმცა ვერც მისმა დარტყმამ ივარგა. მთავარ მატჩს ჩვენი გუნდი 14 მაისს იაპონიის ეროვნულ ნაკრებთან გამართავს.

### რიდიკ ბოუ ბრუნდება

მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში, ამერიკელი რიდიკ ბოუ ერთწლიანი შესვენების შემდეგ რინგზე დაბრუნებას გეგმავს. 39 წლის ბოუ 3 ივნისს პირველ ბრძოლას თანამემამულე რონ ბელამისთან გამართავს.

### რობერი ბრიტანეთში ბრუნდება

გასული სეზონის დასაწყისში ფრანგი ნახევარმცველი ლორან რობერი "ნიუკასლიდან" პორტუგალიურ "ბენფიკაში" გადავიდა. როგორც ჩანს, რობერს "ბენფიკაში" თამაში დიდად არ ხიბლავს და ისევ ბრიტანეთში დაბრუნებას გეგმავს. თუმცა, ამჯერად რობერი ინგლისში კი არა, შოტლანდიაში ითამაშებს. ფრანგი შემტევის შეძენა მოინდომა გლაზგოურმა "რეინჯერსმა", რომელსაც მომავალ სეზონში ფრანგი სპეციალისტი პოლ ლეგუენი უხელმძღვანელებს.

### პეტაკი ტურსაც გამოტოვებს

იტალიელი ველომრბოლი ალესანდრო პეტაკი ალბათ "ტურ დე ფრანსს" გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ იტალიელმა სუპერსპრინტერმა ამჟამად მიმდინარე "ჯიროზე" ტრავმა მიიღო. ორიოდე დღის წინ პეტაკის ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თქმით, ის "ტურ დე ფრანსისთვის" მზად ვერ იქნება. სამაგიეროდ, პეტაკი წლევანდელ "ვუელტაში" შეძლებს მონაწილეობის მიღებას.

### შოტლანდიამ ბულგარეთი გაანადგურა

საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შოტლანდიის ნაკრებმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართა ბულგარეთის ეროვნულ გუნდთან და სტოიჩკოვის შეგირდები 5:1 გაანადგურა. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ბულგარელებმა საქართველოს ნაკრები მიწასთან გაასწორეს - დაამარცხეს 6:1.

### "მილანში" ადრიანოს ელიან

"მილანის" ბრაზილიელი მცველი კაფუ მიიჩნევს, რომ მისი თანამემამულე ადრიანო "მილანში" უნდა გადავიდეს სათამაშოდ. "როდესაც ადრიანოს ბრაზილიის ნაკრების შეკრებებზე ვხვდები, ვგრძნობ, რომ მას "ინტერში" არ ულხინს. კარგი იქნება, თუ კლუბს შეიცვლის და "მილანში" გადმოვა. ადრიანოს იმის გარანტიაც კი შემიძლია მივცე, რომ "მილანში" დიდი სიხარულით შეხვდებიან", - აცხადებს კაფუ.

### "ლაციო" ლედესმას ყიდულობს

იტალიური "ლეჩეს" ცენტრალური ნახევარმცველი კრისტიან ლედესმა, სავარაუდოდ, ამ ზაფხულს რომის "ლაციოში" აღმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ რომაული კლუბის თავკაცი მანამდე "მილანის" ნახევარმცველით რუი კოშტათი იყო დაინტერესებული, იტალიური პრესის ცნობით, პორტუგალიელის ნაცვლად, "ლაციოში" არგენტინელი ლედესმა აღმოჩნდება. "ლაციოს" ახლანდელ თავკაცს დელიო როსისა და ლედესმას ორი სეზონი აქვთ ერთად გატარებული "ვია დელ მარიზე". კრისტიან ლედესმა "ლაციოში" ფაბიო ლივერანის შემცვლელად მოიაზრება.

## ინფოთეკა

### ნესტა "ლაციოზე" ოცნებობს

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" მცველს ალესანდრო ნესტას დიდი სურვილი აქვს საფეხბურთო კარიერა მშობლიურ კლუბში - რომის "ლაციოში" დაასრულოს. "ალესანდრო დედაქალაქურ კლუბში ორი წლის შემდეგ ან მომავალი სეზონის ბოლოს გადაბარგდება. ეს ხელს შეუწყობს მას, რომ კარიერა სწორედ "ლაციოში" დაასრულოს, რაც მისი დიდი ხნის ოცნებაა", - განაცხადა "მილანის" ფეხბურთელის აგენტმა. შეგახსენებთ, რომ ალესანდრო ნესტამ კარიერა დაიწყო 1993-94 წლების სეზონში რომაულ კლუბში, სადაც რვა სეზონი გაატარა. 2002 წელს კი "მილანში" აღმოჩნდა. იტალიელი ფეხბურთელი პირველად სწორედ "ლაციოსთან" ერთად 2000 წელს გახდა სერია ა-ს ჩემპიონი.

### უეფამ პროცესი მოიგო

უეფას ხელმძღვანელობამ მოიგო სასამართლო პროცესი იმ ინტერნეტ-ვებგვერდების მესვეურთა წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ საიტებზე უკანონოდ აჩვენებდნენ ჩემპიონთა ლიგის მატჩების ფრაგმენტებს. ლონდონის სასამართლოს დადგენილებით, დარღვეულია უეფას საავტორო უფლებები და საიტებს ჩემპიონთა ლიგის მატჩების ფრაგმენტების ჩვენების უფლება აღარ ექნებათ. ვინც კიდევ დაარღვევს ამ გადაწყვეტილებას, მომავალში სოლიდურ ფულად ჯარიმას გადაიხდის.

### გატლინი რეკორდისთვის ემზადება

მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მეტრზე სირბილში ამერიკელი სპრინტერი ჯასტინ გატლინი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს.

გატლინი დოჰაში მიმდინარე მძლეოსნობის სუპერ-ტურში მონაწილეობს და დღეს აპირებს ასაფა პაუელის რეკორდის გაუმჯობესებას. შეგახსენებთ, რომ იამაიკელმა სპრინტერმა გასული წლის ივნისში ათენში გამართულ ტურნირზე 100-მეტრიანი დისტანცია 9.77 წამში დაფარა, რაც მსოფლიო რეკორდია.

### ტაისონი სიმღერას იწყებს

მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში მაიკ ტაისონი შოუბიზნესში გადავარდა. რკინის მაიკს სურს ჩაწეროს სიმღერა პოპულარულ ირლანდიურ ჯგუფ Westlife-თან ერთად. მაიკმა უკვე მიმართა თხოვნით ამ ჯგუფის მენეჯერს ლუის უოლშს. ტაისონი თანახმაა, რომ მისი ხმა ჩაწერის შემდეგ კომპიუტერზე დაამუშაონ. მაიკს სურს, რომ ჯგუფის ყოფილი წევრის ბრაიან მაკფედენის ადგილი დაიკავოს. "ტაისონს იმდენად მოსწონს ამ ჯგუფის მუსიკა, რომ მათ შემადგენლობაში უნდა შესვლა. იგი ბედნიერი იქნება, თუ ერთ-ერთი სიმღერის ჩაწერაში ბეკ-ვოკალს იმღერებს", - აცხადებს ლუის უოლში.

### შევჩენკო 25 დღე დაისვენებს

მილანის სამედიცინო პერსონალის განცხადებით, უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენო გერმანიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ფორმას აღიდგენს.

უკრაინელ გოლეადორს იტალიის სერია ა-ს ბოლო ტურში, "პარმასთან" მატჩში მუხლის მყესები დაუზიანდა, რის გამოც სეზონის უკანასკნელ თამაშს გამოტოვებს.

"სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ანდრეის აუცილებლად სჭირდება თამაშისგან თავის შეკავება, რაც დაახლოებით 25 დღეს გასტანს. აქედან 15 დღე ის ბურთს საერთოდ არ უნდა გაეკაროს, ბოლო ათ დღეში კი მსუბუქი ვარჯიში შეეძლება", - განაცხადა "მილანის" მთავარმა ექიმმა პიერ მერსემანმა.

### პაპადოპულო რჩება

ჯუზეპე პაპადოპულო მზადაა "პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მომავალ სეზონშიც დარჩეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იტალიური პრესის ცნობით, სიცილიური კლუბის პრეზიდენტი მაურისიო ძამპარინი უკვე ახალ მწვრთნელს ეძებს.

"ამ გაურკვეველ მდგომარეობაში კომენტარს ვერ გავაკეთებ. თუმცა, "პალერმოში" მუშაობის გაგრძელება მომავალ სეზონშიც ძალიან მინდა. ძამპარინიმ კლუბში მაშინ მომიწვია, როცა სერია ა-დან გავარდნის საშიშროება გვემუქრებოდა. ბედნიერი ვარ, რომ იტალიის უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ. "მესინასთან" სეზონის ბოლო მატჩში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რათა ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვოთ", - განაცხადა "პარმას" თავკაცმა.

# რეკლამის როლი ბუნდესლიგაში




ბუნდესლიგა კარგი მენეჯმენტით სულდგმულობს.

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ვერც ერთი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატი ვერასოდეს იქნება ძლიერი, თუ სპორტით მდიდარი სპონსორები არ დაინტერესდებიან.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ აზრს ჩვენთან ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს. მარტო ჩვენი დაქცეული ეროვნული პირველობის შემხედვარეს, შურით ლამის გული გვისკდება, როცა დასავლეთში სპორტისგან საკმაოდ შორს მდგარი ფირმები ფეხბურთში აურაცხელ თანხებს დებენ მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი რეკლამა გააკეთონ. ასეა, ბატონებო, პრინციპი: ხელი ხელს ჰბანს და ორივე - პირსაო, ევროპაში მშვენივრად მუშაობს. შედეგად იქაური ფეხბურთი ყვავის. ამჯერად მხოლოდ გერმანიის ბუნდესლიგაზე შევჩერდებით, რომლისგან სასწავლი და გადმოსაღები ქართველებს ბევრი გვაქვს და სადამდეც, ნუ გვიწყენს მკითხველი, ალბათ რამდენიმე ათწლეული გვაშორებს.

რა ხდება ამ დროს გერმანიაში? რა და, არსებობს ეგრეთ წოდებული სპორტული ბირჟა, რომელიც არეგულირებს ფეხბურთში ფირმების ინტეგრირებას. გერმანულ ფეხბურთში ფულის ჩადების სურვილი უამრავ კომპანიასა და ფირმას აქვს, ეს ბირჟა კი მათ ამაში ეხმარება. იგი ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია სპონსორებსა და საფეხბურთო კლუბებს შორის. ხშირად ატარებს სემინარებს, სადაც მხარეებს ერთმანეთს აცნობს და საერთო ინტერესების პოვნაში ეხმარება.

გერმანელი სპონსორები ყოველმხრივ ცდილობენ, რომ მათი პროდუქტი მომხმარებელში რომელიმე გუნდთან ან კონკრეტულ ფეხბურთელთან ასოცირდებოდეს. ამავე დროს არ უნდა დაირღვას რეგიონული ბალანსი, არავის არ უნდა შეელახოს თავმოყვარეობა. მაგალითად, საყოველთაო აზრის თანახმად, ისეთი კონცერნი, როგორიცაა "ოპელი", "ბაიერნის" გენერალურ სპონსორობას არ იმსახურებდა. მიუნხენელთა იდეალური სპონსორი, რა თქმა უნდა, "W" ("ფოლკსვაგენი") იქნებოდა და ეს ორივე მხარისთვის წარმატებული თანამშრომლობა გამოდგებოდა, მაგრამ ეს ავტომაგნატი ფეხბურთს რატომღაც არ სწყალობს.

მიუხედავად ამისა, ეს "ბაიერნისთვის" პრობლემად არ ქცეულა და არანაკლებ პოპულარულ ფირმა "აუდისთან" გააფორმა კონტრაქტი. თუმცა, "ბაიერნზე" ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი ბუნდესლიგაზე ვისაუბროთ.

1954 წელს ბუნდესლიგა, როგორც გერმანული საკლუბო ფეხბურთი, რომელიც ინგლისურზე თითქმის 100 წლით უმცროსია, ლიცენზირებული გახდა. კიდევ ორი წლის შემდეგ ტელევიზიაში საფეხბურთო ტრანსლაციების რაოდენობა ლამის გაათმაგდა. 1966 წელს ფრანც ბეკენბაუერის ვარსკვლავი ამობრწყინდა. მალე ის ნამდვილ ეროვნულ გმირად იქცა და სპონსორთა უსაყვარლესი პერსონაც გახდა. იმდროინდელი გერმანული კლუბების შემოსავლის უმთავრესი წყარო ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ფული იყო, რაც გუნდების მესვეურებს აიძულებდა ტრიბუნებზე ადგილთა რაოდენობა შეძლებისდაგვარად გაეზარდათ.

ბუნდესლიგას პირველი სპონსორი 1972-73 წლების სეზონში გამოუჩნდა. ეს იყო ალკოჰოლური სასმელის "ჟაგერმაისტერის" მწარმოებელი ფირმა, რომელმაც თავისი რეკლამა კლუბ "ბრაუნშვაიგის" მაისურაზე განათავსა. სწორედ იმ ხანებში "ბაიერნს" საკუთრებაში გადაეცა მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი, რამაც ბავარიული გუნდის კომერციული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. გერმანიის სტადიონებზე გამოჩნდა პირველი ეგრეთ წოდებული VIP ლოჟები და მინდვრის გასწვრივ განლაგებული სარეკლამო დაფები.

1979 წელს "ბაიერნის" მენეჯერი გახდა ამბიციური ული ჰიონესი, რომელიც კლუბში რადიკალურად ახალი ბიზნეს-გეგმით მივიდა. ცხრა წლის შემდეგ კერძო ტელეარხი RT ბუნდესლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლებას ყიდულობს და ყოველ მატჩს 15 (!) ვიდეოკამერით ემსახურება.

ტელეტრანსლაციებიდან შემოსულმა საერთო თანხამ დღევანდელი ფასებით 355 მილიონ ევროს გადააჭარბა, რამაც, ბუნებრივია, ფეხბურთელთა ხელფასების არნახული ზრდა გამოიწვია. ცხადი იყო, რომ ეს ყველაფერი, ადრე თუ გვიან, კრახით დამთავრდებოდა. 2002 წელს ტელემაგნატ ლეო კირხის იმპერია RT გაკოტრდა, კლუბები კი უმთავრესი შემოსავლის გარეშე დარჩნენ. დღეს ბუნდესლიგის ყველა გუნდი ტელეტრანსლაციების უფლებას ერთობლივად ყიდის და არა ცალ-ცალკე, როგორც ეს ადრე ხდებოდა (ტელევიზიებიდან შემოსული თანხა კი დაახლოებით 290 მილიონ ევროს შეადგენს).

ახლა კი, როგორც შეგპირდით, გერმანული ფეხბურთის ფლაგმანსა და ევროპის ერთ-ერთ ტიტულოვან კლუბ "ბაიერნზე" მოგახსენებთ. გერმანიის 19-გზის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ოთხგზის მფლობელი კლუბი, რომლის წლიური ბიუჯეტია 170 მილიონი ევრო, მარკეტინგის თვალსაზრისით უძლიერესი კოლექტივი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. ბოლო 12 წლის განმავლობაში "ბაიერნის" მოგების სალდო არასოდეს ყოფილა უარყოფითი. იგი 100 ათასიდან (1993-94წწ) 16,5 მილიონამდე (2000-02წწ) მერყეობდა და ყოველი ევრო, ყოველი მარკა მიუნხენელთა მუხლჩაუხრელი მუშაობის ნაყოფი გახლდათ.

ბუნებრივია, ტელევიზიით "ბაიერნის" კიდევ უფრო გამდიდრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. გამოთვლილია, რომ გასულ სეზონში "ბაიერნი" სხვადასხვა გერმანულ ტელეარხებზე ყოველდღე 143 წუთით ჩნდებოდა და ყოველ ასეთ წუთს გუნდისთვის მოგება მოჰქონდა. მართალია, შემოსავლიანობის თვალსაზრისით "ბაიერნს" ბუნდესლიგის სხვა კლუბები ვერ უწევენ კონკურენციას, მაგრამ გერმანიაში საშუალო დონის კლუბებიც კი არ არიან წყალწაღებული. მაგალითისთვის ავიღოთ "ჰერტა" და "ვოლფსბურგი".

ბერლინური გუნდი ერთ დროს ძალიან ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი. კლუბის მესვეურებს ეგონათ, რომ მთავარია გამარჯვების მიღწევა, ფული კი თავისით მოვა, მაგრამ "ჰერტამ" ვერც ერთს მიაღწია და ვერც - მეორეს. სწორედ მაშინ გაჩნდა აზრი, რომ ხმაურიანი გამარჯვებების გარეშეც შეიძლებოდა სტაბილურად ცხოვრება. ჰოდა, "ჰერტას" მესვეურებმა დაიქირავეს ფირმა "შპორტფივე", რომელსაც ევალებოდა ერთადერთი რამ - გუნდისთვის წარმატებული ბრენდის შექმნა.

დაიწყო მუშაობა, მაგრამ რა დაიწყო - "ჰერტა" ლამის უწვრილეს ნაწილებად დაშალეს - ითვალისწინებდნენ ყველაფერს, ამინდით დაწყებული და ბერლინის მცხოვრების კულინარიული მისწრაფებებით დამთავრებული. აქცენტი ძირითადად ორ რამეზე გაკეთდა - "ჰერტა" ერთადერთი კლუბი იყო, რომელიც ბუნდესლიგაში აღმოსავლეთ გერმანიას წარმოადგენდა და მეორე - ბერლინი გერმანიის უდიდესი ქალაქი გახლავთ.

დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. 4500 ადგილი გამოუყვეს ვიპ-სტუმრებს, რაც თანამედროვე კლუბებისთვის, სხვა რომ არაფერი, თავმოყვარეობის ამბავია. ეგრეთ წოდებულმა "პიარშიკებმა" სპონსორების მოზიდვა მთავარი სატყუარით - ექსკლუზიურობით დაიწყეს. არ დავიწყებიათ გულშემატკივრებიც, რომლებსაც ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე კომფორტი, გემრიელი სოსისები და კრიალა ტუალეტები ელოდათ. გარდა ამისა, დამზადდა "ჰერტას" გიგანტური ემბლემები, რომლებიც მოხერხებულად მოთავსდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ეგ კი არა, ერთი უშველებელი ემბლემა ბერლინის აეროპორტის ასაფრენ ზოლზეც დაამონტაჟეს, რათა გერმანიის დედაქალაქში ჩასვლისას ხალხს პირველად სწორედ "ჰერტა" მოხვედროდა თვალში. ზემოთ ჩამოთვლილმა ნაბიჯებმა ნაყოფი გამოიღო - სულ მალე "ჰერტა" პოპულარულ ბრენდად იქცა.

რაც შეეხება "ვოლფსბურგს", ის სულ სხვა გზით წავიდა. 90-იან წლებში ამ პატარა ქალაქის კლუბი მეორე ბუნდესლიგას ვერ სცილდებოდა, თუმცა ერთხელაც ელიტაში აღზევდა. მალე გუნდის მესვეურები მიხვდნენ, რომ ცხოვრება ბევრად უფრო მშვენიერია, თუ ჯიბეში ფული გიჩხრიალებს და ძლიერი სპონსორი გიმაგრებს ზურგს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ვოლფსბურგი" იმავე ქალაქში ბაზირებულ ავტოკონცერნ "ფოლკსვაგენს" ჩაეხუტა. ავტომობილისტებმა და საფეხბურთო გუნდმა ერთმანეთს ჩინებულად გაუგეს. "ვოლფსბურგის" აქციათა 90% კონცერნმა შეიძინა და სპორტში ფულის ინვესტირება დაიწყო. გადაწყდა ახალი, უფრო დიდი სტადიონის აშენება, რომელიც 60 მილიონი ევრო დაჯდებოდა. იქიდან მოყოლებული, "ვოლფსბურგი" ბევრად უფრო რესპექტაბელური გახდა, შეიქმნა იმიჯი და მისი ბრენდი ახლა საკმაოდ ძვირად ფასობს. ყოველ შემთხვევაში, "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომობილის დანახვა უკვე ბევრ გერმანელში საფეხბურთო კლუბ "ვოლფსბურგის" ასოციაციას იწვევს.

# ცქიტიშვილის ორი წუთი

გაიმართა NBA-ს კონფერენციების ნახევარფინალური სერიის მეორე შეხვედრები. "მაიამიმ" "ნიუ ჯერსისთან" განცდილი პირველი საშინაო მარცხის შემდეგ შეძლო მეტოქის დამარცხება - 111:89 და სერიაში ვითარება დაიძაბა. ორი მატჩის შემდეგ ანგარიშია 1:1.

ნიუჯერსელმა კალათბურთელებმა კვლავ შაკილ ო`ნილის ნეიტრალიზებაზე გადაიტანეს ყურადღება, რითაც ისარგებლა "მაიამის" კიდევ ერთმა ლიდერმა დუეინ ვეიდმა. სწორედ მისმა ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა მასპინძელთა გამარჯვება. ვეიდის ანგარიშზეა 31 ქულა, 6 ფარიდან მოხსნილი ბურთი, 6 შედეგიანი გადაცემა და 4 ჩაჭრა.

"მაიამიმ" პირველივე მეოთხედში გადაწყვიტა მატჩის ბედი. მასპინძლებმა მეოთხედი 41:19 მოიგეს და ამის შემდეგ უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. მართალია, სტუმრები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვინს კარტერისა და ჯეისონ კიდის ყველა მცდელობა ამაო გამოდგა.

ანალოგიური ვითარებაა მეორე



"კლიპერსმა" ანგარიში გაათანაბრა 1:1.

წყვილშიც. საკუთარ მოედანზე განცდილი პირველი მარცხის შემდეგ "კლიპერსმა" ფენიქსთან რევანში აიღო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

საინტერესოა, რომ მატჩის ბედი ამ წყვილშიც პირველ მეოთხედში გადაწყდა, რომელიც კალიფორნიელებმა 16 ქულით მოიგეს. მატჩი კი 122:97 დაასრულეს.

ლოსანჯელესელ კალათბურთელთაგან ვერავის გამოვყოფთ - მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა და გამარჯვების საწინდარიც ეს იყო.

რაც შეეხება "ფენიქსს", უნდა აღინიშნოს სტივ ნეშის არც ისე დამაჯერებელი თამაში. ლიგის საუკეთესო კალათბურთელმა თავის გუნდს მხოლოდ 14 ქულა შესძინა.

ამ მატჩში მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ ცქიტიშვილმა. ქართველმა მოედანზე ორი წუთი გაატარა და ამ მცირე დროის განმავლობაში ერთხელ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი, ერთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა და თავის გუნდს ერთი ქულით შეეწია.

### ტოდი უკმაყოფილოა

"ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდი უკმაყოფილოა ფორმულა 1-ში არსებული ქულების დათვლის წესით. "ამჟამად არსებული სისტემა ერთადერთი მიზნით დააკანონეს, რათა "ფერარის" ჰეგემონია დაემხოთ. მართლაც, რამდენიმე წლის წინ ჩვენი პილოტები შუა სეზონში ინაღდებდნენ ტიტულს და რბოლა ინტერესს კარგავდა. ახლა ვითარება შეიცვალა და ქულებიც სხვაგვარად უნდა დავთვალოთ. ასეთი სისტემით ძალიან ძნელია მეტოქეს დაეწიო. აი, მიხაელმა ზედიზედ ორი რბოლა მოიგო, მაგრამ მაინც ვერ ალმოფხვრა მეტოქესთან ჩამორჩენა", - აცხადებს ტოდი.

### "საკრამენტო" მწვრთნელმა დატოვა

NBA-ს კლუბ "საკრამენტოს" მთავარმა მწვრთნელმა რიკ ადელმანმა კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი სეზონით ადრე დატოვა კლუბი. სააგენტო როიტერის ცნობით, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ადელმანს მომავალ სეზონშიც უნდა ემუშავა "მეფეების" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მაგრამ წლეულს განცდილი წარუმატებლობის გამო ადელმანმა კლუბის მესვეურებთან შეთანხმებით კონტრაქტი ერთი წლით ადრე გაწყვიტა.

### ბრაზილიელთა ერთადერთი მეტოქე

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კარლოს ალბერტო პარეირას აზრით, პენტაკამპეონებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი გუნდი გაუწევს კონკურენციას. "ბრაზილიის ნაკრების დონეზე ვერც ერთი სხვა გუნდი ვერ თამაშობს. ერთადერთი არგენტინის ნაკრებია, რომელიც ჩვენთან ახლოს დგას, თუმცა შემტევი პოტენციალით მათაც ვჯობივართ. არგენტინელებს არ ჰყავთ რონალდინიო, კაკა, რონალდო და ადრიანო," - აცხადებს პარეირა.

### ხოაკინი შეიძლება გაიყიდოს

ესპანური "ბეტისის" ხელმძღვანელებმა უარით გაისტუმრეს ტურინის "იუვენტუსის" მესვეურები, რომლებსაც "ბეტისის" ლიდერის ხოაკინის შეძენა სურდათ. ამ რამდენიმე დღის წინ სევილიური კლუბის პრეზიდენტმა ლუის დე ლოპერამ განაცხადა, რომ ხოაკინის გაყიდვა შესაძლებელია, თუმცა, ეტყობა, ესპანელებს იტალიური კლუბის შეთავაზება არ მოეწონათ. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელი ყიდვა "ვალენსიასაც" სურს. "ღამურები" ხოაკინში 7 მილიონ ევროს იხდიან და, შესაძლოა, "ბეტისში" კიდევ ერთი ფეხბურთელი გაუშვან.

### "სიტი" ფეხბურთელებს ემშვიდობება

"მანჩესტერ სიტის" მთავარმა მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა განაცხადა, რომ გუნდიდან ათი ფეხბურთელის გაშვებას აპირებს. ამ ათეულში აღმოჩნდნენ დევიდ სომელი, კიკი მუსამპა და ალბერტ რიერა, რომლებიც ამ სეზონში თითქმის ყოველთვის ხვდებოდნენ "ქალაქელთა" ძირითად შემადგენლობაში. დანარჩენი შვიდი ფეხბურთელი კი მთელი სეზონის განმავლობაში სათადარიგოთა სკამს ხეხავდა.

### ერიქსონი "ბენფიკაში"?

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შესაძლოა პორტუგალიური "ბენფიკა" ჩაიბაროს. სააგენტო სკაის ინფორმაციით, "ბენფიკას" ხელმძღვანელები ერიქსონის გარდა იტალიელი ძაკერონის კანდიდატურასაც განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ ერიქსონს უკვე აქვს "ბენფიკასთან" მუშაობის გამოცდილება. შვედი სპეციალისტი 1982-84 წლებში ავარჯიშებდა პორტუგალიურ გრანდს. ორჯერ მოახერხა პორტუგალიის ჩემპიონის ტიტულის მოგება და უეფას თასის ფინალშიც გავიდა.

### სიმეონე ესპანეთში ბრუნდება

დიეგო სიმეონე შესაძლოა ესპანეთში დაბრუნდეს და პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი კლუბის სამწვრთნელო შტაბში დაიწყოს მუშაობა. წარსულში მადრიდის "ატლეტიკოს" ფეხბურთელი ამჟამად არგენტინაში კლუბ "რასინგ აველანდას" მთავარი მწვრთნელია, მაგრამ ზაფხულში თანამდებობის დატოვებას აპირებს და ესპანეთში გადასვლა აქვს დაგეგმილი. უკვე ცნობილია, რომ სიმეონეს "ვალენსიასა" და "ატლეტიკოს" სამწვრთნელო შტაბში სთავაზობენ ვაკანტურ ადგილებს.

### მონეგასკები "რეალის" მწვრთნელით დაინტერესდნენ

ფრანგული "მონაკოს" მესვეურები მადრიდის "რეალის" მოქმედი მთავარი მწვრთნელის ლოპეს კაროს გადაბირებით დაინტერესდნენ. ცნობილია, რომ მონეგასკთა მთავარი მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი ზაფხულში დატოვებს თანამდებობას. ამ პოსტის დაკავების მთავარი კანდიდატი სწორედ ლოპეს კაროა, რომელიც, თავის მხრივ, მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეინარჩუნებს.

### მიკუს ნოსტალგია დაეწყო

ბრემენის "ვერდერის" ფრანგი ნახევარმცველი იონ მიკუ "მუსიკოსებთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს და სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს. "ვიგრძენი, რომ სახლში დაბრუნება მინდა. არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, კარიერას "ბორდოში" გავაგრძელებდი. თუმცა, არც ერთი ფრანგული კლუბის წინადადებაზე არ ვიტყოდი უარს," - აცხადებს მიკუ, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ შოტლანდიური "რეინჯერსი" ეპატიჟება.

### ბენიტესი: "სიფრთხილე გვმართებს"

"ლივერპულის" მთავარ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს მიაჩნია, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ მერსისაიდელებს სიფრთხილე მართებთ. "ეს იქნება დრო, როდესაც თითოეული ნაბიჯის აწონ-დაწონვა მოგვიწევს. უნდა შევამოწმოთ ყველა ფეხბურთელი, რომელიც მომავალში შესაძლოა "ლივერპულში" აღმოჩნდეს. თითოეული მოთამაშის ტრანსფერი ბოლომდე უნდა შევისწავლოთ, დავრწმუნდეთ, რომ მას გუნდისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია და მხოლოდ შემდეგ გავაფორმოთ კონტრაქტი", - აცხადებს რაფა ბენიტესი.

## გერმანელებმა მეძავები დააკავეს

გუშინ გერმანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს ასამდე მეძავი, რომლებიც არალეგალურად მუშაობდნენ. პოლიციელებმა სპეციალური რეიდი ჩაატარეს, რათა გამოევლინათ ქვეყანაში არალეგალურად ჩასული მეძავები. აღსანიშნავია, რომ სპეცოპერაცია მუნდიალის დაწყებას მიეძღვნა. გერმანელები ვარაუდობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ ქვეყანას ბევრი მეძავი მიაწყდება.

## აპოლიტიკური მუნდიალი

ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მისი გუნდის ასპარეზობა მომავალ მუნდიალზე პოლიტიკურ ბატალიებთან დაკავშირებული არ იქნება.

"ცუდია, როცა სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთში ირევა. ჩვენი გუნდის თამაში მსოფლიო ჩემპიონატზე პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა უნდა განვიხილოთ. იმედი მაქვს, ახლა შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარება ირანის ნაკრების ფეხბურთელებზე არ იმოქმედებს", - აცხადებს ირანელთა შვეიცარიელი მწვრთნელი ბრანკო ივანოვიჩი.

## რონალდოს მომავალს ახალი პრეზიდენტი გადაწყვეტს

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ აღიარა, რომ კონტრაქტის დასრულებამდე სურს "სამეფო კლუბში" დარჩენა. "ყველაფერი ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ გაირკვევა. მიუხედავად იმისა, რაც ამ სეზონში მოხდა, მინდა კონტრაქტის ამოწურვამდე გუნდში დავრჩე. ახლა უკვე მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ვფიქრობ. დიახ, იყო პერიოდი, როდესაც "რეალის" დატოვება მინდოდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ვნახოთ, ვის აირჩევენ პრეზიდენტად და ჩემი მომავალიც გაირკვევა", - ამბობს ბრაზილიელი ფორვარდი.

## 5 მილიონი რობერტო კარლოსისთვის

ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ფეხბურთელმა რობერტო კარლოსმა შესაძლოა თურქულ "ფენერბახჩეში" გააგრძელოს კარიერა. ცნობილია, რომ "სამეფო კლუბი" ბრაზილიელს გრძელვადიან კონტრაქტს არ გაუფორმებს. ამავე დროს თურქული კლუბი "ფენერბახჩე" ფეხბურთელს სწორედ ისეთ პირობებს სთავაზობს, როგორიც მას უნდა. ერთი სიტყვით, თურქული გრანდი მზადაა რობერტო კარლოსთან გააფორმოს სამწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმად მცველი სეზონში ხუთ მილიონ ევროს მიიღებს.

## "ლიონის" პრეზიდენტი დროგბათი მოხიბლულია

ფრანგული "ლიონის" პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ერთ-ერთ ინტერვიუში კიდევ ერთხლ გამოტყდა, რომ აღფრთოვანებას ვერ მალავს ლონდონის "ჩელსის" კოტდივუარელი თავდამსხმელის დიდიე დროგბას თამაშით და ძალიან უნდა, იგი თავის კლუბში იხილოს. გავრცელებული ხმების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ბიუჯეტი პრეზიდენტს საშუალებას არ აძლევს ოცნება აისრულოს, ოლა მაინც დაუკავშირდა ლონდონური კლუბის მაგნატ მფლობელს რომან აბრამოვიჩს, რათა ეს უკანასკნელი დროგბას ტრანსფერზე დაეყოლიებინა. "დიდიე ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია ევროპაში. დარწმუნებული ვარ, "ჩელსის" ხელმძღვანელობა მას არსად გაუშვებს, მაგრამ ჩვენ მაინც შევთავაზებთ ჩვენს პირობებს. რა ვიცით, იქნებ დროგბას "ლიონში" გადმობარგება ოცნების სფეროდან რეალობად ვაქციოთ", - განაცხადა ჟან-მიშელ ოლამ.

## გალასს "არისტოკრატობა" მობეზრდა

ფრანგ მცველს უილიამ გალასს ლონდონის "ჩელსისთან" კონტრაქტის გაწყვეტა სურს. ფეხბურთელი მზადაა კონტრაქტის გაწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმა გადაიხადოს 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ცხადია, გალასი ამ თანხას საკუთარი ჯიბიდან არ გადაიხდის. ცნობილია, რომ ფრანგი ფეხბურთელის შეძენა ტურინის "იუვენტუსს" სწადია. სწორედ ტურინელები გადაიხდიან ზემოხსენებულ 5 მილიონს.

# ისტორიაში მხოლოდ გამარჯვებულები რჩებიან

მომავალ ოთხშაბათს პარიზში გაიმართება ევროპული საკლუბო ფეხბურთის მთავარი მატჩი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბარსელონა" და "არსენალი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გუშინ ესპანერ გაზეთ "სპორტში" გამოქვეყნდა კატალონიური გრანდის კამერუნელი ფორვარდის სამუელ ეტო`ოს ინტერვიუ.

ჟურნალისტი და ფეხბურთელი "ბარსელონას" მუზეუმში შეხვდნენ ერთმანეთს, იმ ჩემპიონთა თასის ასლის გვერდით, რომელიც "ბარსამ" "უემბლის" სტადიონზე მოიგო.

**- როგორია ჩემპიონთა თასი?**

- ისეთივე, როგორსაც პარიზში მოგების შემთხვევაში ჩამოვიტანთ.

**- ეს იმ თასის ასლია, რომელიც "ბარსელონამ" "უემბლიზე" მოიგო.**

- ვიცი, მაგრამ ხელით არ შევხებივარ. ჩემს ზოგიერთ თანაგუნდელს მიაჩნია, რომ ფინალამდე ამ თასზე შეხება არ ღირს, რადგან შესაძლოა გავთვალოთ. მართალია, ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ მაინც არ ვრისკავ.

**- ჩემპიონთა ლიგა უკვე მოგებული გაქვთ, ასე რომ, პარიზული ფინალი თქვენთვის პირველი არ იქნება.**

- ჩემთვის პირველია. 1998 წელს მადრიდის "რეალმა" კი მოიგო ჩემპიონთა ლიგა და მაგრამ მე გამარჯვებისთვის არაფერი გამიკეთებია. მხოლოდ სამახსოვრო სურათი გადავიღე. ის გამარჯვება არ ითვლება.

**- თქვენ არ იქნებით პირველი კამერუნელი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ექნება მოგებული.**

- რა თქმა უნდა. ჯერემიმ უკვე ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა. მან მითხრა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ტურნირში გამარჯვება.

**- ფორვარდისთვის ალბათ კარიერის მწვერვალია ჩემპიონთა ლიგის ფინალში გოლის გატანა.**

- ცხადია, ფინალში გოლის გატანა სასიამოვნო იქნება, თუმცა მთავარი მაინც გამარჯვებაა. რა მნიშვნელობა ექნება ჩემს გოლს, თუ გუნდი დამარცხდა. მოვიგოთ და გოლები თუგინდ ჩვენმა მეკარემ გაიტანოს.

**- ამას გულახდილად ამბობთ? გულშემატკივარს მიაჩნია, რომ ეტო`ოსთვის მთავარი გოლის გატანაა და ზოგჯერ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ პარტნიორს ბურთს არც კი აწვდისო.**

- არ მესმის, რატომ ამბობენ ამას. შესაძლოა მინდორზე ასე ჩანს, მაგრამ რაიკაარდს ჩემთვის ამის გამო შენიშვნაც კი არ მოუცია.

**- ფინალში "ბარსელონა" ფავორიტადაა მიჩნეული. ეს თქვენი გუნდისთვის კარგია თუ ცუდი?**

- სისულელეა ფავორიტებზე საუბარი. ფინალში ფავორიტი არ არსებობს. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, თუ ჩვენ დავიჯერებთ, რომ მართლა ფავორიტები ვართ და მინდორზე მოშვებულები გავალთ.

**- "არსენალის" დადებით მხარეებზე რას იტყვით?**

- ძალიან ძლიერი და კარგად დაკომპლექტებული გუნდია. ანრი კი საერთოდ შეუდარებელია.

**- ვიხილავთ თუ არა პარიზში ეტო`ო-ანრის დუელს?**

- არ მომწონს ასეთი შედარებები. მინდორზე ხომ ორივე გუნდის მხრიდან თერთმეტ-თერთმეტი ფეხბურთელი ითამაშებს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ერთი რომელიმე ფეხბურთელი შეძლებს მატჩის მოგებას. ანრი, რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერია, მაგრამ არანაკლებ სახიფათო ფეხბურთელებად მიმაჩნია რეიესი, ფაბრეგასი, ლიუნგბერგი. მოკლედ, ყველა, ვინც "არსენალში" თამაშობს.

**- მიუხედავად ამისა, ხალხი მუდმივად გადარებთ თქვენ და ანრის. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ტიერის შესაძლო ტრანსფერზე დაიწყო საუბარი.**

- არ ვიცი რატომ ხდება ასე. მთელი სეზონია ერთი და იმავე კითხვაზე მიწევს პასუხის გაცემა - რა მოხდება, თუ "ბარსელონამ" ანრი იყიდა? რა უნდა მოხდეს? მშვენივრად ვითამაშებთ ერთად. ბოლოს და ბოლოს, კარგი მეგობრები ვართ.

**- ალბათ დიდ ზეწოლას გრძნობთ...**

- ჯერჯერობით არა. მატჩამდე ორი-სამი დღე რომ დარჩება, ნერვიულობას მაშინ დავიწყებ.

**- გრძნობთ თუ არა, რომ შეგიძლიათ "ბარსელონას" ისტორიაში შეაბიჯოთ?**

- "ბარსელონაში" იმისთვის მოვედი, რომ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოვიპოვო. ორ სეზონში ორჯერ გავხდი ესპანეთის ჩემპიონი. ჩემპიონთა ლიგის მოგება კი წარმატებული კარიერის გვირგვინი იქნებოდა. რაც შეეხება ისტორიას, თავადაც იცით, ხალხს მხოლოდ გამარჯვებულები ახსოვს.

**- ესე იგი, დამარცხებულებს მალევე ივიწყებენ?**

- ასეა ცხოვრება მოწყობილი. ისტორიას ჩემპიონები წერენ. სამწუხაროდ, რაოდენ კარგი ფეხბურთიც არ უნდა ვაჩვენოთ და დავმარცხდეთ, ჩვენს სახელებს მალევე დაივიწყებენ.

**- ასე მოხდა მაშინ, როდესაც "ბარსამ" ათენური ფინალი წააგო?**

- ასეა. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: მთელი სეზონი კარგად ვთამაშობდი და კამერუნის ნაკრებისთვისაც საკმაოდ ბევრი გამიკეთებია, მაგრამ ხალხს მაინც ის ახსოვს, რაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში მოხდა. აცილებული პენალტი და იმედების მსხვრევა. ახლა რევანშის შანსი მეძლევა და თუ ჩემპიონთა ლიგა მოვიგე...

**- "ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონატი უკვე მოიგო. გუნდი ეიფორიაში ხომ არ არის? და თუ ასეა, ეს ხელს ხომ არ შეუშლის ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის ფინალზე კონცენტრირებაში?**

- არა. რა ეიფორიაზეა საუბარი. ყველა მხოლოდ ერთ მატჩზე ფიქრობს. პარიზული ფინალი ჩვენი კარიერის უმთავრესი მატჩი იქნება.

**- რა იქნება გადამწყვეტი ფინალურ შეხვედრაში?**

- ისე უნდა ვითამაშოთ, თითქოს ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ მატჩს ვთამაშობდეთ.

**- წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების გოლს პირადად თქვენ გაიტანთ?**

- მირჩევნია წარმოვიდგინო, რომ უბრალოდ მოვიგეთ.

**- და რა მოხდება ამ შემთხვევაში?**

- მთელი ქალაქი ქუჩებში გამოვა. ნამდვილი საგიჟეთი დაიწყება.

**- დაახლოებით ისე, როგორც ესპანეთის ჩემპიონობა აღინიშნა?**

- ალბათ უფრო განსაკუთრებული აღნიშვნა იქნება. წარმომიდგენია, როგორ დაგვხვდებიან აეროპორტში. სწორედ იქიდან დაიწყება მთავარი ზეიმი.

**- ახლა თქვენს პირად მიღწევებზე ვისაუბროთ. ამ სეზონში პიჩიჩის ტიტულს თუ მოიგებთ, ვილია ხომ არ დაგეწევათ?**

- უკან არასდროს არ ვიყურები. მირჩევნია წინ გავიხედო და ლუკა ტონის დავეწიო, რომელიც ოქროს ბუცის მოპოვების მთავარი კანდიდატია.

**- "ბარსელონა" ჩემპიონატის მომდევნო ტურში "სევილიას" ეთამაშება. მწვრთნელი ხომ არ დაგასვენებთ, რათა ჩემპიონთა ლიგის ფინალს გადაღლილი არ შეხვდეთ?**

- დასვენებაზე არასდროს არ ვფიქრობ. ვითამაშებ თუ არა, ეს მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ თუ რაიკაარდმა ძირითადში დამაყენა, ძალიან გამიხარდება.

**- დავუშვათ, ჩემპიონთა ლიგა მოიგეთ. რა იქნება შემდეგ, რისთვის ითამაშებთ?**

- როგორც ჩანს, მოტივაციის დაკარგვაზე საუბრობთ. ასეთი რამ არ გვემუქრება. მომავალი სეზონი წინაა. თუ პარიზულ ფინალს მოვიგებთ, მომავალ სეზონში უკვე ორი ტიტულის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებთ.

**- ვიხილავთ თუ არა სამუელ ეტო`ოს მომავალ სეზონშიც "ბარსელონაში"?**

- რა თქმა უნდა. სად უნდა წავიდე...

**- ეს იმიტომ გკითხეთ, რომ ბოლო დროს ხშირად საუბრობენ თქვენს შესაძლო ტრანსფერზე.**

- მივხვდი. მე ჟოან ლაპორტასთან მქონდა შეხვედრა. პრეზიდენტს სურს, რომ "ბარსელონაში" დავრჩე. მე კლუბის მიტოვება არ მიფიქრია. საიდან მოაქვთ, რომ გუნდის დატოვებას ვაპირებ, არ მესმის.

**- დაბოლოს. პარიზში "ბარსას" ყველა გულშემატკივარი ვერ ჩავა. რას ეტყვით იმ ხალხს, ვინც ბარსელონაში რჩება და აქედან გიქომაგებთ?**

- ფინალურ მატჩს სწორედ ფანებს ვუძღვნით და მომავალ გამარჯვებასაც. მათ დაიმსახურეს ჩემპიონთა ლიგის მოგება.




## ინფოთეკა

### ჯიბრილ სისე არ მიდის

მთელი სეზონის განმავლობაში მოარული ხმების მიუხედავად, თითქოს საფრანგეთის ნაკრებისა და "ლივერპულის" თავდამსხმელი ჯიბრილ სისე კლუბიდან წავიდოდა, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ინგლისური კლუბიდან წასვლას არ აპირებს. "ლივერპულთან" დადებული კონტრაქტი სამი წლის შემდეგ დასრულდება, კონტრაქტის დარღვევას კი ნამდვილად არ ვაპირებ. შარშან კლუბმა "მარსელში" არ გამიშვა, მერე ჩემით დაინტერესებულ "ტოტენჰემსაც" უარი უთხრეს. მეც დავრჩი და ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად ვიბრძოდი. "ენფილდ როუდის" დატოვება ერთ წელიწადში არ მინდოდა. წინა სეზონით კმაყოფილი ვარ - 18 გოლი გავიტანე. ეს შედეგი ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე იმ მატჩების რაოდენობა, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ჩავატარე. მთელი სეზონი ორ თუ სამ სხვადასხვა პოზიციაზე მიწევდა თამაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა უნივერსალური ფეხბურთელი ვარ", - განაცხადა ფრანგმა თავდამსხმელმა "ლივერპულის" საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ ჯიბრილ სისე მერსისაიდული კლუბის ძირითად შემადგენლობაში პრემიერლიგის სულ 10 მატჩში გამოჩნდა. საერთო ჯამში მოედანზე 735 წუთი დაჰყო. ამავე სეზონში ბომბარდირი "ლივერპულთან" ერთად ინგლისის თასის მფლობელი გახდა.

### გრეცკის ბედი კვირის ბოლოს გადაწყდება

ამ კვირის ბოლოს უეინ გრეცკი შეხვდება კლუბ "ფენიქსის" ძირითად აქციონერს ჯერი მოიესს, რათა საკუთარი მომავალი გაარკვიოს. ლეგენდარული ჰოკეისტის თქმით, მას კვლავაც სურს "ფენიქსის" მთავარი მწვრთნელობა, თუმცა ყველაფერი სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ უნდა გადაწყდეს.

### მარსეკა საუკეთესოა

უეფას თასის წლევანდელი მფლობელის, ესპანური "სევილიას" ნახევარმცველი ენცო მარესკა, რომელმაც ინგლისურ "მიდლსბროსთან" ფინალურ მატჩში დუბლი გააxერხა, გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. "ძალიან მიჭირს სიტყვებით გამოვხატო ის გრძნობა, რაც უეფას თასის მოგებით განვიცადე. ამის გადმოცემა შეუძლებელია. გუნდმა თასი მოიპოვა, მე კი ორი გოლი გავიტანე, რითაც ჩემი წვლილი შევიტანე ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღე იყო და ასეთად დარჩება კიდეც. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ", - ხმამაღლა გამოთქვამდა უეფას თასის მოგებით გამოწვეულ სიხარულს იტალიელი ფეხბურთელი.

# პროგნოზები აზარტული გულშემატკივრებისთვის

გთავაზობთ საფეხბურთო მატჩების პროგნოზებს და კოეფიციენტებს. ვფიქრობთ, რომ ამით დახმარებას გაუწევთ ტოტალიზატორში მოთამაშე ადამიანებს. ჩვენი პროგნოზების საიმედოობა მერყეობს 60-70 პროცენტის ფარგლებში.

### 12 აპრილი , 2006

| საფრანგეთი II | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენიონი | ბრესტი | 1.8 | 2.8 | 4.2 | 1 | ნაკლები |
| ბისტრიცა | ლავალი | 1.8 | 2.8 | 4.5 | 1 | მეტი |
| კაენი | კრეტეი | 1.4 | 3.4 | 6.6 | 1 | ნაკლები |
| გრენობლი | ამიენი | 2 | 2.7 | 3.8 | 1 | მეტი |
| ლორიანი | რეიმსი | 1.3 | 3.9 | 8 | 1 | მეტი |
| ბასტია | შატორუ | 1.9 | 2.8 | 4 | X2 | ნაკლები |
| ალბასეტე | კლერმონი | 2.4 | 2.6 | 3 | 1 | მეტი |
| დიჟონი | ვალანსიენი | 2.8 | 2.6 | 2.7 | 1 | მეტი |
| ლე ავრი | მონპელიე | 2 | 2.7 | 3.8 | 1X | მეტი |
| სედანი | გინგამი | 1.7 | 3 | 4.7 | 1 | ნაკლები |

| ირლანდია | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოჰემიანსი | ბრეი | 1.5 | 3.5 | 4.9 | 1 | მეტი |
| სტ. პატრიკსი | დერი | 2.8 | 3 | 2.3 | 2 | ნაკლები |
| უოტფორდი | დუბლინ სიტი | 2.3 | 3 | 2.7 | 1X | ნაკლები |

| ნორვეგია I | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერენგა | ლილესტრიომი | 2.5 | 3 | 2.6 | 1 | მეტი |

### 13 მაისი 2006

| ავსტრია 1 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | გრაცერი | 1.9 | 3.2 | 3.6 | X2 | მეტი |
| შტურმი | მატერსბურგი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1X | მეტი |
| ადმირა | ზალცბურგი | 3.1 | 3.1 | 2.1 | 2 | მეტი |
| პაშინგი | აუსტრია მ. | 2.3 | 2.9 | 2.9 | X2 | ნაკლები |
| რაპიდი | რიდი | 2 | 3.4 | 3.1 | 1 | ნაკლები |

| ინგლისი 2 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიკომბი | ჩელტენჰემი | 2.2 | 3.1 | 3 | 1X | მეტი |
| ლინკოლნი | გრიმსბი | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1 | ნაკლები |

| საფრანგეთი 1 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | პსჟ | 3.1 | 2.9 | 2.2 | 1 | მეტი |
| მონაკო | ნანსი | 1.9 | 3.1 | 4 | 1 | ნაკლები |
| ოსერი | სტრასბური | 1.4 | 3.7 | 6.5 | 1 | მეტი |
| ლანსი | ნანტი | 1.6 | 3.4 | 5.4 | X2 | მეტი |
| ლიონი | ლე მანი | 1.5 | 3.6 | 6.1 | X | მეტი |
| აიაჩო | სტ. ეტიენი | 2.5 | 2.9 | 2.7 | X2 | ნაკლები |
| ტულუზა | სოშო | 2.1 | 2.9 | 3.4 | 2 | მეტი |
| რენი | ლილი | 2.2 | 2.9 | 3.1 | 2 | მეტი |
| ბორდო | მარსელი | 2.6 | 3.1 | 2.5 | X | ნაკლები |
| ტრუა | ნიცა | 2.5 | 2.8 | 2.8 | X | ნაკლები |

| გერმანია 1 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | გლადბახი | 1.9 | 3.2 | 3.7 | X | ნაკლები |
| შალკე 04 | შტუტგარტი | 1.7 | 3.3 | 4.5 | X2 | ნაკლები |
| ბაიერნი | დორტმუნდი | 1.5 | 3.6 | 5.6 | 1 | ნაკლები |
| ჰანოვერი | ლევერკუზენი | 3.2 | 3.1 | 2.2 | 1X | მეტი |
| დუისბურგი | მაინცი | 2.2 | 3.1 | 3 | X | მეტი |
| ნიურნბერგი | ჰერტა | 2.7 | 3.2 | 2.4 | 2 | მეტი |
| ვოლფსბურგი | კაიზერი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 2 | მეტი |
| კიოლნი | არმინია | 2 | 3.2 | 3.5 | X2 | ნაკლები |
| ჰამბურგი | ვერდერი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1 | ნაკლები |

| ირლანდა | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლიგო | დროჰედა | 3 | 3 | 2.2 | X | ნაკლები |

| ნორვეგია 1 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიოლდე | ფრედრიკსტადი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1 | ნაკლები |
| სტაბეკი | ვიკინგი | 2.2 | 3 | 3.1 | X | ნაკლები |
| ჰამ კამი | სტარტი | 2.6 | 3 | 2.6 | X2 | მეტი |
| ტრომსო | რუსენბორგი | 4 | 3.3 | 1.8 | 2 | მეტი |
| ოდ გრენლანდი | ლინი | 2.5 | 3 | 2.7 | 2 | ნაკლები |
| სანდეფიორდი | ბრანი | 2.8 | 3 | 2.4 | 2 | მეტი |

| რუსეთი | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შინიკი | სპარტაკ ნალჩიკი | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1X | ნაკლები |
| ტომი | ლუჩი | 1.8 | 3.2 | 4.1 | 2 | ნაკლები |
| ამკარი | როსტოვი | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1 | ნაკლები |

| სლოვაკეთი | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრნავა | ინტერი | 1.5 | 3.7 | 5.2 | 1 | |
| დუბიცა | არტმედია | 4.3 | 3.3 | 1.7 | 2 | ნაკლები |
| ნიტრა | ტრენჩინი | 1.9 | 3.1 | 3.6 | X2 | მეტი |
| ჟილინა | რუზომბეროკი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1X | მეტი |
| პუხოვი | ბისტრიცა | 2.1 | 3 | 3.2 | X | ნაკლები |

| ესპანეთი 2 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | ტენერიფე | 1.7 | 2.9 | 4.5 | 1 | მეტი |
| უელვა | რეალი ბ | 1.6 | 3 | 4.9 | 1 | ნაკლები |
| ლორკა | ხიხონი | 1.7 | 2.9 | 4.5 | 1 | ნაკლები |
| ფეროლი | ჰერკულესი | 2.4 | 2.6 | 3 | X | ნაკლები |

### 14 მაისი 2006

| დანია 1 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | სილკებორგი | 1.3 | 4.7 | 8.3 | 1 | ნაკლები |
| ორჰუსი | ოდენსე | 4.9 | 3.5 | 1.6 | 2 | ნაკლები |
| ოლბორგი | ესბიერგი | 1.8 | 3.3 | 4.1 | X | მეტი |
| ვიბორგი | მიდტიულანდი | 1.7 | 3.5 | 4.7 | 1 | მეტი |
| ჰორდსლანდი | ჰორსენსი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1X | მეტი |

| გერმანია 2 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუე | ზიგენი | 1.5 | 4 | 5.5 | 1 | ნაკლები |
| კარლსრუე | პადერბორნი | 1.4 | 4.3 | 6.8 | X | მეტი |
| საარბრიუკენი | ბრაუნშვაიგი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1 | მეტი |
| ჰანზა | დინამო | 3.3 | 4 | 1.9 | 1X | მეტი |
| ალენი | ოფენბახი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1X | ნაკლები |
| უნტერჰახინგი | ბოხუმი | 2.6 | 2.8 | 2.9 | 1 | მეტი |
| ბურგჰაუზენი | ალემანია | 2.6 | 3.1 | 2.5 | 1X | მეტი |
| კოტბუსი | მიუნხენ 1860 | 1.4 | 4.5 | 6.4 | 1 | ნაკლები |
| ფრაიბურგი | ფიურტი | 2.2 | 3.3 | 3 | 1 | მეტი |

| რუსეთი 1 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სატურნი | კრილია | 2 | 2.9 | 3.7 | X2 | ნაკლები |
| მოსკვა | ცსკა | 3.1 | 2.8 | 2.3 | 1 | მეტი |
| ზენიტი | რუბინი | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1X | მეტი |
| ტორპედო | ლოკომოტივი | 2.9 | 2.8 | 2.5 | X2 | მეტი |

| ესპანეთი 2 | | k1 | kx | k2 | პროგნოზი | 2.5-/2.5+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეიდა | მალაგა ბ | 1.6 | 3 | 5.4 | 1 | ნაკლები |
| ეხიდო | სიუდადი | 2.7 | 2.6 | 2.8 | X2 | ნაკლები |
| ელჩე | ხერესი | 2.7 | 2.6 | 2.8 | 2 | მეტი |
| სიუდადი | ნუმანსია | 2.5 | 2.6 | 2.9 | 2 | ნაკლები |
| ეიბარი | ვალიადოლიდი | 3 | 2.6 | 2.5 | X2 | მეტი |
| ხიმნასტიკი | ალმერია | 2 | 2.7 | 3.8 | 1 | ნაკლები |
| ალბასეტე | კასტელონი | 2.3 | 2.6 | 3.2 | 1 | მეტი |